პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

[illegible] მარქსის სახ. [illegible] საჯარო ბიბლიოთეკა

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

## დღიური

— სამხრეთ - სლავიაში დააპატიმრეს ვარშავის საბჭოთა საელჩოს აფეთქების ცდის ერთი მონაწილე.
— ზანგ-მუშების საერთაშორისო ყრილობა. — რეზოლუცია საბჭ. კავშირის დასაცავად.
— გერმანიის პასუხი ბრიანის მემორანდუმზე პან-ევროპის შესახებ.
— მღელვარება ინდოეთში.
— ძველი ქართული ხელოვნების გამოფენა ბერლინში.
— მუშათა ხელფასის 10 პროცენტით შემცირება შეერთებულ შტატებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 11 ივლისი 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 161 (2809)

# სოციალისტური მრეწველობა გაშლილი სოციალისტური შეტევის მთავარი ბერკეტია

პარტიის მე-XVI ყრილობამ მოისმინა ამხ. კუიბიშევის მოხსენება მრეწველობის ამოცანების შესახებ.

პარტიას, რომელიც ჯამს უკეთებს სოციალისტური მრეწველობის განვითარებას მე-XV ყრილობიდან მე-XVI ყრილობამდე, უფლება აქვს აღნიშნოს უდიდესი მიღწევები „სოციალიზმის ერთად-ერთი მატერიალური საფუძვლის"—მსხვილი სოციალისტური მრეწველობის შექმნის საქმეში.

პარტიამ, რომელიც ამაღლებს მრეწველობას გაუგონარ დაბალ დონიდან, უკიდურესი ნგრევის დონიდან, რომელშიაც ის ჩავარდა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების შედეგად, შექმნა მძლავრი მსხვილი მრეწველობა, რომლის პროდუქციაც წელს ორჯერ აღემატება ომის წინა ხანების დონეს და რომლის ხელმძღვანელი, სოციალისტურად გარდამქმნელი როლიც ყოველგვარ ეჭვს გარეშეა. მემარჯვენე ოპორტუნისტებს არ სწამთ მუშათა კლასის ძალები, არ სწამთ მრეწველობის რეკონსტრუქციის სწრაფი ტემპებით წინ წაყვანის შესაძლებლობა; პარტიამ, წინააღმდეგ მემარჯვენეების ასეთი მერყეობისა, მიუხედავად იმისა, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტები წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენი ქვეყნის სწრაფი ინდუსტრიალიზაციის საქმეს, გასული წლების განმავლობაში მიაღწია სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვან და შეურყეველ გადიდებას მთელ სახალხო მეურნეობაში (60 პროც. მეტად).

ლოზუნგი „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში" რეალურად ხორცს ისხამს. მრავალ მნიშვნელოვან მოწინავე დარგებში ხუთწლიანი გეგმა შესრულებული იქნება სამ წელიწადში, ზოგიერთ დარგში კი—უფრო ადრეც (სასოფლო-სამეურნეო მანქანები).

უმნიშვნელოვანესი მიღწევა, რომელიც სწყვეტს სოციალიზმის ბედს ჩვენს ქვეყანაში, მდგომარეობს იმაში, რომ აღდგენილია მძიმე ინდუსტრია, საგრძნობლად წინ წაიწია საწარმოო საშუალებათა წარმოებამ.

სწორედ მძიმე ინდუსტრიის საკითხში მოუხდა პარტიას უდიდესი ბრძოლის წარმოება მემარჯვენე ოპორტუნისტებთან, რომლებიც უკან სწევდნენ საკუთარი მძიმე ინდუსტრიის შექმნის საქმეს და ამით უარს ამბობდნენ განვითარების სოციალისტურ გზაზე. საკუთარი მძიმე ინდუსტრიის სწრაფ განვითარებაზეა დამოკიდებული საბჭოთა კავშირის, როგორც იმპერიალისტურ სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებელ ქვეყნის ბედი.

ცალკე უნდა აღინიშნოს უდიდესი მიღწევები სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის დარგში, სადაც ომის წინა ხანების დონე გადალახულია ექვსჯერ. სრულიად ახალ საფუძველზეა დამყარებული ტრაქტორების წარმოება.

აგებულია ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებელი ახალი გიგანტები. ამუშავდა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამამზადებელი ქარხანა როსტოვში. გაბატონებული მუშათა კლასი უფრო და უფრო ფართო მასშტაბით ქმნის სოფლის მეურნეობის ახალ ტეხნიკურ ბაზას. მუშათა კლასის უდიდესმა მიღწევებმა სოციალისტურ მრეწველობის შექმნის საქმეში სას.-სამ. მანქანათა მშენებლობის საკუთარი მძიმე ინდუსტრიის შექმნის საქმეში უპირველეს ყოვლისა გამოიწვიეს გლეხობის მასიური მობრუნება სოციალიზმისაკენ.

ფართო რეკონსტრუქციას თან სდევდა მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის შეუწყვეტელი ზრდა, მისი რიცხვობრივი გადიდება, მუშათა კლასის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის და მისი ჰეგემონის როლის განმტკიცება და გაძლიერება.

უდიდესია მსხვილი სოციალისტური მრეწველობის მშენებლობის, სწრაფი ინდუსტრიალიზაციის და ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცევის გზაზე მიღწეული შედეგები, მაგრამ ეს საფუძველს არ გვაძლევს ოდნავ მაინც მივჩქმალოთ დეფექტები და სუსტი მხარეები. დიდი რაოდენობითი წარმატების დროს ჩვენ განსაკუთრებით ჩამოვრჩით მუშაობის ხარისხის, თვითღირებულების დაკლების და სხვ. დარგებში.

მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ორგანიულ შემადგენელ ნაწილად უნდა შევიდეს თვითეული დამკვრელი ბრიგადის, თვითეული დამკვრელის მუშაობაში. საჭიროა მთელი სიძლიერით ხაზი გაესვას გეგმის შეუსრულებლობას თვითღირებულების დაკლების საქმეში. არის დარგები, სადაც თვითღირებულების დაკლება წელს სამარცხვინოდ მცირეა და არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება დასახულ გეგმებს და შესაძლებლობას. სოციალისტურმა მრეწველობამ გააძლიერა თავისი ხელმძღვანელი როლი მთელი სახალხო მეურნეობის მიმართ და რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერად აშკარავებს, რომ ის არის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ბერკეტი. ასეთი გადამწყვეტი შედეგი მიღწეულ იქნა გაფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში, ისეთ პირობებში, როდესაც თანდათან იზრდება კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა გარედან და ქვეყნის შიგნით—კულაკობის ბოროტი და გაფთრებული მავნებლობა საგრძნობი „დახმარება" იყო იმპერიალისტებისა და მავნებელი ბურჟუაზიული ინტელიგენციისათვის. ამას ემატება აპარატის ბიუროკრატიულ ელემენტების საბოტაჟი. პასუხად ამ ელემენტების გაფთრებული ცდებისა—ჩაეშალათ სოციალისტური მშენებლობა, თანდათან უფრო ფართოდ იშლებოდა და იშლება ის ენერგია, რომელიც მუშათა და მშრომელთა ფართო მასებში იფარება.

ისეთ პირობებში, როდესაც ფართოდ გაშლილია კლასობრივი ბრძოლა, როდესაც ფართოდ გაშლილია ბრძოლა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის, როდესაც სწარმოებს კაპიტალიზმის ყველაზე ღრმა ფესვების აღმოფხვრა და ფართო სოციალისტური შეტევა მშენებლობის მთელ ფრონტზე, მუშათა კლასის წინაშე მრეწველობის დარგში ისახება მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის უდიდესი ამოცანები, რომლებიც თავიანთ ტემპებით უკან სტოვებენ ყველაფერს, რასაც აქამდე იცნობდა ისტორია.

პირველ რიგში ასეთი ამოცანაა, რა თქმა უნდა, მძიმე ინდუსტრიის შემდგომი სწრაფი განვითარება, საბჭ. კავშირის ლითონისა და სათბობ-ენერგეტიული ბაზის ფართოდ გაშლა. ეს იმიტომ, რომ მძიმე ინდუსტრია სოციალიზმის ძირითადი საფუძველია. მე-XVI ყრილობამ მუშათა კლასს და ღარიბ და საშუალო გლეხობას დაუსახა ბუმბერაზული ამოცანა—სათბობისა და ლითონის მეორე ბაზის შექმნა კუზნეცკის ქოქსისა და ურალის მადნის შეერთებით. სათბობისა და ლითონის ამ მეორე მძლავრი ბაზის აგებამ უნდა გარდაქმნას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ჩვენი ქვეყნის სახე. ჩვენ უკვე რეალურად შევუდექით სოციალისტური მშენებლობის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებას, რომელიც ჩვენს ქვეყანას სამეურნეო სიძლიერით პირველხარისხოვან ქვეყნების რიგში აყენებს.

მეტალურგიის წინაშე დასახულია ამოცანა—დამზადდეს ხუთწლედის დამლევისათვის 17 მილიონი ტონა თუჯი. ასეთი პროგრამა მოასწავებს იმას, რომ საბჭოთა კავშირი პირველ ქვეყნად იქცევა ევროპაში თუჯის წარმოებით. მეფის რუსეთის ღატაკური დონე თავისი ოთხი მილიონი ტონით სადღაც შორეულ წარსულში იკარგება. მეტალურგიის ეს პროგრამა სოციალისტურ ეკონომიკის საძირკვლის ჩაყრის გადამწყვეტი გეგმაა.

მძიმე ინდუსტრიის განმტკიცების საფუძველზე შეიძლება სწრაფად წავიდეს წინ და კიდეც უნდა წავიდეს მსუბუქი მრეწველობა. მსუბუქი მრეწველობის განვითარების ტემპი მომავალ 1930-31 წელსვე თვალსაჩინოდ გაძლიერდება, რაც ხელს შეგვიწყობს უმოკლეს ვადებში დავსძლიოთ საქონლის ნაკლებობა. მსუბუქი მრეწველობის განვითარების დაჩქარება დაკავშირებულია სოფლის მეურნეობისა და სას.-სამ. სანედლეულო კულტურების განვითარების დაჩქარებასთან კოლექტივიზაციის საფუძველზე. ჩვენ მხოლოდ პირველი გაუბედავი ნაბიჯები გადავდგით ნედლეულის მხრივ უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების საქმეში; ამჟამად ეს ნაბიჯები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე შეიძლება გადაიქცნენ, და უნდა გადაიქცნენ კიდეც უფრო მტკიცე და გაბედულ ნაბიჯებად.

სოციალისტური მრეწველობის წინაშე უდიდესი ახალი ამოცანები ისმება სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისა და წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობის გარდაქმნის სფეროში. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ბუმბერაზულად ადიდებს მოთხოვნილებას სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანებზე, ტრაქტორებზე, სასუქზე, ავტომობილებზე და სხვ. სოციალისტური მრეწველობა მოვალეა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნილება, შეუქმნას სოფლის მეურნეობას ახალი ტეხნიკური ბაზა და განამტკიცოს კოლექტივიზაციის საქმე ჩვენს ქვეყანაში.

სოციალისტური მრეწველობა მოვალეა დააკმაყოფილოს სწრაფად გაზრდილი მოთხოვნილებანი ტრანსპორტისა, რომლის რეკონსტრუქციის განვითარებაც დღევანდელი დღის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს.

სოციალისტური მრეწველობა მოვალეა უფრო მეტად გააძლიეროს სამხედრო მრეწველობა და ყოველმხრივ გაადიდოს საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარი.

დიადი და პასუხსაგებია ის ამოცანები, რაც ეკისრება სოციალისტურ მრეწველობას. მაგრამ იგი დასძლევს ამ ამოცანებს. მსხვილი სოციალისტური მრეწველობა მისთვის წარდგენილ უდიდეს მოთხოვნათა სიმაღლეზე იდგომება. ეს იმიტომ, რომ დიდი და დაუშრეტელია ენერგია მუშათა კლასისა, რომელიც პასუხს აგებს ჩვენი ქვეყნის მთელი მშენებლობისათვის; დიდი და დაუშრეტელია მუშათა მასების ძალა, მილიონების ინიციატივა და თვითმოქმედება. აგრეთვე დიდი და დაუშრეტელია მრეწველობის შემდგომი, კიდევ უფრო სწრაფი გაშლის შესაძლებლობანი, რომელნიც გამომდინარეობენ მშენებლობის სოციალისტური ხასიათიდან. ჩვენ ანგარიშს ვამყარებთ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის შემდგომ გაშლაზე, დამკვრელი მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე და თვითკრიტიკის მასების აქტივობისა და თვითმოქმედების შემდგომ გაბედულ გაშლაზე.

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მიმდინარეობაში აშკარავდება სულ ახალი და ახალი რესურსები, მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარების სულ ახალი შესაძლებლობანი. მხოლოდ ტემპების შემდგომი დაჩქარებით შესძლებს მუშათა კლასი გადასჭრას უდიდესი ისტორიული ამოცანა—დაეწიოს და გაუსწროს ტეხნიკურ-ეკონომიურად კაპიტალიზმის ყველაზე მოწინავე ქვეყნებს. ამიტომ სოციალისტური მშენებლობის მტერია, კლასობრივი მტრის აგენტია ყველა ის, ვინც ასე თუ ისე ხელს უშლის განვითარების შემდგომ დაჩქარებას, ვინც ლაყბობს ტემპების შენელების შესახებ. მემარჯვენე ოპორტუნისტებს შეხედულებანი, რომლებიც გულისხმობენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის შეფერხებას, მე-XVI ყრილობამ კომუნისტური პარტიის რიგებში ყოფნასთან შეუთავსებლად გამოაცხადა.

რაციონალიზატორული მუშაობის ფარგლები თანდათან ფართოვდება. განუწყვეტელი კვირა, რომელიც მომავალ წელს მთელ მრეწველობაზე უნდა გავრცელდეს, ტემპების დაჩქარებისათვის ბრძოლაში აშკარავებს პირველხარისხოვანი რევოლიუციონური იარაღის ყველა უპირატესობას. განუწყვეტელი კვირის შემოღება, წყებათა გადიდება თვალსაჩინოდ ადიდებს ძირითადი კაპიტალის გამოყენებას და უაღრესად სერიოზულ როლს ითამაშებს მრეწველობის გაშლის ტემპების დაჩქარებაში. ბრძოლა მექანიზმების უკეთ და სრულად გამოყენებისათვის, მანქანებისადმი ზოგჯერ მხეცური მოპყრობის აღმოფხვრისათვის, ბრძოლა დანაკარგებთან, რაციონალიზატორული ორგანოების მუშაობის გამტკიცებისა და გაშლისათვის, საწარმოების მიერ ერთმანეთისათვის გამოცდილების ნამდვილად ფართოდ გაზიარებისათვის, მოწინავე საწარმოების მიერ ჩამორჩენილ საწარმოებზე შეფობის აღებისათვის, უცხოეთის ტეხნიკისა და გამოცდილების უფრო სრულად გამოყენებისათვის, მართვა-გამგეობის სისტემის გაუმჯობესებისათვის და ერთმმართველობის შემოღებისათვის, საწარმოების მიერ ტეხნიკური ხელმძღვანელობის ნამდვილად გაუმჯობესებისათვის და სხვ.—ჩვენს განკარგულებაში მყოფი ყველა ეს რესურსები აუმჯობესებენ მრეწველობის მუშაობის ხარისხს და აჩქარებენ მისი განვითარების ტემპებს.

ეჭვს გარეშეა, რომ მსხვილი სოციალისტური მრეწველობა, რომლის ხელმძღვანელი, გარდამქმნელი როლი მკაფიოდ იჩენს თავს პრაქტიკული მშენებლობის ყოველ ნაბიჯზე, დასძლევს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის ამ ბუმბერაზულ ამოცანებს. მსხვილი სოციალისტური მრეწველობა წარმოადგენს მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ბერკეტს, გაშლილი სოციალისტური შეტევის წარმატებით განხორციელების გადამწყვეტ ფაქტორს.

„პრავდა", 9 ივლისი.

# საკავშირო კომპარტიის (ბ) XVI ყრილობა

## კამათი ამხ. კუიბიშევის მოხსენების გარშემო

### ამხ. ომელიანჩუკი

(ურალი)

ეხება რა ურალის ქარხნების მუშაობას, ამხ. ომელიანჩუკი აღნიშნავს, რომ 1928 წლიდან ურალის ქარხნებს აქვთ მთელი რიგი მიღწევები, როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების, ისე თვითღირებულების დაკლების დარგში. მაგრამ ყოველივე ეს მიღწეულია არა უკეთესი მოწყობილობის ხარჯზე. უკეთესი მოწყობილობა ჩვენ ცოტა მივიღეთ, — ამბობს ორატორი, ჩვენი მიღწევები უმთავრესად უნდა მიეწეროს მასების აქტივობას, სოციალისტურ შეჯიბრებას და დამკვრელობას. ჩვენ ჯერ ადამის დროის მანქანებზე გვიხდება მუშაობა.

ორატორი მიუთითებს აგრეთვე მუშახელის ცვალებადობაზე. მაგალითად, ზლატოუსტში, ყოველთვიურად საბინაო კრიზისის გამო 3—3½ კაცი სტოვებს სამუშაოს. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

### ამხ. სემერკინი

(ლენინგრადი)

ჩვენში ტურბინების მშენებლობის საქმე სრულიად არ არის მოგვარებული. ამხ. სტალინის სახელობის ლითონის ქარხანა მხოლოდ 7,000 ცხენის ძალით არის დატვირთული. ტურბინები დნეპროსტროისათვის ამერიკაში დაუკვეთეს იმ დროს, როცა ჩვენ შეგვეძლო ამ დაკვეთების შესრულება. ჩვენს ქარხანაში შეიძლებოდა აგრეთვე ორთქლის ტურბინების მშენებლობის მოწყობა, მაგრამ ამ მხრივ არაფერი არ კეთდება. აშკარაა ბიუროკრატიული მიდგომა საქმისადმი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ჩვენს ქარხანას ცოტა ყურადღებას აქცევს, საჭიროა გადაისინჯოს ტურბინების მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა იმ პირობით, რომ მოხდეს ქარხნების სპეციალიზაცია, მათი გაერთიანება და შემოღებულ იქნას ტურბინების ტიპიზაცია. მაშინ ჩვენ არა მარტო დავაკმაყოფილებთ ჩვენი ქვეყნის საჭიროებებს, არამედ დავეწევით და გაუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

### ამხ. გოლოდედი

ცეკას სწორი ხელმძღვანელობით ჩვენმა პარტიამ მე-16 ყრილობისათვის უდიდეს წარმატებებს მიაღწია ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში. ამ წარმატებების მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ პარტიის მკაცრი ბრძოლით მემარჯვენე ოპორტუნიზმთან.

საწარმოო საშუალებების დამამზადებელ მრეწველობის განვითარებამ საშუალება მისცა ჩვენს ქვეყანას დამდგარიყო კაპიტალისტურ ქვეყნებზე ტეხნიკურ-ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან თანდათანობით განთავისუფლების გზაზე. ძირითად ამოცანად მომავალში რჩება საკუთარ მანქანათმშენებლობის და მეტალურგიული მრეწველობის ყოველმხრივ განვითარება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქიმიური მრეწველობის განვითარებას.

მე მინდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციო ტორფის საკითხს, რადგან ტორფს უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა როგორც ენერგეტიულ-სათბობ ბაზას. საბჭოთა კავშირში სწრაფად იზრდება ტორფზე მომუშავე ელექტრო-სადგურების ქსელი, მაგრამ ტორფი, როგორც სათბობი მასალა, სუსტად ვრცელდება ჩვენს მრეწველობაში და მოსახლეობაში. მის ფართოდ გამოყენებას კი შეეძლო ჩვენთვის დაეზოგა დიდძალი ხე-ტყე. ასევე სუსტად ვიყენებთ ჩვენ ტორფს, როგორც ნედლეულს. ტორფის გაზიფიკაციის და კოქსად გამოყენების საქმე ჯერ მხოლოდ ჩანასახის სახით გვაქვს. ჩვენ ცოტა ყურადღებას უთმობთ ტორფს, როგორც ნედლეულის წყაროს საფეიქრო მრეწველობისათვის. საჭიროა ფართოდ გამოვიყენოთ ტორფი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის.

დასასრულ ამხ. გოლოდედი აღნიშნავს, რომ ჩვენი პარტიის წარმატებები ინდუსტრიალიზაციის საქმეში გავლენას ახდენენ ნაციონალურ რესპუბლიკებზე. ბელორუსია დიდათ წავიდა წინ და ახლა იქ მოგვეპოვება პროლეტარიატის კადრები, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდება. ამ კადრებზე მტკიცედ არის დაყრდნობილი პროლეტარიატის დიქტატურა და მათი საშუალებით წინ მიდის სოციალიზმის მშენებლობა ბელორუსიის რესპუბლიკაში.

### ამხ. უნშლიხტი

ბოლშევიკ-ლენინელებისათვის, რომლებიც სიტყვით კი არა, არამედ საქმით ატარებენ ცხოვრებაში პარტიის გენერალურ ხაზს, აქსიომას წარმოადგენს, რომ ხუთწლიანი გეგმა 4 წელიწადში იქნება შესრულებული. მაგრამ მისი განხორციელების გზაზე არის მთელი რიგი სიძნელეები.

ჩვენი მრეწველობა უკვე პრაქტიკულად ანხორციელებს მუშურ-გლეხური წითელი არმიის მექანიზაციას და მოტორიზაციას. აქ გადამწყვეტ მომენტს წარმოადგენს პროდუქციის ხარისხი, დაკვეთების შესრულების სისწრაფე და სიზუსტე. უნდა ითქვას, რომ პროდუქციის ხარისხი არ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, დაკვეთები არ სრულდება დანიშნულ ვადაზე. სამხედრო მრეწველობის მიერ ჩვენი თავდაცვის საჭიროების დაკმაყოფილების საკითხი უმოკლეს ვადაში უნდა იქნას დასმული სათანადო სიმაღლეზე. ჩვენ არ შეგვიძლია ტეხნიკის დარგში ჩამოვრჩეთ ყველა ჩვენ კლასობრივ მტრებს.

უნდა მივაღწიოთ გარდატეხას სამხედრო მრეწველობის მიერ დაკვეთების შესრულებაში, 1930-31 წელი უნდა გადაიქცეს გარდატეხის წელიწადად სამხედრო უწყების დაკვეთების შესრულების საქმეში. უნდა მივაღწიოთ ხარისხის გაუმჯობესებას და დაკვეთების შესრულების ვადის შემცირებას.

მე მინდა მე-16 პარტყრილობის ყურადღება მივაქციო ქიმიზაციის საკითხებზე. ჩვენ დღემდე მიზანშეწონილად ვერ ვიყენებთ ჩვენ ნედლეულ რესურსებს და სათანადო ყურადღებით ვერ ვეპყრობით სხვადასხვა ნარჩენებს. ჩვენს განკარგულებაში მყოფ ნედლეულის მიზანშეწონილად გამოყენების საკითხი—პირველ ხარისხოვანი საკითხია. ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ მეცნიერულ-გამოკვლევითი საქმის განსავითარებლად ამ დარგში. ჩვენში შემჩნეულია ქიმიის როლის სათანადოთ დაუფასებლობა, ამ გარემოებას [illegible] და მთავრობა უკვე აქცევენ სერიოზულ ყურადღებას.

ამჟამად ჩვენ მოგვეპოვება ქიმიური მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. ეს გეგმა აშკარად არადამაკმაყოფილებელია, შეერთებული შტატების ქიმიური მრეწველობა შეადგენს მთელი ამერიკული წარმოების ერთ მეოთხედს, ჩვენში კი 1917 წ. შეადგენდა 3 პროც., 1927 წ. 6 პროც., ხუთწლედის დამლევისათვის კი მიაღწევს 8 პროცენტს. აშკარაა, რომ ეს მეტად არასაკმაოა. ქიმიური მრეწველობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება და ამან გამოხატულება უნდა ჰპოვოს დადგენილებაში, რომელიც მე-16 პარტყრილობა მიიღებს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენების გამო.

ჩვენმა პარტიამ მთლიანად მოიწონა პარტიის ცეკას ხაზი და ხელმძღვანელობა, გამოაშკარავებულია ყველა ნაკლოვანებები ჩვენი მრეწველობის სხვადასხვა დარგებში ჩვენ მუშაობას უნდა შეუდგეთ გამდიდრებულნი უდიდესი გამოცდილებით და გავითვალისწინოთ ყველა შეცდომები. მე ვფიქრობ, რომ ყველა სიძნელეთა მიუხედავად, ჩვენ გადავსჭრით ჩვენს წინაშე მდგომ ყველა ამოცანებს (აპლოდისმენტი).

### ამხ. როზენგოლცი

(ცენტრ. საკონტროლო კომისია)

ჩვენი მიღწევები უდავოა. ეს მიღწევები ცხადია ჩვენი მტრებისათვისაც. მაგრამ ჩვენც უნდა შევითვისოთ ჩვენს წინაშე მდგომი უდიდესი სიძნელეები. ჩვენ გვაქვს უდიდესი წარმატებები და ამავე დროს ზოგ დარგებში კიდევ გვაქვს უდიდესი ჩამორჩენილობა.

ნახშირის მხრივ ჩვენ ვიძლევით მსოფლიო პროდუქციის 3 პროც. იმ დროს, როცა შეერთებული შტატები იძლევა 40-50 პროც. მანქანათმშენებლობის დარგში, მოწყობილობათა მთელ რიგ სახეების მიხედვით, ამერიკა ჩვენზე ასჯერ მეტ პროდუქციას უშვებს. ჩვენ ყოველმხრივ უნდა გავაფართოვოთ მანქანათსაამშენებლო მრეწველობა და განსაკუთრებით მრეწველობა, რომელიც მოწყობილობას ამზადებს საამშენებლო მასალების მრეწველობისათვის, მძიმე მდგომარეობაშია აგრეთვე ქიმიური მრეწველობის მოწყობილობის წარმოება. უკეთესი მდგომარეობა არ არის აგრეთვე მანქანათმშენებლობის სხვა დარგებში.

მთავარი სიძნელეები იმაში მდგომარეობს, რომ აქამდე ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ვაქცევდით რიცხვობრივ მაჩვენებლებს და სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ჩვენ ყოველი ზომები უნდა მივიღოთ ჩვენი მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ჩვენს ახალ საწარმოებში კი არ სჩანს ახალი წესით მუშაობა. აიღეთ მაგალითისათვის, შახტების გაყვანა დონბასში. იგი ჩვენში უდრის 11 მეტრს თვეში, ამერიკაში კი—40 მეტრს. ეს იმით აიხსნება, რომ შახტის გათხრის დროს მუშა დროის მხოლოდ 50 პროცენტს ხარჯავს ნაყოფიერად დანარჩენი 50 პროც. კი უსარგებლოდ იკარგება.

მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დიდი ბრძოლა უხდებათ ახალგაზრდა სპეციალისტებს—კომუნისტებს და კომკავშირელებს. ხშირად ძველ სპეციალისტებს არ სჯერათ სწრაფი ტემპების და მუშაობის მაღალი ხარისხის შესაძლებლობა. ამ მოვლენას შეურიგებლად უნდა ვებრძოლოთ. ჩვენს საბჭოთა სისტემაში იფარება დიდი შესაძლებლობანი, რომლებიც იძლევიან ჩვენი მუშაობის უდიდესი გაუმჯობესების იმედს.

იმ დროს, როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ადგილი აქვს ბაზრის ძლიერ შეზღუდვას, ჩვენ საბჭოთა ბაზარი განუსაზღვრელ შესაძლებლობებს გვაძლევს. ეს არის ჩვენი პირველი უპირატესობა, განუწყვეტელი კვირაზე გადასვლა გვაძლევს მეტ წყებების შემოღების საშუალებას, გვაძლევს უდიდეს უპირატესობებს კაპიტალისტური საწარმოების წინაშე. ჩვენში შესაძლებელია უსაზღვრო ტეხნიკური პროგრესი, რომელიც უცხოეთში ბრკოლდება კერძო კაპიტალისტურ ინტერესების გამო, ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე წარმატებით გავატაროთ სპეციალიზაცია და მასიური წარმოება კაპიტალისტურ წარმოებისათვის სრულიად უცხო პირობებში.

ჩვენ საკმაოდ არ გამოგვიყენებია სოციალისტური მშენებლობის ეს უდიდესი რესურსები.

ჩვენი წარმატებები აიხსნება საბჭოთა წყობილებით, ხელსაყრელობითა და უპირატესობებით. ეს უპირატესობანი გვაძლევენ გარანტიას, რომ ჩვენ გადამწყვეტ გამარჯვებას მოვიპოვებთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში (აპლოდისმენტები).

საჩუქარი XVI პარტყრილობას

სტალინის სახელობის ლენინგრადის ქარხანამ ვადაზე ერთი თვით ადრე დაამთავრა დამზადება მეორე 24.000 კილოვატიანი ტურბინის. სურათზე—ტურბინა გამოცდის დროს.

### ამხ. კომისაროვი

(ჩრდილოეთის მხარე)

მე მინდა ყრილობის ყურადღება შევაჩერო ტყისა და ხის დამმუშავებელ მრეწველობაზე. წინანდელი ხუთწლიანი გეგმა ხე-ტყის დამზადების დარგში პარტიის ცეკამ გადასინჯა და 30 მილიონ კუბომეტრიდან 60 მილიონ კუბომეტრამდე გაადიდა. ამ გაორკეცებულმა პროგრამამ 600 მილიონ მანეთამდე დამატებით ვალიუტა უნდა მოგვცეს. ეს პროგრამა ითვალისწინებს ქაღალდის ქარხნების ფართო მშენებლობას, რაც ჩვენს პრესას გაანთავისუფლებს უცხოეთის ქაღალდზე დამოკიდებულებისაგან. დაბოლოს, ეს პროგრამა ნიშნავს მსხვილი ინდუსტრიის განვითარებას საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ განაპირა ნაწილში. ვერც კაპიტალისტები და ვერც მემარჯვენე ოპორტუნისტები ვერასოდეს ვერ ამოშლიან ჩრდილოეთის მუშების და გლეხების შეგნებიდან იმ უდიდეს პერსპექტივებს, რომლებიც მათ წინაშე იშლება.

რაც შეეხება ჩვენს ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობას, უნდა აღინიშნოს ის სიძნელეები, რომლებიც ამ გზაზე გვაქვს. დღემდე ჩვენში სათანადოთ არ არის შეგნებული სატყეო მრეწველობის განვითარების საკითხი. არსებობს ყალბი შეხედულება, თითქო ხე-ტყის დამზადება მხოლოდ ზამთრობით შეიძლება. უცხოეთში ხე-ტყის დამზადება მთელი წლის განმავლობაში სწარმოებს, ჩვენ კი ის ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია. სახელმწიფო საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრებიც კი არ ითვალისწინებენ ხე-ტყის დამზადებას მთელი წლის განმავლობაში. ჩვენ ვერ მიგვიღია ცოტათ თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი ასიგნობები, რომ მოვემზადოთ ხე-ტყის დამზადების მომავალი კამპანიისათვის.

საჭიროა ტყისა და ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა გაერთიანებულ იქნას ერთ მძლავრ აპარატში, რომელიც საკავშირო გაერთიანებათ გადაიქცევა. უდიდეს საწარმოებისათვის ყურადღების მიქცევასთან ერთად, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ტყის მრეწველობა, რომელიც ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო დარგს წარმოადგენს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ სატყეო სიმდიდრეთა გამოყენება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის (აპლოდისმენტები).

### ამხ. ხლოპიანკინი

(ქვემო ვოლგა)

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ სოციალისტური მშენებლობის წარმატებები წარმოადგენენ იმის შედეგს, რომ ცენტრალური კომიტეტი ენერგიულად ანხორციელებდა მე-15 პარტყრილობის დადგენილებას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. ჩვენ, ყრილობის დელეგატებს, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ინდუსტრიალიზაციის იდეა ღრმად აქვთ შეთვისებული მუშათა მასებს. ჩვენში, სტალინგრადში, მემარჯვენე ოპორტუნისტები ღირსეულ წარმომადგენლებს პოულობდნენ ინჟენერ-ტეხნიკოსთა ჩამორჩენილ ჯგუფებში, ჩამორჩენილ მუშებში, განსაკუთრებით სოფლიდან ახლად მოსულ მუშებს შორის, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავათ, პარტიის სწორი პოლიტიკისა და მუშების შრომითი აღფრთოვანების წყალობით იქმნება მრეწველობის ისეთი ახალი გიგანტები, როგორიც არის სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა.

ჩერდება რა რაციონალიზაციის საკითხზე, ამხ. ხლოპიანკინი მიუთითებს, რომ მუშაობა რაციონალიზაციის დარგში საკმაო ხელმძღვანელობის გარეშე მიმდინარეობს. საკ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მხოლოდ ფაქტებს აღრიცხავს, მაგრამ რაციონალიზაციის საქმე მოკლებულია მის სათანადო ხელმძღვანელობასა და ცოცხალ ინსტრუქტაჟს. ამ საკითხის მიმართ კი საჭიროა მეტი ყურადღება და ენერგია. ჩვენი სურვილი იმაში გამოიხატება, რომ შემდეგ ყრილობაზე რაციონალიზაციის საკითხზე ითქვას არა მარტო ის, თუ რას ვაკეთებთ ჩვენ, არამედ თუ რა გავაკეთეთ, რათა ჩვენი სახალხო მეურნეობა განთავისუფლდეს იმ უდიდეს დანაკარგებისაგან, რომლებიც მას ამჟამად აქვს წარმოების არარაციონალურად დაყენების გამო.

### ამხ. ოსინსკი

(სახ. მეურნ. უმაღ. საბჭო)

არის ძველი ანდაზა, რომელიც ამბობს, რომ ვისაც მგლების ეშინია, მან ტყეში არ უნდა იაროსო. ამ ანდაზის, რამოდენიმეთ შეცვლილი სახით გამოყენება შეიძლება ჩვენი ავტო-სატრაქტორო მრეწველობისადმი იმ მნიშვნელობით, რომ ხალხისათვის, რომელთაც აშინებს ახალი ტემპები და ამოცანები, სჯობს მრეწველობის ამ დარგს ახლო არ გაეკარონ. მემარჯვენე პლატფორმით ჯიბეში და მემარჯვენე აზრებით თავში ამ დარგში მუშაობა შეუძლებელია. თუმცა ეს ეხება აგრეთვე მთელს ჩვენს სამეურნეო მუშაობას.

ავტო-სატრაქტორო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის დამუშავების დროს ჩვენ ვდგევართ ორი საკითხის წინაშე: დავაკმაყოფილებთ თუ არა ჩვენ უახლოეს დროში ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს ტრაქტორებზე და ავტომობილებზე და როდის დავეწევით და გაუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს ამ მშენებლობაში.

თავის დროზე შედგენილი ხუთწლიანი გეგმა ხუთწლედის დამლევისათვის ითვალისწინებდა 500.000 ავტომობილის არსებობას ჩვენს ქვეყანაში. შეერთებულ შტატებში ახლა არის 26 მილიონი ავტომობილი, ინგლისში—1 ნახ. მილიონი, საფრანგეთში—1 მეოთხედი მილიონი, გერმანიაში 700.000. 500.000 ავტომობილი ხუთწლედის დამლევს ოდნავადაც ვერ დააკმაყოფილებს ჩვენ მოთხოვნილებებს. ავტომობილი ახლა ყველაზე დეფიციტური საქონელია, რაც შეეხება ტრაქტორებს, მათი რიცხვი შეერთებულ შტატებში უდრის 1 მილიონს, საშუალოდ—20 ძალიანი, ჩვენ კი ხუთწლედის დამლევს გვექნება 670.000 საშუალოდ და ათძალიანი ტრაქტორი, ე. ი. მესამედი იმისა, რაც ამჟამად აქვს შეერთებულ შტატებს. რომ ჩვენ შეერთებულ შტატების ახლანდელ დონეს გაუთანასწორდეთ ამ მხრივ, ტრაქტორების გამოშვება ყოველწლიურად უნდა გავადიდოთ დაახლოვებით 60.000-ით.

რომ ჩვენ საავტომობილო მრეწველობაში გაუთანასწორდეთ ამერიკელებს, ავტომობილების გამოშვება მეორე ხუთწლედისათვის უნდა ავიყვანოთ 8 მილიონ ცალამდე ყოველწლიურად.

ჩვენ უკვე ახლავე უნდა დავიწყოთ ფიქრი იმაზე, რომ ნიჟეგოროდის საავტომობილო ქარხნის პროდუქცია გავაორკეცოთ, შემდეგში კი—გავაოთხკეცოთ კიდეც.

ავტომშენებლობის პერსპექტივები მოითხოვენ 7 ნახევ. მილიარდ მანეთის დაბანდებას. თუ ჩვენ დავხარჯავთ ასეთ თანხას, შევსძლებთ დავეწიოთ და გავუსწროთ ტეხნიკურად უაღრესად განვითარებულ ქვეყნებს, მათ შორის შეერთებულ შტატებსაც.

ახლა ნება მიბოძეთ შევეხო იმას, თუ როგორ სრულდება საავტომობილო და სატრაქტორო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა. ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ნაკლოვანებები. გვიანდება „ამოს" ქარხნის და ნიჟეგოროდის ქარხნის ამუშავება. ეს აიხსნება დაკვეთების დაგვიანებით და ნაწილობრივ იმით, რომ ჩვენ არ მოგვცეს საჭირო მოწყობილობის უცხოეთში შეძენის ნება.

მე მთლიანად უჭერ მხარს ამხ. კაგანოვიჩის სიტყვას საკუთარი მანქანათ-მშენებლობისა და მოტორების მშენებლობის განვითარების საჭიროების შესახებ.

მეტად მნიშვნელოვანია ბენზინის წარმოების საკითხი. ყველაზე უკეთესია ჩვენი ტრაქტორების გადაყვანა ნავთიდან ბენზინზე. უცხოეთში ამჟამად აღმოჩენილია ბენზინის მიღების ახალი გაუმჯობესებული საშუალება—ჰიდროგენიზაციის გზით. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენმა მეცნიერებამ საჭირო შედეგებს მიაღწიოს ამ მიმართულებით.

დასასრულ მე მინდა შევჩერდე ტეხნიკური პროპაგანდის საკითხზე. აქ ყრილობაზე გამოვიდნენ ლიტერატურის წარმომადგენლები. მე ვისურვებდი, რომ შემდეგ ყრილობაზე ასეთივე ყურადღებით მოსმენილ იქნას ტეხნიკური აზროვნების წარმომადგენელთა სიტყვები, რომ მთელმა ქვეყანამ მოჰკიდოს ხელი უდიდესი ტეხნიკური პრობლემის გადაჭრას. როცა ტეხნიკის საკითხების გადაჭრაში ჩაბმული იქნებიან მილიონები, ჩვენ დავეწევით და გაუსწრებთ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

### ამხ. მაიზელი

თავის სიტყვას ამხ. მაიზელი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ენერგეტიული ბაზა წარმოადგენს ჩვენი მრეწველობის ერთ ყველაზე სუსტ ადგილს. საჭიროა მრეწველობის ისეთი დარგების ყოველმხრივ დაჩქარებული განვითარება, როგორიც არის—ნახშირის, ნავთის და ტორფის მრეწველობა, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნას ჩვენი სახალხო მეურნეობის დანარჩენი დარგების შეუფერხებელი განვითარება.

პარტიამ,—ამბობს ამხ. მაიზელი,—ერთსულოვნად უარჰყო თეორია — მემარჯვენეების, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ—ჩვენი მუშაობა შეგვეფარდებია სუსტ ადგილებთან, შეგვენელებია ინდუსტრიალიზაციის ტემპები. მუშათა მასების აქტივობის აზვირთების შედეგები ჩქარა გამოაშკარავდა, კერძოთ ნახშირის მრეწველობაში. სიძნელეების მიუხედავად, ნახშირის მრეწველობაში უკანასკნელ წლებში ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან მიღწევებს. ნახშირის მრეწველობა 1913 წ. შედარებით ახლა იძლევა 180 პროც. პროდუქციას.

იზრდება შრომის ნაყოფიერება, ხდება გარდატეხა თვითღირებულების დაკლების მხრივ, გვაქვს მთელი რიგი მიღწევები წარმოების მექანიზაციის დარგში. მიუხედავად ამისა, ნახშირის მრეწველობა ჩვენგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. მრეწველობის ამ დარგის განვითარებისათვის უნდა შეიქმნას განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები. პირვანდელი ვარიანტით, ნახშირის მრეწველობას, ხუთწლედის დამლევისათვის ნახშირის ამოღება უნდა აეყვანა 75 მილიონ ტონამდე. ახლა, მოთხოვნილებების გადიდებასთან დაკავშირებით, ნახშირის მრეწველობის წინაშე დასმულია ამოცანა 1930-31 წ. ნახშირის ამოღება გაადიდოს 79 მილიონ ტონამდე და 1932-33 წელს—[illegible] მილიონ ტონამდე.

ნახშირის მრეწველობის მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ახალი მაღაროების მოწყობა ჩამორჩა გეგმის ვარაუდს. 1928-29 წელს მარტო დონბასში უნდა მოგვეწყო 10 ახალი დიდი მაღარო, მაგრამ არ მოგვეწყვია არც ერთი. მხოლოდ 1929-30 წ. მიმდინარეობს ახალ მაღაროების მოწყობა გეგმის მიხედვით. ნახშირის ახალ საწარმოების მოწყობა დაუყოვნებლივ უნდა იქნას განხორციელებული, რომ უზრუნველვყოთ გეგმის შესრულება.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ნახშირის საწარმოს მოწყობა გაცილებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე რომელიმე მეტალურგიული გიგანტის აგება.

შემდეგ ამხ. მაიზელი ჩერდება ნახშირის მრეწველობის მუშაკთა კადრებზე და განსაკუთრებით უსვამს ხაზს მუშათა შემადგენლობის ცვალებადობას. მუშათა ხშირი შეცვლის შეჩერების საშუალებათ ამხ. მაიზელს მიაჩნია მემაღაროეთა ყოფა-ცხოვრებითი პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

### ამხ. ხალათოვი

მთელი ბრძოლა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, მთელი მუშაობა სახალხო მეურნეობის გარდაქმნისათვის მეტად მჭიდროთ არის დაკავშირებული კულტურული რევოლიუციის პრობლემასთან. უკანასკნელ ხანებში კულტურული მშენებლობის მთელ რიგ მნიშვნელოვან პუნქტებში ჩვენ გვაქვს სერიოზული ცვლილებები, სერიოზული გარდატეხა. მაგრამ კულტურული მშენებლობის ტემპები საგრძნობათ ჩამორჩება სამეურნეო მშენებლობის ტემპებს.

კულტურული მშენებლობის დარგში მომხდარი გარდატეხის დადასტურებას წარმოადგენს ისეთი ფაქტები, როგორიც არის წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ფართოდ გაშლა, წიგნების, ჟურნალების და საგაზეთო პროდუქციის სწრაფი ზრდა. ომამდე ტირაჟი ყველა იმ გაზეთების, რომლებიც რუსეთში გამოდიოდა, არ აღემატებოდა 2 ნახევ. მილიონ ცალს. XV ყრილობისათვის საბჭოთა გაზეთების დღიური ტირაჟი უდრიდა 8,8 მილიონ ცალს, XVI ყრილობისათვის კი ჩვენი გაზეთების დღიური ტირაჟი უკვე სჭარბობს 24 მილიონ ცალს, ხუთწლედის დამლევისათვის კი 50.000.000 ცალს უნდა მიაღწიოს.

არაჩვეულებრივად გაიზარდა აგრეთვე მასიური წიგნაკების ტირაჟი. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის გამოშვებულ სახელმძღვანელოების ტირაჟი 4-ჯერ გაიზარდა შარშანდელთან შედარებით. მარტო ანბანის წიგნი—„კრასნი პახარ"—შარშან 6 მილიონი ცალი გავრცელდა.

ჩვენი კულტურული მშენებლობის მატერიალური ბაზა მოუთმენელ მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ქაღალდის მრეწველობის მუშაობის დამკვრელ ტემპებს. საკმაოა ითქვას, რომ ქაღალდის წარმოების სისტემატიური ზრდისა და უცხოეთიდან ქაღალდის დიდი რაოდენობით შემოზიდვის მიუხედავათ, ქაღალდის წლიური მოხმარება ჩვენში არ აღემატება 2-3 კილოგრამს სულზე იმ დროს, როცა შეერთებულ შტატებში ქაღალდის მოხმარება სულზე შეადგენს 80 კილოგრამს, საფრანგეთში—20 და ჩამორჩენილ ესპანეთშიაც კი—6 კილოგრამს.

ამხ. ხალათოვი საჭიროდ სთვლის, რომ ქაღალდის მრეწველობა ტემპების განსაზღვრის მხრივ გათანასწორებულ იქნას მძიმე ინდუსტრიასთან. ამხ. ხალათოვი ამასთანავე აღნიშნავს პოლიგრაფიული მრეწველობის მძიმე მდგომარეობას.

### ამხ. ციხონი

(მშენებელთა კავშირის ცეკა)

ამხ. ციხონი თავის სიტყვას უძღვნის კაპიტალური მშენებლობის საკითხებს.

— მუშებმაო,—ამბობს ამხ. ციხონი,—მემარჯვენეთა პანიკურ ღრიანცელს ხუთწლიანი გეგმის ტემპების სიმძიმის შესახებ დაუპირისპირეს ლოზუნგი: „ხუთწლიანი გეგმა—4 წელიწადში".

ამხ. ციხონი ხაზს უსვამს ცეკას იმ დადგენილების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც შეეხება გადასვლას მშენებლობის ინდუსტრიალურ მეთოდებზე.

ორატორი აღნიშნავს, რომ ცეკამ დადგენილება გამოიტანა ჯერ კიდევ 1929 წ. მაისში, მაგრამ სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო ამ დირექტივას მეტად გაუბედავად ატარებს ცხოვრებაში. ორატორი საჭიროდ სთვლის პერსონალური პასუხისმგებლობის შემოღებას პარტიულ და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის.

შემდეგ ამხ. ციხონი ჩერდება მშენებლობისათვის საჭირო კადრების პრობლემაზე.

მიმდინარე წელს,—ამბობს ორატორი,—შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდით მომზადებულ იქნა 200.000 მუშა და მზადდება 5.000 კაცამდე საშუალო-ტეხნიკურ პერსონალიდან. კვალიფიციურ მუშა-ხელის ნაკლებობა მეტად დიდია. საამშენებლო მრეწველობას აკლია 1900 ათისთავი.

ამხ. ციხონი სთვლის, რომ სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ უნდა დაკმაყოფილდეს შრომის კომისარიატის მიერ კვალიფიციური მუშების მომზადებისათვის თვალყურის დევნებით და თავის მხრივ უნდა დასვას კადრების მომზადების საკითხი.

შემდეგ ამხ. ციხონი ეხება პროფესიონალური კავშირების როლს მუშათა მასების მობილიზაციაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამკვრელობაში და საჭიროდ სთვლის, რათა ინდუსტრიალურმა კავშირებმა სერიოზული დახმარება აღმოუჩინონ მშენებელთა კავშირს, რათა უკანასკნელმა შესძლოს სოფლიდან მოსულ მუშების დიდი არმიის აღზრდა. დასასრულ ამხ. ციხონი ლაპარაკობს განუწყვეტელი საწარმოო წლის შემოღების აუცილებლობაზე საამშენებლო მრეწველობაში.

## ყრილობის დღიური

**მოსკოვი**, 10 ივლისი. ყრილობის 10 ივლისის დილის სხდომა გაიხსნა ამხ. **იაროსლავსკის** თავმჯდომარეობით.

სამანდატო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. **ბულატოვმა**. ყრილობამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის ანგარიში.

შემდეგ გაიხსნა კამათი ამხ. **იაკოვლევის** მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ ამხ. **მილიუტინი** (მოსკოვი), **დემჩენკო** (უკრაინა), **კუზნეცოვი** (ციმბირი), **სერგანინი** (ლენინგრადი), **იაკულოვი** (ცენტრ. საკონტრ. კომისია), **პანჩენკო** (როსოშანის ოლქი), **გერჩიკოვი** („ზერნოტრესტი"), **კურამისოვი** (ყაზახსტანი), **შლიხტერი**, **სვეტლიჩნაია** (ყუბანის ოლქის კოლმეურნე ქალი), **სერდიუკი** (კოლმეურნეობა „წითელი კომუნარი"), **მურალოვი** (რუსეთის მიწსახკომი), **ხოტაევიჩი** (შუა ვოლგა), **ნიკოლაევა** (ჩრდილოეთ კავკასია) **პანჩენკი** (სიმპალატინსკის კოლმეურნე ქალი).

## ამხ. კრჟიჟანოვსკის სიტყვა

— ყრილობის მუშაობა,—იწყებს თავის სიტყვას ამხ. კრჟიჟანოვსკი,—თვალსაჩინოდ ცხადჰყოფს იმ ახალ ხარისხს, რომელსაც ჩვენი მშენებლობა იძენს. ყრილობა დიდ ყურადღებას აქცევს სამეურნეო პრობლემებს.

ამხ. კრჟიჟანოვსკი იხსენებს კარლ მარქსის სიტყვებს: „პროლეტარიატი ან რევოლიუციონურია, ან არარაობაა". „პროლეტარიატი ვერ დაიპყრობს სახელმწიფო მანქანას,—ამბობდა მარქსი,—თუ ძირეულად არ გარდაქმნა იგი, თუ არ დაანგრია ყოველი მისი ძველი საფუძვლები, თუ არ გარდაჰქმნა იგი თავისი სახისა და მსგავსების მიხედვით". ის უდიდესი სამეურნეო მუშაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ვითარდება, მოწმობს, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია დაიპყროს სამეურნეო მწვერვალები, თუ რადიკალურად არ გარდაქმნა ძველი სამეურნეო წყობის ყველა ურთიერთობანი და ყველა საფუძვლები.

— ჩვენს წინაშე გაიარეს სხვადასხვა ორატორებმა,—ამბობს ამხ. კრჟიჟანოვსკი,—რომელთა სიტყვებშიაც სხვადასხვა თვალთახედვით აშკარავდებოდა ის დებულება, რომ სამეურნეო მშენებლობა განუყოფელია პოლიტიკისაგან. პროლეტარიატი ანხორციელებს რევოლიუციონურ ხაზს და ვინც არ ურიგდება მის რევოლიუციონურ ნებისყოფას და მის გამარევოლიუციონერებელ ტემპებს, მისი გზა ჩვენსას შორდება.

ამხ. ორჯონიკიძემ,—აღნიშნავს ორატორი,—თავის სიტყვაში ამომწურავი სურათი მოგვცა იმ უარყოფითი მომენტებისა, რომლებსაც ადგილი აქვს ჩვენს სამეურნეო მუშაობაში. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვისმინეთ კრიტიკული შინაარსით მდიდარი მოხსენება, ამხ. კუიბიშევის მოხსენებაში ჩვენ მოვისმინეთ ისეთი ციფრები, რომლებიც მეტს მეტყველებენ, ვიდრე რომელიმე აღტაცებული სიტყვა. ამხ. კუიბიშევის მოხსენების ციფრები მოწმობენ ისეთ მიღწევებს, რომლების უკუღმა ახსნა ჩვენს მოწინააღმდეგე ცილისმწამებელსაც კი არ შეუძლია. როდესაც ჰუვერის კომიტეტმა გაარჩია სამეურნეო ზრდის ციფრები ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების [illegible] აყვავების წლებში (1922-1929 წლები), მან აღნიშნა, რომ მომპოვებელი მრეწველობა იძლეოდა პროდუქციის ყოველწლიურ ზრდას 2,5 პროცენტით, ხოლო დამმუშავებელი მრეწველობა იძლეოდა —4 პროცენტით. ჩვენ კი ხუთწლიან გეგმაში, რომელსაც ეხლა უკვე არასაკმაოდ ვთვლით, განზრახული გვქონდა სამრეწველო პროდუქციის გადიდება ყოველწლიურად 20-30 პროცენტით. ეხლა კი გადასინჯული ხუთწლიანი გეგმა პროდუქციის ზრდას განსაზღვრავს 30 პროცენტზე მეტით. მაგალითისათვის ავიღოთ რკინა და ფოლადი. ჰუვერის ანგარიშის ცნობებით ამერიკაში, ფოლადის მეფეთა სამყოფელოში, რკინისა და ფოლადის პროდუქცია 15 წლის განმავლობაში (1912-27 წლები) 50 პროცენტით გადიდდა. ჩვენში კი ხუთწლიანი გეგმის ახალი ვარიანტის მიხედვით, დამზადებული უნდა იქნეს 17 მილიონი ტონა თუჯი, ე. ი. პროდუქციის გადიდება სამი წლის განმავლობაში 300-ზე მეტი პროცენტით გამოიხატება.

შემდეგ ამხ. კრჟიჟანოვსკი გადადის პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლის საკითხზე და აღნიშნავს, რომ ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტანდარტიზაციის მუშაობას.

ამხ. კრჟიჟანოვსკი ჩერდება ელექტრიფიკაციის საკითხებზე და ხაზგასმით აღნიშნავს ჩვენი ელექტრო-ენერგეტიული რეზერვების და კაპიტალისტურ მსოფლიოს რეზერვების განსხვავებას.

თუ გვერდს აუხვევთ კაპიტალისტურ მშენებლობის მეთოდებს და დავაკვირდებით ჩვენი ელექტრიფიკაციის შემაკავშირებელ როლს,—ამბობს ამხ. კრჟიჟანოვსკი,—შეგვიძლია დავინახოთ, რომ იგი მკვეთრად განსხვავდება იმ ელექტრიფიკაციისაგან, რომელსაც კაპიტალისტური მსოფლიო აშენებს. იქ იმისათვის, რომ ელექტროსადგურის სახურავ ქვეშ შეერთდეს სხვადასხვა წარმოებები, სხვადასხვა ფაბრიკები და შრომის სხვადასხვა დარგები, საჭირო ხდება კომერციული ხელოვნებისა და საკონკურენციო ბრძოლისათვის მიმართვა, ჩვენ კი არავითარ საკონკურენციო ბრძოლას არ ვიცნობთ. ჩვენ შეგვიძლია გავადიდოთ აქ შეერთების შესაძლებლობანი და ელექტროსადგურის აშენების შესაძლებლობანი ყოველ ადგილას, სადაც კი სათანადო რესურსები მოიპოვება, და ანგარიში არ ვაუწიოთ მიწის საკუთრების უფლებას, ანგარიში არ გავუწიოთ კერძო ინტერესებს. ჩვენ საშუალება გვაქვს ამ ენერგიტიულ ცენტრებს დავუკავშიროთ ყოველნაირი საწარმო, ყოველნაირი რკინის გზა, სოფლის მეურნეობის ყოველნაირი დარგი. ჩვენს წიაღში უდიდესი ენერგეტიული რესურსები იფარება.

ამხ. კრჟიჟანოვსკი თავის სიტყვას ამთავრებს მოწოდებით, რომ განმტკიცდეს საგეგმო ორგანოების კავშირი მუშათა უდიდეს აქტივთან.

— ეს კავშირი საჭიროა, რათა განვახორციელოთ დიადი სამუშაოები, ხუთწლიანი გეგმიდან გადავიდეთ გენერალურ გეგმაზე და დავიპყროთ ახალი უდიდესი ძალები. მაშინ, როდესაც ბურჟუაზიას ეშინია მომავალს შეხედოს, ჩვენ ამ გეგმის საშუალებით დავსახავთ მომავლის ახალ მიჯნებს და დავინახავთ კიდევ უფრო მძლავრ საშუალებას ჩვენი ნებისყოფის გაერთიანებისათვის მით უმეტეს, რომ ამ გეგმას ხელს შეუწყობს ჩვენი პარტიის ფოლადისებური მთლიანობა. ჩვენმა პარტიამ ამ ყრილობაზე ისე გამოსჭედა თავისი მთლიანობა, როგორც არც ერთ წინა ყრილობაზე. მე ვფიქრობ, შემიძლია დავამთავრო მარქსის სიტყვებით: „დეე ძრწოდნენ გაბატონებული კლასები კომუნისტური რევოლიუციის წინაშე. პროლეტარები ბორკილებს გარდა არაფერს დაჰკარგავენ, შეიძენენ კი მთელ მსოფლიოს". (მქუხარე ტაში).

## ამხ. კუიბიშევის საბოლოო სიტყვა

ამხ. კუიბიშევი თავის საბოლოო სიტყვაში აღნიშნავს, რომ მისი მოხსენების ირგვლივ გამართული კამათი საერთოდ საინტერესო და შინაარსიანი იყო და მთელი რიგი ძვირფასი შენიშვნები შეიტანა განსაკუთრებით სამრეწველო დარგების საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებზე განაწილების გეგმის შესახებ. ამხ. კუიბიშევი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამრეწველო დარგების განაწილების საკითხის გადაჭრა უნდა დაექვემდებაროს მთელი სახალხო მეურნეობის ინტერესებს და არა ცალკე მხარეებისა და ოლქების ინტერესებს.

მომხსენებელი აღნიშნავს, თუ რა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ურალ-ციმბირის, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, ურალ-კუზნეცკის ქვანახშირისა და მეტალურგიულ ბაზის შექმნის საკითხს.

— ურალ-კუზნეცკის ქვანახშირის და მეტალურგიის კომბინატის შექმნა,—ამბობს ამხ. კუიბიშევი—წარმოადგენს არა მარტო სამეურნეო, არამედ უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხს. ამ საკითხის ირგვლივ დარაზმული უნდა იყოს მთელი პარტიისა და მთელი მუშათა კლასის ყურადღება. ურალ-კუზნეცკის კომბინატის საკითხი უნდა გადაიქცეს სადღეისო ლოზუნგად ისევე, როგორც „5-წლიანი გეგმა ოთხ წელიწადში". ყრილობამ განსაკუთრებით მკაფიო ყურადღება უნდა მიაქციოს ურალ-კუზნეცკის პრობლემას თავის რეზოლიუციაში.

ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ყრილობაზე გამოსული მრეწველობის სხვადასხვა დარგების წარმომადგენელნი მოითხოვდნენ სწორედ იმ დარგების დაჩქარებით განვითარებას, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ. მათ უკუღმა გაიგეს ყრილობის ტრიბუნის გამოყენების შესაძლებლობა. ყრილობის ამოცანაა—დასახოს პოლიტიკური ხაზი და არა ცალკე წარმოებათა და საწარმოთა პროცენტული შეფარდება და ხვედრითი წონა განსაზღვროს.

დასასრულ ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ჩვენს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით სდგას სამრეწველო მშენებლობის ტემპების დაჩქარების შენარჩუნების ამოცანა. გადაჭრით უნდა უკუვაგდოთ მემარჯვენე ოპორტუნისტების თეორია განვითარების შენელების შესახებ, უნდა გამოვიყენოთ ყველა რეზერვები და დავაჩქაროთ შემდგომი სამრეწველო მშენებლობა. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მძიმე მრეწველობის განვითარებას და განსაკუთრებით თუჯის ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი ქვეყნის ნედლეულზე მომუშავე მსუბუქ მრეწველობას, კაპიტალურ მშენებლობას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და კადრების მომზადებას. ამ უკანასკნელ ამოცანას ამხ. კუიბიშევი ამოცანათა ამოცანად სთვლის.

— ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ,—ამბობს ამხ. კუიბიშევი,—რომ ხუთწლიანი გეგმის ვარაუდები წარმოების ყველა დარგებში გადაჭარბებით შესრულდება. ჩვენ ეს უზრუნველვყავით სწორი ლენინური პოლიტიკით. საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩვენი მშენებლობის ტემპები მომავალში შენელდება. პირიქით, ეს ტემპები გაიზრდება. ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ხუთჯერ ადიდებს საერთო სამრეწველო პროდუქციას ომის წინადროინდელ დონესთან შედარებით.

— სად არის კიდევ ასეთი ტემპები როგორც ჩვენში? 14 წლის განმავლობაში იტალიამ პროდუქციის რაოდენობა 14 პროც. გაადიდა, გერმანიამ 16 წლის განმავლობაში სამრეწველო წარმოება 17 პროც. გაადიდა, ინგლისმა 16 წლის განმავლობაში მხოლოდ შეინარჩუნა პროდუქციის წინანდელი დონე. 16 წლის განმავლობაში ინგლისი ერთ და იმავე ადგილს სტკეპნის. ჩვენ შევითვისებთ დასავლეთის ტეხნიკის საუკეთესო მიღწევებს, დავუმატებთ მას ჩვენს საბჭოთა სისტემას და უნახავი სწრაფი წინსვლით დავეწევით და გავუსწრებთ კაპიტალისტურ მსოფლიოს. დიად შეჯიბრებაში ჩვენსა და კაპიტალისტურ მსოფლიოს შორის ჩვენ გავიმარჯვებთ (ხანგრძლივი ტაში).

ახალი ელევატორი ნიკოლაევში

ნიკოლაევში მთავრდება ახალი ელევატორის აგება, რომელიც 41.000 ტონა ხორბალს დაიტევს.

## საფრანგეთში უკმაყოფილონი არიან იტალიის პასუხით ბრიანის მემორანდუმზე

## გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერება ინდოეთში.—თავდასხმები ინგლისის ჯარზე

## ოფიციალური ცნობებით, გერმანიაში 2.700.000 უმუშევარია

## „პან-ევროპის" გარშემო

### საფრანგეთის პრესა და იტალიის პასუხი ბრიანის მემორანდუმზე

**პარიზი**, 9 ივლისი. მთელი საფრანგეთის პრესა სასტიკად აკრიტიკებს იტალიის პასუხს ბრიანის მემორანდუმზე ევროპის ფედერაციის შექმნის შესახებ.

მეტ ყურადღებას პრესა „ტან"-ის მეთაურობით აქცევს იტალიის წინადადებას ფედერაციაში საბჭოთა კავშირისა და თურქეთის შეყვანის შესახებ. „საბჭოთა კავშირი და თურქეთი,—აცხადებს პრესა, იმდენად ევროპიული არაა, რამდენადაც აზიური სახელმწიფოები არიან. ამიტომ იტალიის ცდა, რომ ეს სახელმწიფოები შეყვანილ იქნან ფედერაციაში არსებითად მოასწავებს ამ ფედერაციის გადაქცევას „ზეევროპიულ ზეფედერაციად", რომელიც, ამგვარად, აუცილებლად დაუპირისპირდება ერთა ლიგას.

„პტი პარიზიენ"-ი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ „ძნელია შეთავსებულ იქნას ერთა ლიგისადმი პატივისცემა ფედერაციაში ისეთ სახელმწიფოთა შეყვანასთან, როგორნიც ბრიან თურქეთი და საბჭოთა კავშირი, რომელნიც დღემდე უარს ამბობენ ერთა ლიგაში მონაწილეობაზე".

კომპარტიის ორგანო **„ლუმანიტე"** აშკარავებს იმ მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელობს იტალია და აღნიშნავს, რომ იტალია, რომელიც თანმიმდევრობით უარყოფს ევროპის ფედერაციის სახით ახალი ერთა ლიგის შექმნის იდეას, იმდენად ერთა ლიგაზე არა ზრუნავს: მას აინტერესებს თავისი მეგობრობის განმტკიცება ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკასთან, რომელიც ამჟამად მტრულადაა განწყობილი ევროპის ფედერაციის იდეისადმი.

ზაუერვეინი „მატენ"-ში ეხება იმას, თუ რამდენად შესაძლებელია ბრიანის პროექტის განხორციელება და აღნიშნავს, რომ ანგარიშიდან გამორიცხულ უნდა იქნან ინგლისი, რომელიც თავისი იმპერიის განმტკიცების ზრუნვაშია გართული და რომელიც „პატივმოყვარეობის ცვალ-ცვალებას განიცდის და იტალია. ზაუერვეინი აფრთხილებს თავისიანებს—არ მოხდეს დაახლოება საბჭოთა კავშირთან და აცხადებს: „საბჭოები, თუ მათთან კავშირი დაიდო, გერმანიაში ბოლშევიზმის მიკრობებს" შეიტანენ. (ადს).

### გერმანიის ბურჟუაზიული პრესა იწონებს იტალიის პასუხს ბრიანის მემორანდუმზე

**ბერლინი**, 9 ივლისი. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა იწონებს იტალიის პასუხს ბრიანის მემორანდუმზე. **„კიოლნიშე ციიტუნგ"**-ი სწერს, რომ იტალიის პასუხმა მეტისმეტად მოხერხებულად ჩაფუშა საფრანგეთის გეგმები.

სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტს"-ი სცდილობს იტალიის მოთხოვნა ფედერაციაში საბჭოთა კავშირის შეყვანის შესახებ გამოიყენოს ახალი გალაშქრებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს).

### გერმანიის პასუხი ბრიანის მემორანდუმზე

**ბერლინი**, 10 ივლისი. გერმანიის მთავრობის საპასუხო ნოტა ბრიანის პან-ევროპის მემორანდუმზე შეიცავს განცხადებას, რომ გერმანიის მთავრობა მზად არის მიიღოს მონაწილეობა იმ მოლაპარაკებაში, რომელიც უნდა მოხდეს ჟენევაში მომავალ სექტემბერს. ნოტას საჭიროდ მიაჩნია პირველ რიგში, პოლიტიკური და სამხედრო პრობლემების წინასწარ გადაჭრამდე, დაისვას ისეთი საკითხები, რომლებიც სამეურნეო მიზნებს შეეხებიან. (ადს).

**ბერლინი**, 9 ივლისი. რეიხსტაგის გარეშე საქმეთა კომისიამ საიდუმლო სხდომაზე განიხილა გერმანიის პასუხი ბრიანის მემორანდუმზე. არსებული ცნობების მიხედვით, გარეშე საქმეთა მინისტრმა კურციუსმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა საერთოდ ეთანხმება ბრიანის გეგმას, მაგრამ ეკონომიური კავშირისთვის მიუთითებს მთელ რიგ წინასწარ პოლიტიკურ პირობებზე. მთავრობა აუცილებლად სთვლის აგრეთვე ამ კავშირში საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის მონაწილეობას.

კამათის დროს ბურჟუაზიული პარტიების წარმომადგენლები და სოციალ-დემოკრატები მიემხრნენ ბრიანის გეგმას, მხოლოდ იმ შენიშვნით, რომ საჭიროა დაცვა „ხალხთა თანასწორუფლებიანობისა", არსებული ხელშეკრულებებისა და სხვ. (ადს).

## კლასობრივი ბრძოლები გერმანიაში

### უმუშევრობა

**ბერლინი**, 9 ივლისი. ივნისის მეორე ნახევარში უმუშევართა რიცხვი გერმანიაში შემცირდა მხოლოდ 10.000 კაცით და უდრის 2.690.000 კაცს. შემწეობას იღებს 9.833.000 კაცი, 900.000 კაცით მეტი, ვიდრე შარშან ამ დროს. (ადს).

### გაფიცვათა ახალი ტალღა

**ბერლინი**, 9 ივლისი. გერმანიის ჩრდილოეთ - დასავლეთის სამრეწველო რაიონში გამოცხადდა მელითონეთა ახალი გაფიცვები: ბოხუმის, მიულჰეიმის, დიუსელდორფის, ესენის და გელზენკირხენის საწარმოებში; დორტმუნდში თითოეულ შტრეიკბრეხერს, მუშაობის გათავების შემდეგ, პოლიცია სახლამდე აცილებს. ქალაქ გელზენკირხენს სამხედრო ბანაკის სახე მიეცა. ქარხნები უჭირავთ პოლიციელებს, რომლებიც ერეკებიან გაფიცულთა პიკეტებს. მოხდა მასიური ჩხრეკა. დაიჭირენ იარაღს.

პოლიციური ტერორის ზეგავლენით „გიუტე"-ს საწარმოების ზოგიერთ საამქროში მუშაობა განახლდა. (ადს).

## ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე

**სტოკჰოლმი**, 9 ივლისი. ამსტერდამის ინტერნაციონალის კონგრესზე გამჟღავნდა იგივე წინააღმდეგობანი, როგორიც ლონდონის კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. ამ წინააღმდეგობით გაჟღენთილია მისალმების დეკლარაციებიც კი.

ავსტრალიის პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელი **გროვტსი** გამოვიდა ავსტრალიის პროტექციონიზმის და ავსტრალიაში იმიგრაციის აკრძალვის დაცვით. ამავე დროს გროვტსმა განაცხადა, რომ ავსტრალიის პროფკავშირები არ შევლენ ამსტერდამში, სანამ უკანასკნელი მოსკოვთან არ გაერთიანდება.

პალესტინის წარმომადგენელმა რუბაშენმა ილაპარაკა იმედების იმ გაცრუებაზე, რომელიც მაკდონალდის მთავრობის მოღვაწეობამ გამოიწვია.

იაპონიის პროფკავშირების დელეგატმა სუზუკიმ აღნიშნა კომუნისტური გავლენის ზრდა იაპონიაში.

ზასენბახმა (ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანმა) გააკეთა მოხსენება ამსტერდამის საბჭოს მუშაობის შესახებ. ზასენბახმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ განვლილ პერიოდში ამსტერდამსა და წითელ პროფინტერნს შორის არავითარი მიწერ-მოწერას არ ჰქონებია ადგილი.

კამათში გამოსულმა **არტურ კუკმა** (ინგლისის მემაღაროეთა კავშირის წარმომადგენელმა) მკაცრად გაილაშქრა ამსტერდამის თანამშრომლობის წინააღმდეგ ფაშისტებთან და რეაქციონურ ქრისტიანულ პროფკავშირებთან ერთა ლიგის შრომის ბიუროში.

„ჩვენ — განაცხადა კუკმა — კომუნისტების მოწინააღმდეგენი ვართ, მაგრამ მოსკოვის მაგიერ ბატონობს რომი და რომის პაპი".

საბოლოო სიტყვაში ზასენბახმა აღნიშნა, რომ ფაშისტებთან და ქრისტიანულ პროფკავშირებთან თანამშრომლობის საკითხი „დამშვიდებით უნდა იქნას განხილული". ამავე აზრს იცავდა ჟუოც.

კუკის მოთხოვნაზე — გამართულიყო დისკუსია, თავმჯდომარემ — ჟუომ — უარით უპასუხა.

ნიშნად პროტესტისა ინგლისის დელეგაციამ დემონსტრატიულად შეიკავა თავი იმ რეზოლიუციისათვის კენჭის ყრის დროს, რომელიც იწონებდა ამსტერდამის საქმიანობას. (ადს).

**სტოკჰოლმი**, 9 ივლისი. ამსტერდამის ეკონომიური პროგრამის შესახებ მოხსენება გააკეთა ეგგერტმა.

მომხსენებელმა განაცხადა: „ჩვენ უკუვაგდებთ რევოლიუციონურ ფრაზებს და ვდგევართ ეკონომიური სისტემის თანდათანობით გარდაქმნის პოზიციაზე. ამ გარდაქმნის იარაღს წარმოადგენს ერთა ლიგა, რომელმაც ამ მიზნით უნდა შექმნას საერთაშორისო ეკონომიური ბიურო".

„ამსტერდამიო, — განაცხადა ეგგერტმა, — მოითხოვს სამეურნეო დემოკრატიას და პროფკავშირების მონაწილეობას ტრესტების მმართველობაში და ადგილის დათმობას ამსტერდამისათვის სარეპარაციო ბანკში".

ინტერნაციონალის თავმჯდომარის მოადგილის მარტენსის მოხსენება სოციალური კანონმდებლობის პროგრამის შესახებ, წარმოადგენდა შრომის საერთაშორისო ბიუროს ქებათ-ქებას:

ჟუოს მოხსენება განიარაღებისა და მშვიდობიანობის შესახებ არსებითად წარმოადგენდა მოხსენებას ერთა ლიგის მუშაობის შესახებ, რომელიც მოწონებულია ამსტერდამის მიერ.

ინგლისის პროფკავშირების წარმომადგენელმა ბრომლიმ განაცხადა: „ჟუოს მიერ ნაჩვენები გზით რომ ვიაროთ, რამდენიმე წლის შემდეგ მუშათა კლასი ისევ ბრძოლის ველზე ამოყოფს თავს". ბრომლის ამ სიტყვებს ინგლისის დელეგაცია ტაშისცემით შეხვდა.

მოხსენება პროფმოძრაობის შესახებ „არა დემოკრატიულ ქვეყნებში" გააკეთა ხიკსმა, რომელიც უხვად ისროდა რევოლიუციონურ ფრაზებს ფაშიზმის წინააღმდეგ, მაგრამ ამსტერდამის ნამდვილი პოზიცია ფაშიზმის მიმართ ნათლად გამოაშკარავდა კუკის სიტყვებში, რომ ის არის „კომუნისტებისა და მოსკოვის წინააღმდეგ". (ადს).

## ინგლისის მთავრობის კრიზისის მოლოდინში

**ლონდონი**, 9 ივლისი. რეიტერის სააგენტო უწყებს: „როგორც გადმოგვცემენ, პოლიტიკური მდგომარეობა დღეს მეტისმეტად გაურკვეველია. მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ ხვალ შეიძლება მან მარცხი განიცადოს საფინანსო პროექტის გამო".

მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მთავარი ორგანიზატორის სიტყვით, საფინანსო პროექტის საკითხში დამარცხება, უნდა ვიფიქროთ, გამოიწვევს მთავრობის გადადგომას. (ადს).

## დააპატიმრეს ვარშავაში საბჭოთა საელჩოს აფეთქების ცდის ორგანიზატორი

**ვარშავა**, 10 ივლისი. უკანასკნელ დღეებში გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობები, რომ სამხრეთ - სლავიაში აღმოაჩინეს ვარშავის საბჭოთა საელჩოს აფეთქების ცდის ორგანიზატორი.

„კურიერ პორანნი" იუწყება, რომ სამხრეთ - სლავიაში გაგზავნილ პოლონელ გამომძიებელ სკურჟინსკის წინადადებით **სამხრეთ-სლავიის ხელისუფლებამ დააპატიმრა აფეთქების ცდის ორგანიზატორი**. პოლონეთის მთავრობას განზრახული აქვს—მოსთხოვოს სამხრეთ - სლავიას დაპატიმრებულის გაცემა. **ავტორიტეტულ წრეებში ადასტურებენ, რომ ერთი პირი, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ აღებული აფეთქების ცდასთან დაკავშირებით, მართლა დაპატიმრებულია.** დაპატიმრებულის ვინაობას და ადგილს, სადაც ის დაპატიმრეს, ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახავენ (ადს).

## ზანგ მუშების საერთაშორისო ყრილობა

**ბერლინი**, 3 ივლისი. ჰამბურგში შესდგა ზანგი მუშების საერთაშორისო ყრილობა, რომელიც უნდა შემდგარიყო ლონდონში, მაგრამ მაკდონალდის მთავრობამ აკრძალა. ყრილობას ესწრებოდნენ ნიგერიის, სიერალეონის, სენეგალიის, გამბიის, შეერთებული შტატების კოლონიების და სხვა ადგილების წარმომადგენელნი. ყრილობა გახსნა ზანგი მუშების გაერთიანების დროებითი ამასკომის თავმჯდომარემ ჯეიმს-ფორდმა. (ადს).

### ზანგი მუშები — საბჭოთა კავშირის სადარაჯოზე

**ბერლინი**, 10 ივლისი. ზანგი მუშების საერთაშორისო ყრილობაზე ჰამბურგში, ამომწურავი დისკუსიის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ **იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტები თავს დაესხმიან საბჭოთა კავშირს, მშრომელი ზანგები მხარს დაუჭერენ მთელ ქვეყნის მშრომელთა სამშობლოს.** კამათის დროს დელეგატებმა საჭიროდ დაინახეს მოქმედების პროგრამის შემუშავება იძულებით მუშაობასთან საბრძოლველად. მათ აღნიშნეს, რომ ზანგი მუშები მზად არიან ებრძოლონ კაპიტალისტებს ლოზუნგით — კლასი კლასის წინააღმდეგ. ყრილობამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა პროფინტერნის აღმასკომს.

სხდომის შემდეგ გაიმართა მიტინგი უცხოელ მეზღვაურთა და ჰამბურგელ მუშათა მონაწილეობით.

მიტინგი დამთავრდა „ინტერნაციონალის" სიმღერით და ძახილით: „გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს და მსოფლიო პროლეტარიატს". (ადს).

## ინდოეთში

### შეტაკება გლეხებსა და პოლიციელებს შორის

**ლონდონი**, 9 ივლისი. ბურდვანში (ბენგალიის პროვინცია ინდოეთში) მოხდა შეტაკება გლეხებსა და პოლიციელებს შორის. ორი გლეხი დაიჭრა. გლეხებმა შეიპყრეს ერთი პოლიციელი, რომელიც არ გაუშვეს იმ დრომდე, სანამ მან თანხმობა არ განაცხადა, რომ სამსახურზე უარს იტყვის. (ადს).

### ინდოეთის ტომების ბრძოლა ინგლისელებთან

**ლონდონი**, 9 ივლისი. მახსუდების რაზმები თავს დაესხნენ სარაროგას ფორტს. ვაზირთა რაზმები დაესხნენ ინგლისის მოწინავე პოსტს შამრაგაზში. იმავე დროს იმავე ტომის მეორე რაზმმა დახწვა ინგლისის მეორე მოწინავე პოსტის შენობა. ინგლისელთა აეროპლანებმა დემონსტრაცია მოაწყვეს ამ ტომის სოფლებში. ისინი დაემუქრნენ სოფლებს ყუმბარების დაშენით, იმ შემთხვევაში, თუ ისინი მტრულ მოქმედებას არ შესწყვეტენ. (ადს).

**ლონდონი**, 9 ივლისი. ვანიამბადში (მადრასის პროვინცია ინდოეთში) გლეხები თავს დაესხნენ პოლიციელებს და შეეცადნენ პოლიციის მიერ დაპატიმრებული ნაციონალური კონგრესის ექვსი წევრის განთავისუფლებას. პოლიციელებმა სროლა ასტეხეს. ერთი გლეხი მოჰკლეს, რამდენიმე დასჭრეს. (ადს).

### თავდასხმა ეროვნული კონგრესის შენობაზე

**ლონდონი**, 9 ივლისი. როგორც ბომბეიდან იტყობინებიან, ურჩობის კამპანიის დაწყების დღიდან პოლიცია მეხუთედ დაეცა ეროვნული კონგრესის კომიტეტის შენობას. პოლიციამ შეიპყრო ერთი მომუშავე და კონფისკაცია უყო კონგრესის ბიულეტენებს. (ადს).

## პარტიული მასები გადაჭრით მოითხოვენ მემარჯვენეთა იდეურ განიარაღებას

**მოსკოვი**, 9 ივლისი. მოსკოვის საწარმოთა უჯრედები შეუდგნენ მე-16 პარტყრილობის მუშაობის განხილვას. „ტრიოხგორნაია მანუფაქტურა"-ს, „მოსელექტრიკ"-ის, „პროლეტარსკი ტრუდ"-ისა და „დინამო"-ს ქარხნების პარტიული მასა მთლიანად უერთდება ც. კ.-ის ანგარიშის გამო მიღებულ ყრილობის რეზოლიუციას. ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ ყრილობის ლენინურ მთლიანობას და ბუმბერაზულ მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, რომლებითაც მიწასთან იქნა გასწორებული მემარჯვენე ოპორტუნიზმის პლატფორმა—ეს კულაკური აგენტურის გამოხატულება პარტიის რიგებში. კრებები მკაცრად ჰგმობენ მემარჯვენე ლიდერების ორაზროვან ყოფაქცევას, ლიდერების, რომლებმაც სავსებით არ გამოააშკარავეს თავიანთი შეცდომები და პირდაპირ ბოლშევიკურად არ უპასუხეს პარტიას. კრებები მოითხოვენ მემარჯვენე ლიდერებისაგან გადაჭრილ პასუხს და საჭიროდ ცნობენ აგრეთვე, რომ მე-16 პარტყრილობამ იმ მემარჯვენეების მიმართ, რომლებიც გარკვევით არ აღიარებენ თავიანთ შეცდომებს და არ გამოუცხადებენ ბრძოლას მემარჯვენე ოპორტუნიზმს, მიიღოს ისეთივე გარდამწყვეტი ზომები, როგორიც მე-15 ყრილობამ მიიღო ტროცკისტების წინააღმდეგ.

უჯრედები ყველა რეზოლიუციებში აღნიშნავენ, რომ ქარხნების პარტიული მასა იქნება ბოლშევიკური ლენინური ც. კ.-ის ნამდვილი დასაყრდენი. (ადს).

**ხარკოვი**, 10 ივნისი. გაიმართა ამხ. სტალინის სახელობის ელექტრო-მექანიკური ქარხნის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნის, „სერპ ი მოლოტ"-ის, რკინის გზის კვანძის ვალოქარხნისა და სხვა მსხვილ საწარმოთა პარტ კოლექტივების კრებები, რომლებზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები მე-16 პარტყრილობის მუშაობის შესახებ. ორატორები სასტიკად ილაშქრებდნენ მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც ორნახევარი წლის განმავლობაში ცდილობდნენ ხელი შეეშალათ პარტიისათვის გენერალური ხაზის გატარებაში და თვით ყრილობაზედაც კი დაადგნენ პოლიტიკურ ორჭოფობასა და თვალთმაქცობის გზას.

კრებებზე მოწონებულ იქნა ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის. ერთხმად მხარი დაუჭირეს რეზოლიუციის იმ პუნქტს, სადაც ლაპარაკია კომპარტიის წევრობასთან მემარჯვენე ოპორტუნისტების შეხედულებათა შეუთავსებლობაზე.

ხაზი გაუსვეს იმას, რომ თუმცა მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებმა ქედი მოიხარეს ყრილობის წინაშე, მაგრამ იდეურად ისინი ჯერ კიდევ არ განიარაღებულან. კრებებს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნიათ მემარჯვენე ოპოზიციის იდეოლოგის ბუხარინის სიჩუმე და აცხადებენ, რომ მემარჯვენე გადახრის ლიდერებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში.

მსგავსი რეზოლიუციები მიიღეს სხვა პარტკრებებმაც.

## ეკონომიური კრიზისი ამერიკაში

### ხელფასის შემცირება

**ნიუ - იორკი**, 10 ივლისი. ამერიკის შრომის ფედერაციის ცნობებით, ფედერაციის წევრთა ხელფასი ყველა დარგში, წარსული წლის ივლისის ხელფასთან შედარებით საშუალოდ 10 პროცენტით შემცირდა. უფრო მეტად შემცირდა შეუკავშირებელ მუშათა ხელფასი. შეკავშირებული მუშების რიცხვი შეერთებულ შტატებში უდრის 4 მილიონს, შეუკავშირებელი მუშების — 25 მილიონს. (ადს).

### 5 ათასი მუშის გაფიცვა

**ნიუ-იორკი**, 10 ივლისი. ფლინტსში (მიჩიგანის შტატი) გაიფიცა „ფიშერბოდი კომპანი") საავტომობილო ქარხნების 5 ათასი მუშა, რომელთაც მოითხოვეს ხელფასის დაკლების გაუქმება, იმის გარანტია, რომ შეიძლებოდეს ერთი საათის ნარდ მუშაობაში ერთი დოლარის მიღება, 8 საათის სამუშაო დღე, ხუთდღიანი კვირა და ზედმეტი მუშაობის გაუქმება. პოლიცია თავს დაესხა გაფიცულების პიკეტებს, დასჭრა 4 და დააპატიმრა 26 მუშა.

5 წლის წინად მუშათა ჯგუფი ამზადებდა დღეში ავტომობილის 60 უკანა ნაწილს, ეხლა რაციონალიზაციის წყალობით ამ რიცხვმა 100-ს მიაღწია. ამავე დროს ხელფასი მკვეთრად დაეცა. ქალებს კვირაში 60-დან 65 საათამდე ამუშავებენ. სანიტარულ - ჰიგიენური პირობები აუტანელია. (ადს).

## ძველი ქართული ხელოვნების გამოფენა

### ბერლინში

**ბერლინი**, 9 ივლისი. 8 ივლისს გაიხსნა ძველი ქართული ხელოვნების გამოფენა. გამოფენას დაესწრნენ გერმანიის მთავრობის მინისტრი შმიდტი, გერმანიის „აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი საზოგადოების" წარმომადგენლები, დიდძალი ხალხი და ხელოვნების მოღვაწენი. გამოფენის გახსნის დროს გერმანიისა და პრუსიის მთავრობების სახელით სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა ფირეკგმა, გარეშე საქმეთა სამინისტროს სახელით—ტრიუტორმა, ხოლო საბჭოთა კავშირის სახელით—სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველმა ბროიდომ.

თბილისის უნივერსიტეტის მუზეუმის დირექტორმა პროფ. ჩუბინაშვილმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა გამოფენის მოწყობაში, წარმოსთქვა ვრცელი შესავალი სიტყვა საქართველოს ხელოვნების როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ჩუბინაშვილის სიტყვამ საყოველთაო ყურადღება მიიქცია. (ადს).

## კრედიტები

### სილოსის კოშკების მშენებლობისათვის

**მოსკოვი**, 10 ივლისი. სილოსის კოშკების და ტრანშეების მშენებლობისათვის კრედიტების მისაწოდებლად საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა 5.700.000 მანეთი გადასდო (ადს).

## მოსავლის აკრეფა და კულაკობასთან ბრძოლა

ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის შედეგად, კოოპერატიულად შეკავშირების მასიურად გაშლის, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შექმნის, საბჭოთა მეურნეობების განვითარების შედეგად, სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ შეტევის შედეგად საშუალო გლეხობასთან კავშირის და ღარიბი გლეხობის აქტივიზაციის საფუძველზე, კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმისა და მემარჯვენე გადახრის განადგურების შედეგად, პარტიამ, თავისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, უდიდეს გარდატეხას მიაღწია სოფლის მეურნეობის განვითარებაში კოლექტივიზაციის გზაზე.

საშუალო გლეხთა მასების გადაჭრით მობრუნებამ სოციალიზმისაკენ პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგად განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება ჰპოვა „მძლავრ საკოლმეურნეო მოძრაობაში, რომელიც 1929 წლის დამლევს მოედო მრავალ მილიონ გლეხურ მეურნეობას. ამ მოძრაობამ გამოიწვია კლასობრივ ძალთა ახალი შეფარდება ჩვენს ქვეყანაში, კოლმეურნეობაში შემავალი საშუალო გლეხი გადააქცია საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენად, შექმნა პირობები იმისათვის, რომ ხორბლეულის კულაკური წარმოება შეცვლილიყო საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების წარმოებით და საშუალება მისცა პარტიას—კულაკობის შეზღუდვისა და შევიწროვების ლოზუნგიდან გადასულიყო კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ლოზუნგზე მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე" (მე-16 ყრილობის რეზოლიუცია ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

თესვის შედეგები განსაკუთრებით მკაფიოდ ახასიათებენ ეკონომიურ და პოლიტიკურ გარდატეხას სოფლად და სოფლის ეს მობრუნება კოლმეურნეობებისაკენ თვალსაჩინოდ ცხად ჰყოფს, რომ „სოფლის მეურნეობისა და მისი ძირითადი პრობლემების ბედიღბალს ამიერიდან განსაზღვრავენ არა ინდივიდუალური გლეხური მეურნეობანი, არამედ კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი". (სტალინი მე-16 ყრილობაზე), რომ „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პროცესი ჩვენში სწრაფათ მიჰქრის წინ" (სტალინი). 25 ივნისისათვის, მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის უკანასკნელი ცნობების მიხედვით, გაზაფხულის კულტურებით დათესილია 89.500.000 ჰექტარი ანუ გეგმის 96,3 პროც. (5,700.0000 ჰექტარით მეტი გასული წლის გაზაფხულის ნათესზე). აქედან მარტო კოლმეურნეობებმა დათესეს 33 მილიონ ჰექტარზე მეტი, ე. ი. 40 პროცენტზე მეტი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებთან ერთად კოლმეურნეობები სახელმწიფოს მისცემენ მთელი დასამზადებელი პურის 50-დან 60-მდე პროცენტს. წარმატებით დამთავრებული სოციალისტური გაზაფხული ბოლშევიკური გამოცდა იყო ყველა ორგანიზაციებისათვის, მთელი პარტიისათვის და სოფლის მეურნეობის მთელი სოციალისტური სექტორისათვის. ეს გამოცდა სასახელოდ ჩავაბარეთ. ბოლშევიკური პარტიის შეუდრეკელმა ნებისყოფამ და ყურადღების დარაზმვამ თესვის ორგანიზაციის პრაქტიკული ამოცანების ირგვლივ საშუალება მოგვცა გადაგველახა პირველი საკოლმეურნეო გაზაფხულის სიძნელენი, თესვის წარმატებებმა განამტკიცეს სოფლის ის ძირითადი მობრუნება სოციალიზმისაკენ, რომელიც მიღწეულ იქნა პარტიის სწორი ლენინური ხაზის მეოხებით.

კულაკის იმედი გაზაფხულის თესვის ჩაშლაზე გაცრუვდა. უკუგდებულ იქნა მემარჯვენეთა პესიმისტური წინასწარმეტყველება და გაცამტვერდა მათი ლიკვიდატორული კულაკური პროგრამა.

ბოლშევიკურმა თესვამ არსებითად დასძლია კულაკობის წინააღმდეგობა და საშუალება მოგვცა პრაქტიკულად უფრო წინ წავეწიათ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკა.

წარმატება თესვის საქმეში მიღწეულ იქნა, უდიდესი სიძნელეების მიუხედავად, უაღრესად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში და ამავე დროს კულაკის წინააღმდეგ მხოლოდ ნამდვილი ბოლშევიკური შეტევის წყალობით და არა „ქარაფშუტული დეკლამაციის", „ფუსფუსის" და „ცალიერი ლაყბობის" მეოხებით (სტალინი).

გაზაფხულის თესვის კამპანიამ, რომელმაც ცხადჰყო კოლექტიური შრომის ბუმბერაზული უპირატესობა ინდივიდუალურთან შედარებით, გამოაშკარავა მუშაობის უნახავი ტემპები და შრომის ნაყოფიერების გაქანება, რომელმაც გვიჩვენა სოფლის მეურნეობის უმარტივესი იარაღების უბრალო შეერთების „უდიდესი ძალა" და მოგვცა მშრომელი მასების ახალი, დღემდე უნახავი საწარმოო აღფრთოვანების ნიმუშები,—ამ კამპანიამ განამტკიცა საკოლმეურნეო მოძრაობა და შექმნა ახალი პირობები მასების შემდგომი მძლავრი ლტოლვისათვის მეურნეობის კოლექტიური ფორმებისაკენ. მაგრამ თესვის წარმატება სრული არ იქნება, თუ ასევე თავგამოდებით არ ჩავატარეთ ბოლშევიკური მოსავლის აკრეფა. მოსავლის აკრეფა, პურის დამზადება და შემოდგომის თესვა წარმოადგენენ შემდეგ მორიგ რგოლს, იმ მეორე სასტიკ გამოცდას, რომელიც ჩვენ უნდა ჩავაბაროთ,

ამ არსებითად პირველ საკოლმეურნეო წელს მოსავლის აკრეფის კამპანიას განსაკუთრებით დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა. მომზადების პერიოდი და თვით მოსავლის აკრეფის პერიოდი უნდა იყოს უაღრესად დაჭიმული პერიოდი ბევრად უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე გაზაფხულის თესვა იყო.

პურის უდიდესი მასა ჩვენმა ქვეყანამ შედარებით მოკლე ვადაში უნდა შეაგროვოს. პურის მოუმკელად დატოვების თვითეული ზედმეტი დღე ჰქმნის უდიდესი არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური დანაკარგების საფრთხესაც. მოსავლის აკრეფის კამპანიის სიძნელეთა სათანადოთ არ შეფასება უდიდესი პოლიტიკური სიბეცე იქნება.

კულაკობის ბრძოლა მოსავლის აკრეფის ირგვლივ განსაკუთრებით გაფრთებული იქნება. კულაკი გამოიყენებს ყოველ მცირეოდენ შეცდომას და გაურკვევლობას, ყოველ დეფექტს კოლმეურნეობის მუშაობაში, პირველ რიგში კი იგი გამოიყენებს აქა-იქ ჯერ კიდევ გამოუსწორებელ „მემარცხენე" გადახვევებს. იგი ძალიან გამოიყენებს ბევრი ადგილობრივი ორგანიზაციის უთავბოლობას, დაუდევრობას და მოუქნელობას.

ამავე დროს არის ნიშნები, რომ ზოგიერთ რაიონში კულაკობასთან ბრძოლა შესუსტდა. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა აქა-იქ გადახვევებთან ბრძოლა და მათი გამოსწორება საშუალო გლეხის მიმართ გაიგეს, როგორც კულაკთა ბრძოლაზე ხელის აღება. მხოლოდ ამით აიხსნება ისეთი ფაქტები ციმბირში და სხვა რაიონებში, როცა კულაკობა იმდენად გათავხედდა, რომ ღარიბ გლეხებს აძევებს სახლებიდან, სწვავს კოლმეურნეობათა ნათესს და სხვ. კულაკი შეეცდება ძირითადი ყურადღება მიმართოს მოსავლის განაწილებასთან დაკავშირებულ სიძნელეებისაკენ, ამ ნიადაგზე იგი შეეცდება კოლმეურნეობანი ერთმანეთს წაჰკიდოს. კულაკმა წამოისროლა ლოზუნგი: „ერთად დავთესეთ, მაგრამ მოსავალი ავიღოთ ცალ-ცალკე და ნაკვეთობით".

პარტიის მემარჯვენე ელემენტები, რომლებიც კულაკური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, სპეკულიაციას ეწევიან სიძნელეებზე და ცდილობენ შეასუსტონ პარტიის ბოლშევიკური ნებისყოფა.

მოსავლის აკრეფა მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებულ დარაზმულობას, რომ დაძლეულ იქნას სიძნელეები, ის მოითხოვს ბოლშევიკურ ტემპებს. ყველაფერი გაკეთდა თუ არა, გაკეთდა თუ არა ყოველივე, რაც შესაძლებელი იყო იმისათვის, რომ მოსავლის აკრეფაში გარდამწყვეტ წარმატებას მივაღწიოთ? არა, არ გაკეთებულა.

ჯერ კიდევ მეტისმეტ საშიშროებას იწვევს ასაკრებ მანქანათა შეკეთების მდგომარეობა. მრავალ რაიონში ზუსტად არაა აღრიცხული ის, თუ რამდენად მომზადებულია კოლმეურნეობები აკრეფისათვის. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია სათადარიგო ნაწილების რეალიზაციისა და მომარაგების საქმე.

ტრანსპორტი ისევ დროზე ვერ გვაწვდის ამ ნაწილებს. მრეწველობამ, სადაც ამზადებენ სასოფლო-სამეურნეო ამკრეფ მანქანებს, სრულად არ შეასრულა თავისი გეგმა. გამოყენებული არაა ყველა შინაგანი შესაძლებლობანი კოლმეურნეობებსა და ინდივიდუალურ სექტორში იმ მხრივ, რომ იქ მოხერხდეს საკუთარ შემკეთებელ სახელოსნოების, სამჭედლოებისა და სხვათა გამართვა.

საბჭოთა მეურნეობებს დიდი სიძნელეების გადატანა მოუხდება სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობის გამო. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაციის შესახებ ჯერ ისევ სუსტად და არასაკმარისად ტარდება.

ძირითადი და გარდამწყვეტი მნიშვნელობა აკრეფის კამპანიაში, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, აქვს შრომის წესიერ ორგანიზაციას კოლმეურნეობებში, ადამიანთა, მანქანებისა და გამწევი ძალის გონიერ განაწილებას და მათ სავსებით გამოყენებას. უნდა მივიღოთ მხედველობაში და შევაჯამოთ საგაზაფხულო თესვის ყველა მიღწევები, საუკეთესო გამოცდილებანი და მინდვრის სამუშაოთა ორგანიზაციის საუკეთესო ნიმუშები და შემდეგ ყოველივე ეს გამოვიყენოთ აკრეფის კამპანიის გატარების დროს. იმისათვის, რომ სოციალისტური სექტორი აკრეფას მომზადებულად შეხვდეს და არ დაუშვას საორგანიზაციო-სამეურნეო ხასიათის შეცდომები, მან აგრეთვე წინდაწინვე უნდა გაითვალისწინოს, თუ რა შეცდომები და დეფექტები იყო დაშვებული თესვის დროს ბრიგადების მოწყობასა და ადამიანთა და მანქანების განაწილების საქმეში. ყველა კოლმეურნეობას უნდა ექნეს გარკვეული და უბრალო წვრილმანამდე მოფიქრებული და მოაზრებული მარტივი სამუშაო გეგმა. ეს გეგმა უნდა იქნას დაყვანილი თვითეულ ეკონომიამდე, თვითეულ ბრიგადირამდე, თვითეულ კოლმეურნემდე. ეს გეგმა უნდა გახდეს უდიდეს იარაღად მილიონიან მასების დარაზმვისათვის მუშაობის მაღალ ტემპებისა და შრომითი გმირულ აღტყინებისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველ კოლმეურნეობას და ყველა საბჭოთა მეურნეობებსაც კარგად ჰქონდეთ საქმე.

იმასთან დაკავშირებით, რომ უდიდესად გაფართოებულია ცალკე კულტურები, განსაკუთრებით კი სახნავი და [illegible] აგრეთვე იმიტომაც, რომ მათი აკრეფა ერთსა და იმავე დროს ხდება, განსაკუთრებულად მწვავედ წამოიჭრება მუშა-ხელის საკითხი. შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა საჭიროა წინდაწინვე მიიღონ ზომები უმთავრესი რაიონების მუშა-ხელით უზრუნველსაყოფად. თავიანთ გეგმებში კოლმეურნეობებმა ზუსტად უნდა გამოიანგარიშონ და მიზანშეწონილად განაწილონ მუშა-ხელი ცალკე კულტურებისა და უბანთა მიხედვით.

შრომის წესიერ ორგანიზაციისა და მასების საწარმოო აღტყინების საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს დამკვრელობამ და სოცშეჯიბრებამ. ცალკე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა (საბჭოთა მეურნეობა „ლენინის გზა") პარტყრილობის წინაშე განაცხადეს, რომ ისინი მთლიანად დარაზმულნი არიან და აცხადებენ თავიანთ თავს დამკვრელებად. თესვის აძ მოწინავე ელემენტების მოწოდებას ფართოდ უნდა გამოეხმაუროს კოლმეურნეობათა მთელი მასა.

უდიდესი მნიშვნელობა აკრეფის დროს ექნება მინდვრად საზოგადოებრივი კვების მოწყობას და მასიურ კულტურულ-პოლიტიკური მუშაობის წარმოებას. გამოცდილებამ დაგვანახვა, თუ როგორ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს ამ მხრივ იმ შემთხვევაშიაც კი, როცა შედარებით მცირე საშუალებებია ამისათვის.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ აკრეფის კამპანიის დროს ანგარიში არ გაეწიოს ინდივიდუალურ სექტორს. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა უშუალო დახმარება უნდა აღმოუჩინონ ინდივიდუალურ მეურნეს. უნდა ვეცადოთ, რომ მოეწყოს კოლექტიური ჯგუფები და გამწევი ძალის გაერთიანება მოსავლის შეერთებული ძალით ასაკრეფად ინდივიდუალურ სექტორში.

ინდივიდუალურ მეურნეთათვის ჩვენ მიერ გაწეული დახმარება გახდება უდიდეს ფაქტორად იმისათვის, რომ მივიზიდოთ ისინი კოლმეურნეობებში.

მოსავლის აკრეფა სამხრეთის გარდამწყვეტი მნიშვნელობის რაიონებში უკვე დაიწყო. ყველა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მინდვრად სანიმუშო გასვლის, გამოძახებისა და სხვათა საშუალებით უნდა შეამოწმონ თავისი მომზადება აკრეფისათვის. მოსავლის აკრეფა—სადღეისო გარდამწყვეტი მნიშვნელობის ამოცანაა. ყველა ძალები, მთელი ყურადღება, ბოლშევიკური შეუპოვრობა, პარტიის ნებისყოფა და მასების ინიციატივა და ენტუზიაზმი მიაშველეთ აკრეფას. ობლომოვისეული ტემპები უნდა შეიცვალოს ბოლშევიკური ტემპებით. გამოეცხადოს უსასტიკესი ომი ძილსა და მცონარეობას, კუს ნაბიჯით სვლას, ბიუროკრატიზმს, თვითკმაყოფილებას, დემობილიზაციურ და თვითმიმდინარეობის განწყობილებებს!

მოსავლის აკრეფა უნდა ჩატარდეს ჩვენი ახალი წარმატებებისა და დაუშრეტელ შესაძლებლობათა დემონსტრაციის ნიშან ქვეშ, კოლექტივიზაციის ზრდისა და განმტკიცების საფუძველზე. აკრეფის საკეთესოდ მოწყობა, „მემარცხენე" გადახვევათა გამოსწორება, უსასტიკესი შეტევა კულაკის წინააღმდეგ, მემარჯვენე ოპორტუნიზმის განადგურება—აი ჩვენი ახალ გამარჯვებათა პირობები.

როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად პარტიისათვის მიმდინარე მომენტში, მე-16 ყრილობამ, სხვა მრავალთა შორის, დასახა მოსავლის განაწილების პრობლემა თვით კოლმეურნეობის შიგნით. მოსავლის წესიერი განაწილება არა თუ განამტკიცებს კოლმეურნეობას, არამედ ახალ ძალებს და საშუალებას შემატებს მას. უკვე ამჟამად თესვის შედეგთა შეჯამებით მიღებული ცნობები გვეუბნება, რომ კოლმეურნისათვის უზრუნველყოფილია უფრო მეტი შემოსავლიანობა ინდივიდუალურ მეურნესთან შედარებით. უნდა იქნას მიღებული მხედველობაში კოლმეურნეობათა ცენტრის მითითებანი შრომის ანაზღაურებისა და მოსავლისაგან მიღებულ შემოსავლის განაწილების შესახებ, უნდა ვიხელმძღვანელოთ ადგილობრივი გამოცდილებით და ცალკე ადგილებზე თვითეულ კოლმეურნეობის საორგანიზაციო-სამეურნეო თავისებური პირობებით და ყოველივე ამის მიხედვით დაუყოვნებლივ შეუდგეთ მოსავლის განაწილების ფართოდ განხილვას კოლმეურნეთა საერთო კრებებზე კოლმეურნის თვითმოქმედების გაშლა-განვითარებისა და კულაკური აგიტაციისათვის გადამწყვეტი წინააღმდეგობის გაწევის საფუძველზე.

აკრეფისათვის ბრძოლის სასურველი შედეგების უზრუნველყოფა არ შეიძლება „მყვირალა რეზოლიუციების" საშუალებით. ამხ. სტალინის ეს მითითება, რომელიც მან გააკეთა ბოლშევიკური თესვის კამპანიასთან დაკავშირებით შესრულებულ უნდა იქნას მოსავლის აკრეფის დროს. აკრეფის წარმატება—ეს არის წარმატება სოციალიზმის შემდგომი ზრდისა ჩვენს ქვეყანაში.

„პრავდა". 10 ივლისი.

## პურის დამზადების ძირითადი ამოცანები*)

ამხანაგებო, მე მინდა გესაუბროთ თქვენ პურის დამზადების ზოგიერთ ძირითად საკითხებზე, ამხ. ელერდოვის მოხსენების ირგვლივ მთელი რიგი ამხანაგების გამოსვლასთან დაკავშირებით. გამოსული ამხანაგები პურის დამზადების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებს უდგებოდნენ სხვადასხვანაირად. ცოტა არ იყო აგრეთვე შემცდარი გამოსვლებიც. მე მინდა საჭირო გარკვეულობა შევიტანო პურის დამზადების ძირითად საკითხებში.

ორიოდე სიტყვა პურის დამზადების ამოცანებზე. მე ამ საკითხს ვეხები იმდენად, რამდენადაც ეს უმთავრესად განსაზღვრავს პურის დამზადების მეთოდებს, რომელნიც მთელი კამპანიის გადამწყვეტ საკითხებს წარმოადგენენ. პურის დამზადება ისახავს ორ ძირითად ამოცანას:

ა) **საბჭოთა სახელმწიფოს შინაურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას** (პურის მომარაგება არმიისათვის, მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, სხვადასხვა სოციალურ - კულტურულ დაწესებულებებისათვის, მომხმარებელ რაიონების მშრომელთათვის და სხვ.) და **ექსპორტს**. ამ ამოცანის გადაჭრა თავის მხრივ საჭიროა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანების გადასაჭრელად, სოციალისტური მშენებლობის აღებულ ტემპების უზრუნველსაყოფად, ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად 4 წელიწადში და კიდევ ნაკლებ ვადაში.

ბ) **კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვას, მისი ეკონომიური ძლიერებისა და გავლენისათვის ნიადაგის გამოცლას, სოფლის პოლიტიკური დიფერენციაციის გაღრმავებას, მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების შეკავშირებას, კულაკობის იზოლიაციას და პირობების მომზადებას კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.** ეს უმნიშვნელოვანესი სოციალ - პოლიტიკური ამოცანა მოითხოვს მთელ რიგ ეკონომიურ ღონისძიებებს, რომ გადაჭრითი ზეგავლენა ვიქონიოთ კულაკებზე, რომელთა შორის პურის დამზადებას უდიდესი ადგილი უჭირავს.

### პურის დამზადების მეთოდები

ეს ზემოდჩამოთვლილი ძირითადი ეკონომიური და სოციალ - პოლიტიკური ამოცანები განსაზღვრავენ უმთავრესად პურის დამზადების მეთოდებსაც. სახელმწიფოს ესაჭიროება პური. აქედან გამომდინარეობს უარის თქმა პურის „თავისთავად" შემოსვლაზე და მოწესრიგებული ხელმძღვანელობა პურის დამზადებისათვის, პარტიული და სახელმწიფო კოოპერატიული აპარატის მობილიზაცია პურის დასამზადებლად. მაგრამ სახელმწიფოსათვის საჭიროა პურის ისეთი დამზადება, რომლის პროცესში და რომლის შედეგად ჩვენ მივაღწევთ სოფლის მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა მასების შეკავშირების გაძლიერებას, საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებას, კულაკობის ეკონომიური ძლიერების შესუსტებას და მის პოლიტიკურ იზოლიაციას.

აქედან — საკითხი პურის დამზადების მეთოდების შესახებ, საკითხი სხვადასხვანაირად მიდგომის შესახებ პურის ჩამბარებელთა სხვადასხვა კატეგორიებისადმი. ჩვენში პურის ჩამბარებლები არიან საბჭოთა მეურნეობები, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, კოლმეურნეობები, საშუალო გლეხები, კულაკები და ნაწილობრივ ღარიბი გლეხებიც. ჩვენი მეთოდი კულაკების მიმართ შეიძლება და უნდა იყოს იძულების მეთოდი; **კოლმეურნეობების და საშუალო გლეხების მიმართ — მხოლოდ დარწმუნების მეთოდი.** კულაკმა უსიტყვოდ უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს სოფლის საბჭოების მტკიცე დავალებით და მტკიცე სახელმწიფო ფასებში პურის მთელი ზედმეტი სასაქონლო მარაგი ერთი თვის ვადაში მოსავლის აკრეფის შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაისჯება პროლეტარული სასამართლოს მკაცრი ხელით. თუ კულაკი გაბედავს არა თუ არ ჩააბაროს პური, არამედ იბრძოლოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (პროვოკაცია, ტერორი, ცეცხლის წაკიდება და სხვ.), მას თავს რისხვას დაატეხს პროლეტარული დიქტატურის დამსჯელი ორგანოების მრისხანე ხელი. კოლმეურნეობები და საშუალო გლეხები თავიანთ სახელმწიფოს ნებაყოფლობით ჩააბარებენ ზედმეტ პურს. პარტია და საბჭოთა ხელისუფლება უადვილებენ მათ თავიანთი მოვალეობის შესრულებას თავისივე სახელმწიფოს წინაშე მათ შორის ფართო განმარტებითი, სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობით და მათთვის სამრეწველო საქონლის მიწოდებით.

### საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულება

კონტრაქტანტებს ჩვენში წარმოადგენენ კოლმეურნეობები და ცალცალკე ღარიბი და საშუალო გლეხები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კულაკებიც.

კულაკმა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შეასრულოს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი. კოლმეურნეობებმა და ერთეულმა ღარიბმა და საშუალო გლეხებმაც უნდა შეასრულონ ეს ვალდებულებანი. თუ კულაკის მიმართ საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესასრულებლად ჩვენ უნდა მივმართოთ იძულების მეთოდს, — კოლმეურნეობების, აგრეთვე ერთეულ, ღარიბ და საშუალო გლეხების მიმართ ჩვენ პირველად უნდა დავკმაყოფილდეთ დარწმუნებისა და საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომებით და მხოლოდ მათი ამოწურვის შემდეგ მივმართოთ სასამართლო ორგანოების დახმარებას.

საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულების დროს ჩვენ პრინციპიალურად უნდა დაიუშვათ ერთგვარი შეღავათები დეფიციტიან კოლმეურნეობებისა და იმ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების მიმართ, რომელთაც თავს დაატყდათ სტიქიური უბედურება (წყალდიდობა, სეტყვა, ხანძარი, კალია და სხვ.). ეს შეღავათები განმარტებული უნდა იქნეს განსაკუთრებულ ინსტრუქციაში. უმთავრესად ეს შეღავათები, ეს ერთგვარი გამონაკლისები ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ საკონტრაქტაციო ვალდებულებათა უეჭველად შესრულების წესიდან დაშვებული უნდა იქნენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ მართლაც ობიექტიური პირობებით არის გამოწვეული ამ ხელშეკრულებათა შეუსრულებლობა. მაგალითად, თუ ჩვენ საქმე გვაქვს ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებთან, რომელთაც თავს დაატყდათ სტიქიური უბედურება (წყალდიდობა, სეტყვა, ხანძარი, კალია და სხვ.), ცხადია, წმინდა ხელშეკრულების პოზიციაზე ჩვენ ვერ დავდგებით. ან, მაგალითად, თუ ესა თუ ის კოლმეურნეობა აშკარად დეფიციტიანია; მარცვლეული კულტურების მხრივ, საჭიროა ერთგვარი გადახვევა საკონტრაქტაციო ხელშეკრულების პირობებიდან. ასეთ შემთხვევებში საჭიროა დეფიციტიან კოლმეურნეობის განთავისუფლება საკონტრაქტაციო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მთელი პროდუქციის ჩაბარებიდან. მაგრამ ამ შემთხვევებში კოლმეურნეობებმა უნდა დაფარონ მათ მიერ მიღებული კრედიტები (ფულადი ავანსები, სასოფლო - სამეურნეო იარაღები, თესლი და სხვ.). აქაც კოლმეურნეობის დეფიციტიანობის მიხედვით, ეს კრედიტები შეიძლება დაიფაროს ან ნატურით — მარცვლეულით, ან ფულით.

ყოველ შემთხვევაში კოლმეურნეობების მიმართ უნდა ავიღოთ ისეთი ხაზი, რომელიც უზრუნველჰყოფს მათ შემდგომ მუშაობას და განმტკიცებას.

### დამზადების გეგმა

პურის დამზადების მეთოდიდან გამომდინარეობს კამპანიის გეგმა. პურის დამზადების რაიონები მარცვლის წარმოების მხრივ ჩვენში სხვადასხვანაირია. ისინი განიყოფებიან მწარმოებელ და არამწარმოებელ რაიონებად. მწარმოებელ რაიონებში დამზადების გეგმა სოფლამდე, კოლმეურნეობამდე და კულაკურ მეურნეობამდე უნდა მივიყვანოთ. არამწარმოებელ რაიონებში — რაიონებამდე, კოლმეურნეობამდე და კულაკურ მეურნეობამდე. მწარმოებელ რაიონებში არსებობენ არამწარმოებელი სოფლები და არამწარმოებელ რაიონებში — მწარმოებელი სოფლები. პირველ შემთხვევაში გეგმა არ უნდა მივიყვანოთ არამწარმოებელ სოფლებამდე და მეორე შემთხვევაში უნდა მივიყვანოთ მწარმოებელ სოფლებამდე. მაგრამ აქვე უნდა გავაფრთხილოთ ამხანაგები, რომ გეგმის სოფლამდე მიყვანამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს რაიმე ცდა, რომ სოფლის გეგმა გააწერონ ცალკე ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობებზე. ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ, რომ მეურნეობათა ამ კატეგორიის მიერ პურის ჩაბარება უნდა ხდებოდეს ნებაყოფლობით, მხოლოდ დარწმუნებისა და სათანადო ახსნა - განმარტებითი მუშაობის ჩატარების წესით. **ასეთი გაწერის ცდები ძირშივე უნდა აღიკვეთოს.**

არ უნდა დავუშვათ შეზღუდვა ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების მიერ თავიანთი პროდუქციის თავისუფალი რეალიზაციის საქმეში, მაგრამ ამასთან ერთად გადამჭრელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ სპეკულიანტებთან და გადამყიდველებთან, რომელნიც განიზრახავენ ფასების აწევას დამზადების ბაზარზე. ბრძოლა სპეკულიანტებთან და გადამყიდავებთან უნდა სწარმოებდეს ადმინისტრატიული ზომებით ადგილებზე, როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტივიზაციითა და მობილიზაციით ამ ბრძოლის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება. **მობილიზაციით გაწვეული ამხანაგების ამოცანაა ისე შეუდგენ მუშაობას ამ მიმართულებით, რომ გადამყიდავების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები არ გავრცელდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებზე.** როგორც ზემოთ ვთქვი, განსაზღვრული სოფლის კულაკები მოვალენი არიან სიტყვის შეუბრუნებლად შეასრულონ სოფლის საბჭოს მტკიცე დავალება. უნდა შევაგნებინოთ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასას, რომ პურის დამზადების გეგმის შესრულება საჭიროა მისივე ინტერესებისათვის, მთელი სახალხო მეურნეობის, კერძოდ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარდაქმნის ინტერესებისათვის. დარწმუნების, განუწყვეტელი ახსნა - განმარტებითი, საგიტაციო - საპროპაგანდო და ორგანიზაციული მუშაობის საშუალებით ჩვენ უნდა გამოვიწვიოთ სოფლის აქტივისტების თაოსნობა კომუნისტებთან და კომკავშირელებთან ერთად. სოციალისტური შეჯიბრება უნდა გადავაქციოთ პურის დამზადების ნამდვილ, მომქმედ იარაღად და ამნაირად ხელი შევუწყოთ ღარიბ და საშუალო გლეხებს — ნებაყოფლობით შეასრულონ გეგმა, შეასრულონ მშრომელის მოვალეობა მშრომელთა სახელმწიფოს წინაშე. კოლმეურნეობებისათვის, რომლებშიაც გაერთიანებულნი არიან მოწინავე ღარიბი და საშუალო გლეხები — საბჭოთა მეურნეობის მტკიცე დასაყრდენი — ჩვენ პურის ჩაბარების ნორმას განვსაზღვრავთ საშუალო მოსავლის ერთი მეექვსედიდან ერთ მეათედამდე, იმისდამიხედვით, თუ როგორია მარცვლის წარმოება ამა თუ იმ კოლმეურნეობაში. მარცვლეული კულტურებით დეფიციტიან კოლმეურნეობებს ჩვენ ვრიცხავთ პურის დამზადების მტკიცე გეგმიდან, ე. ი. ვანთავისუფლებთ მათ სახელმწიფოსათვის მარცვლის სავალდებულო ჩაბარებისაგან. კოლმეურნეობებისათვის ვაწესებთ სამრეწველო საქონლის მიწოდების ცოტა გადიდებულ ნორმას. ჩვენმა კოლმეურნეობებმა თავიანთი ვალდებულებანი თავიანთ სახელმწიფოს წინაშე ნებაყოფლობით და მთლიანად უნდა შეასრულონ. **ამ მხრივ კოლმეურნეობებმა მაგალითი უნდა უჩვენონ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს.**

### კლასობრივი ბრძოლა სოფლად

პურის დამზადება ჩატარდება სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში. ამ ბრძოლას უფრო მწვავე ფორმები ექნება ჩვენში, ვიდრე საბჭოთა კავშირის მარცვლეულ კულტურათა ძირითად რაიონებში, სადაც სასაქონლო პურის ნახევარზე მეტს იძლევიან არა ინდივიდუალური მეურნეობანი, არამედ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, და სადაც არის პურის დამზადების ძლიერი ტრადიციები და უდიდესი გამოცდილება. ჩვენში კი სასაქონლო პურის ნახევარზე მეტს იძლევიან არა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, არამედ ინდივიდუალური მეურნეობანი და არ არის პურის დამზადების საკმაო გამოცდილება. კულაკი გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევს პურის დამზადებას. იგი ყოველნაირად შეეცდება ჩაშალოს საბჭოთა სახელმწიფოს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი კამპანია. პურის დამზადების ჩასაშლელად კულაკი მიმართავს ბრძოლის ყველა ნაცად ხერხებს: მოსყიდვას, ცეცხლის წაკიდებას, ტერორს, ბანდიტურ თავდასხმებს და სხვ. პურის დამზადების წინააღმდეგ ბრძოლაში კულაკი შეეცდება იპოვოს დასაყრდენი ღარიბ და საშუალო გლეხთა შეუგნებელ ნაწილში, განსაკუთრებით ქალებში. კულაკი იბრძოლებს არა მარტო პურისათვის, არამედ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მიმხრობისათვის, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ თუ მას საშუალო და ღარიბ გლეხთა ნაწილმა მაინც არ დაუჭირა მხარი, იგი საბოლოოდ დამარცხდება, დაჰკარგავს პურის სასაქონლო მარაგს, რომელიც მან შენახული აქვს სპეკულიაციისათვის და იმისათვის, რომ ზედმეტ ფასებში მიჰყიდოს მუშებს, ღარიბ გლეხებს და სხვა მშრომელებს.

### გამარჯვების პირობები

კლასობრივ ბრძოლაში სოფლად ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენი გამარჯვება დამოკიდებულია მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ორგანიზაციულად დარაზმვის ხარისხზე, მათი პოლიტიკური შეგნების დონეზე, ჩვენი სოფლის საბჭოების მდგომარეობასა და ხარისხზე, სოფლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდგომარეობასა და ხარისხზე, პურის დამზადების ამოცანების ირგვლივ საბჭოთა საზოგადოებრიობის მობილიზაციის ხარისხზე, ჩვენი კოოპერატიული და დამამზადებელი აპარატის მუშაობის ხარისხზე, პარტიის ხაზის სწორად გატარებაზე, პარტიისა და ხელისუფლების საოლქო და რაიონული ორგანოების ხელმძღვანელობის ხარისხზე და სხვ.

### ჩვენი ამოცანები

ჩვენი გამარჯვების სწორედ ეს პირობები განსაზღვრავენ ჩვენს ძირითად ამოცანებს. ეს ამოცანები შემდეგია:

ა) **მედგარი მუშაობა სოფლის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის, მათი აქტივიზაციისათვის, მათი ყურადღების მობილიზაციისათვის პურის დამზადების ამოცანების ირგვლივ და მათი სიფხიზლის დარაზმვისათვის კულაკთა ავანტიურისტული ცდების წინააღმდეგ, მათი მომზადებისათვის კამპანიის პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად და კამპანიის ძირითადი ამოცანების შესაგნებლად.** ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები უნდა დაირაზმონ პურის დამზადების გეგმის შესასრულებლად, მათ პირი უნდა იბრუნონ კამპანიის ამოცანებისაკენ, უნდა უჩვენონ ყველას მუშათა სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის შესრულების საუკეთესო მაგალითები და თავიანთი მაგალითით გაიტაცონ სხვები.

ბ) **მედგარი მუშაობა მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დარაზმვისათვის პურის დამზადების ამოცანების ირგვლივ, ღარიბ გლეხთა ჯგუფებთან, საერთოდ ღარიბ გლეხობასთან, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივთან მუშაობის გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის და მათი გადაქცევისათვის ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მკვიდრ დასაყრდენად, ჩვენი პოლიტიკის იარაღად სოფლად, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებთან პარტიისა და ხელისუფლების დამაკავშირებელ ძაფებად.** ასეთივე აქტიური მუშაობა უნდა განვითარდეს კულაკობის იზოლიაციისათვის, მისი, როგორც მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხების, ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების შეურიგებელი მტრის, გამოაშკარავებისათვის.

გ) **მედგარი მუშაობა საბჭოების გამოცოცხლებისა და აქტივიზაციისათვის და მათი გადაქცევისათვის მასების ორგანიზაციისა და პურის დამზადების გეგმის შესრულების მძლავრ იარაღად.** ჩვენმა სოფლის საბჭოებმა ცოცხლად უნდა გარდაჰქმნან თავიანთი მუშაობა, მკვირცხლად უნდა იბრუნონ პირი პურის დამზადების ამოცანებისაკენ.

დ) **დამამზადებელი და კოოპერატიული აპარატის განმტკიცება, მისი გაწმენდა უვარგისი, ბიუროკრატიული, ჩინოვნიკური და უმოძრაო ელემენტებისაგან და მისი მუშაობის მაქსიმალური მოქნილობის, მკაფიობის და სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა.** ჩვენ ყოველთვის გვესაჭიროება ასეთი დამამზადებელი და კოოპერატიული აპარატი. მაგრამ აპარატის ამ თვისებებმა განსაკუთრებული ძალით უნდა იჩინონ თავი ისეთი უმნიშვნელოვანესი კამპანიის დროს, როგორიც არის პურის დამზადების კამპანია.

ე) **პარტიისა და ხელისუფლების, ცენტრალური, საოლქო და რაიონული ორგანოების მკაფიო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, საჭირო მითითებათა თავის დროზე მიცემა, მუშაობის ხშირად შემოწმება და შეცდომებისა და გადახვევების თავის დროზე და გადაჭრით გამოსწორება და ამით პარტიის ხაზის სწორად გატარების უზრუნველყოფა.** თქვენ ყველას მტკიცედ უნდა გახსოვდეთ, რომ პარტიის ხაზის ყოველი გამრუდება, მისგან ყოველი გადახვევა ასუსტებს ჩვენს პოზიციებს და ამაგრებს კულაკობის პოზიციებს. ჩვენი კლასობრივი მტრების პოზიციებს ამაგრებს და ჩვენს პოზიციებს ასუსტებს როგორც რაიმე ლმობიერება კულაკობის მიმართ, ისე ოდნავი გადახვევაც ძალადობისა და ადმინისტრატიული ზეგავლენისაკენ კოლმეურნეობებისა და საშუალო გლეხობის მიმართ. გადამჭრელი ბრძოლა ასეთ მოვლენებთან — აშკარა ოპორტუნიზმისა და „მემარცხენე" გადახვევების მოვლენებთან, აგრეთვე მათდამი რაიმე შემარიგებლობასთან, უნდა განსაზღვრავდეს ყოველ პარტიულ ორგანოს, ყოველი უჯრედისა და ყოველი კომუნისტის ნაბიჯებს.

ამ პირობათა შესრულების გარეშე შეუძლებელია პურის დამზადების წარმატება.

### ჩვენი სხვა ამოცანები

რათქმაუნდა აშკარაა, რომ ჩვენი ამოცანები პურის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებით არ განისაზღვრება პურის დამზადების „ვიწრო" ფარგლებით. ეს ფარგლები თანდათან

---

*) წერილი წარმოადგენს გადამუშავებულ საუბარს, რომელიც ამხ. ს. მამულიას ჰქონდა პურის დამზადების კამპანიასთან დაკავშირებით სოფლად გასაგზავნ მუშაკებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხილ-ბოსტნეულის მოსავალი წელს ჩვეულებრივზე უკეთესია

## დამამზადებელ-მიმწოდებელ ორგანიზაციების უხეირო მუშაობით

## ბაზარზე გამოდის უვარგისი ხილ-ბოსტნეული

## მუშკოოპმა ენერგიული ზომები უნდა მიიღოს პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად

### პროფკავშირებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ბაზრის მოწესრიგებას

პროფორგანიზაციებმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ მომხმარებლის პირველი საჭიროების პროდუქტებით მომარაგების საქმეში, განსაკუთრებით კი ადგილობრივ დამზადებულ პროდუქტებით მომარაგებაში. ხილ-ბოსტნეულით მომარაგების საქმე, როგორც არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ მეტად კარგი მოსავალი იყო, პირდაპირ საშინელ დღეში დაყენებული. ამის მიზეზია ის ანარქია, რომელიც მეფობს ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე. ეს ანარქია შეეხება როგორც დამზადებას, ისე განაწილებასაც.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პოზიცია ამ საკითხში ისევ ძველებურია: ის კმაყოფილდება უმთავრესად მეთვალყურეობის როლით და ხშირად არც ამ როლს ასრულებს. ასე მაგალითად, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში გამართულ ფართო თათბირზე, რომელზედაც ირჩეოდა ხილ-ბოსტნეულის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობა, არ გამოცხადებულა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს არც ერთი წარმომადგენელი.

მუშკოოპის მონაწილეობა ხილ-ბოსტნეულის დამზადებაში პროფკავშირთა საბჭოს სოციალურ-საყოფაცხოვრებო სექტორის პასუხისმგებელი მუშაკები შემდეგნაირად აშუქებენ: „მუშა-მომხმარებლის მომარაგება ხილ-ბოსტნეულით სრულიად არაა დამაკმაყოფილებელი, კოოპერაციას აქ არ ძალუძს გააკეთოს რამე, ვინაიდან მას მისცეს უშუალოდ დამზადების უფლება არა დამზადების სეზონის დასაწყისში, არამედ მხოლოდ მაისში"ო.

ცუდად აწარმოებს მუშკოოპი არა მარტო მოამარაგებას, არამედ დამზადებულის განაწილებასაც. ნუ თუ აგრეთვე „არ ძალუძს" მუშკოოპს ხილ-ბოსტნეულის რიგიანად განაწილება? საქართველოს პროფკავშირთა საბჭო, რომ მეტ ყურადღებას უთმობდეს ამ საკითხს და იჩენდეს სათანადო ფხიანობას, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს დადებით გავლენას იქონიებდა როგორც ხილ-ბოსტნეულის დამზადებაზე, ისე აგრეთვე მის განაწილებაზედაც.

### ვებრძოლოთ უთადარიგობას და ანტისანიტარიას მუშკოოპის მაღაზიებში

ექვსმა თვემ განვლო, რაც მოხდა მუშათა კოოპერაციის დათვალიერება, მაგრამ თბილისის მუშკოოპმა დღემდეც ვერ გამოასწორა მრავალი ნაკლი, რომელთა აღმოფხვრა შესაძლებელი იყო.

საქონლის წონაში დაკლებას, გამყიდველების უხეშ მოპყრობას მომხმარებლებისადმი, მაღაზიათა ანტისანიტარულ მდგომარეობას და სხვა მრავალ არანორმალურ მოვლენას არა ნაკლებად აქვს ახლა ადგილი, ვიდრე ეს იყო დათვალიერებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ დასაცვენი საქონლის 40 პროც. წინდაწინ იწონება, რიგები მაინც სავსებით არაა შეწყვეტილი. რიგების შექმნის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს საქონლის არათანაბარი განაწილება მაღაზიებს შორის.

ზოგიერთ მაღაზიაში შეხვდებით, რომ ჰყიდიან საქონლის ერთგვარ ასორტიმენტს. (მაგ., ტყავეულობის ტრესტის „სკოროხოდებს" ჰყიდიან მხოლოდ მუშკოოპის მაღაზიაში პუშკინის ქუჩაზე), რაც აუცილებლად იწვევს რიგების შექმნას.

### პურის ცხობა უნდა გაუმჯობესდეს

პურს ამჟამად აცხობენ სხვადასხვა ხარისხის ფქვილისაგან, სახელდობრ—ხორბლის, ჭვავის, ქერნარევ ხორბლისა და სიმინდის ფქვილისაგან. როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, ჩამოთვლილი ხარისხის ფქვილისაგან გამომცხვარი პური სრულიად დამაკმაყოფილებელი თვისების გამოდის, მაგრამ მომხმარებელი, დღე ისე არ გავა, რომ არ ჩიოდეს პურის უვარგისობას.

იყო შემთხვევა, როცა მუშკოოპის პურის მაღაზიამ № 132 (პლეხანოვის პროსპ. № 33) გამოუშვა გასაყიდად ცომი პური, რომელსაც სიმყრალის სუნიც კი ასდიოდა. მეტად ხშირია შემთხვევები, როცა იყიდება ცხელი პური.

ვინ არის დამნაშავე, რომ პური ცუდი თვისებისაა? მეპურეები პურის ცუდ თვისებას ხსნიან მხოლოდ ფქვილის უვარგისობით. ამ აშკარა ტყუილ აზრს, რომლითაც მცხობელებს სურთ ჩააკეთონ თავიანთი „საქმეები", იმეორებენ ჩვენი ზოგიერთი კოოპერატიული მოხელეებიც კი.

დამნაშავეა არა ფქვილის ცუდი ხარისხი, არამედ ის სისტემა, რომელიც მიღებულია პურის ცხობის საქმეში.

ამ სისტემას ეწოდება პურის ცხობის გადაცემა კონტრაგენტებისათვის, პურის ცხობის კონტრაგენტული სისტემა. ამ სისტემის აზრი ისაა, რომ მეთონეებს ჯამაგირის ნაცვლად ეძლევა ნამატი ფქვილისა გამოცხობის შემდეგ. მეთონეების ხელფასი ამრიგად მატულობს იმდენად, რამდენადაც მატულობს ფქვილი ცხობაში. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რომ უარესდება პურის თვისება.

არსებობს დებულება, რომლის ძალითაც ნამატი არ უნდა აღემატებოდეს წონის 33 პროცენტს. მაგრამ არავინ ამ დებულებას არ იცავს. მეთონეებს ნამატი აჰყავთ 36-37 პროცენტამდე, ფაქტიურად ნამატის პროცენტი უფრო მეტიცაა. ასეთი სისტემის არსებობის დროს სულ ერთია, რანაირი ფქვილიც არ უნდა იყოს, პური მდარე ხარისხის გამოვა.

როგორია თვით პურის ცხობის პირობები? მეთონეთა უმრავლესობა მუშაობს სრულიად უვარგის შენობებში, სადაც არაა დაცული ელემენტარული სანიტარულ-ტეხნიკური წესებიც კი. საჭიროა თონის შეღებვა 2-3 თვეში ერთხელ მაინც, მაგრამ თონეების შეკეთება მთელი წლობითაც არ ხდება. თონეს სადგომი გამტვერიანებულია, ჭუჭყიანია. იატაკი მიწისაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იქ ხშირად აპობენ შეშას და ამის გამო დამდგარი მტვერი ცვივა ცომში. მუშებსა და პურის გამყიდველებს საარაკოდ ჭუჭყიანი ხალათი და საცვლები აცვიათ. ხშირად მუშაობას ეწევიან უხალათოდ, უფარტუკოდ. პირსახოცი მწვირიანია, პირსაბანი და საპონი არ არის. ზოგიერთი მეთონე თვით თონეში ცხოვრობს, რაც კარგად იციან პურის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა. ქალაქში პური გადააქვთ ღია ყუთებით, რომლებშიაც ადვილად ცვივა მტვერი. მაგრამ არა მარტო პრიმიტიულ პატარა მაღაზიებში მტვერიანდება და ჭუჭყიანდება პური. მუშკოოპის პურის ქარხანაშიაც პურის გადატანის დროს ის ცვივა იატაკზე. პურის გადასატანი ყუთებიც გავლენას ახდენენ მის სისუფთავეზე, პურის ქარხანაში კი ასეთი ყუთები არაფრით არ განირჩევა ისეთებისაგან, როგორიც აქვთ პრიმიტიულ თონეებში. როგორც სავალდებულო წესი, პურის ქარხნის მუშებმა, სანამ მუშაობას დაიწყებოდნენ, უნდა მიიღონ დუში, მაგრამ ყველა მუშა არ ასრულებს ამ წესს.

პურის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს. ამისათვის საჭიროა გაუქმებულ იქნას კონტრაგენტული სისტემა, დაიკეტოს ისეთი თონეები, რომელთა სანიტარულ-ტეხნიკური პირობები არადამაკმაყოფილებელია, და სისტემატიურად თვალყური ედევნოს პურის ხარისხს.

### რატომ არის ფეხსაცმელების ნაკლებობა

ფეხსაცმელების გამომუშავება სახელმწიფო მრეწველობის გამომუშავებას) 39 მილიონი 1928-29 წელს მთელ საბჭოთა კავშირში გამოშვებული იყო (თუ არ ჩავთვლით შინამრეწველობის გამომუშავებას) 39 მილიონი წყვილი, ხოლო მიმდინარე წელს განზრახულია გამოშვებულ იქნას 62 მილიონი წყვილი. **თვიდან თვეში სახელმწიფო მრეწველობა მთლიანად ასრულებს ფეხსაცმელების გამოშვების დავალებას.** თუ ავიღებთ ფეხსაცმელების მთელ მასას, რომელსაც უშვებს სახელმწიფო მრეწველობა და შინამრეწველობა, დავინახავთ, რომ ის 79 მილიონ წყვილიდან შარშან, გაიზარდა 97 მილიონამდე მიმდინარე წელს. უნდა აღინიშნოს, რომ ფეხსაცმელების გამოშვების დავალებას წარმატებით ასრულებს არა მარტო სახ. მრეწველობა, არამედ სარეწაო კოოპერაციაც. ფეხსაცმელების მწვავე ნაკლებობა აიხსნება მოთხოვნილების სწრაფი ზრდით, რომელიც უსწრებს დამზადების ზრდას.

ფეხსაცმელებზე მოთხოვნილება განსაკუთრებით გაიზარდა სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის მხრივ. ფეხსაცმელების საგრძნობი ნაწილი იგზავნება პურის, ბამბის და სხვ. პროდუქტების დამზადების რაიონებში. ფეხსაცმელების ნაკლებობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილის ობივატელური განწყობილება, რომელიც მარაგათ ყიდულობს ფეხსაცმელებს. მოსკოვის და ლენინგრადის ფაბრიკების („სკოროხოდ", „პარიზის კომუნის სახელობის" და სხვ.) ფეხსაცმელი განუწყვეტლივ მოდის თბილისში და პირველ რიგში ისინი ეძლევა მუშებს.

ახლო მომავალში ფეხსაცმელების დამზადება იწარმოებს გაცილებით დიდი რაოდენობით, ვიდრე გასულ წელს, ხოლო სექტემბრიდან დასახულია წარმოების შემდგომი ზრდა.

### უზრუნველვყოთ სურსათ-სანოვაგით

#### საბჭოთა მეურნეობების მუშები

მუშების რეალური ხელფასის ზრდა უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გეგმიანად და წესიერად აქვს დაყენებული კოოპერაციას მუშათა სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმე.

ამ ნიადაგზე წარმოებისა და კოოპერაციის ორგანოებს შორის ერთნაირი ხელშეკრულებაც კი არის დადებული. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი კოოპერატიულ ორგანოებს და განსაკუთრებით სოფლებში ჯერ კიდევ ვერ აქვთ კარგად შესწავლილი—დამუშავებული.

ამ შემთხვევაში ჩვენ ლაპარაკი გვექვს იმაზე, თუ როგორ სდგას ამ მხრივ საკითხი საბჭოთა მეურნეობებში და სატყეო მეურნეობებში.

ამჟამად საბჭოთა კავშირის მასშტაბით მიმდინარეობს შემოწმება იმისა, თუ რამდენად შეასრულეს კოოპერატიულ ორგანოებმა უმაღლეს სადირექტივო ორგანოების დადგენილება სოფლად მომარაგების შესახებ.

სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშათა კავშირის საქართველოს რესპუბლიკანური კომიტეტის მიერ საბჭოთა მეურნეობებში უკვე დაიგზავნა შემმოწმებელი ბრიგადები. ადგილებიდან მიღებული მასალები ნათლად აშკარავებენ იმ დაუდევრობას და უმსგავსობას, რასაც ადგილი აქვს მომარაგების საკითხში.

**— კულარის საბჭოთა მეურნეობის კოოპერატივი სავსეა დუხებით და პუდრებით, პირველ მოთხოვნილების საგნების მომარაგებისათვის გამგეობა არ ზრუნავს, წითელი სასადილო ორმაგ ფასებში აწვდის მუშებს სადილს.**

**— მამუდლოს საბჭოთა მეურნეობის მუშები ოდნავადაც ვერ ვსარგებლობთ კოოპერატივით. არა ერთხელ დაისვა საკითხი, რომ კოოპერატივს ეზრუნვა საბჭოთა მეურნეობის მუშების სურსათ-სანოვაგით უზრუნველსაყოფად, მაგრამ ყურადღების ღირსადაც არავინ გახადა ეს საკითხი,—გვწერენ ბრიგადები.**

**ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოოპერატივი მუშებს აწვდის ძვირ ფასებში სადილს.** ხელფასი მარტო სადილში ეხარჯებათ. ახალსოფლის კოოპერატივი ვაჭრების სათარეშოდ გახდა, მელექედურში კოოპერატივმა დაკარგა თავისი სახე და მოწყვეტილია იმ ამოცანებს, რაც სდგას მის წინაშე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის სისუსტე, რომელსაც ამ მხრივ იჩენენ სოფლის მუშკოოპები და ძირითადი პროფორგანიზაციები. ადგილებზე არც პარტიული და არც კომკავშირის ორგანიზაციები იწუხებენ თავს ამაზე.

საბჭოთა მეურნეობების მუშების სურსათ-სანოვაგით მომარაგება ჩვენ მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დავსვათ და მისი წესიერად მოგვარებით უნდა უზრუნველვყოთ მუშების რეალური ხელფასის ზრდის საკითხი.

**მარტო კოოპერაციაა ამაში დამნაშავე? ცხადია, არა.**

აქ ბრალი მიუძღვის საბჭოთა მეურნეობებსაც. ზოგი საბჭოთა მეურნეობა კოოპერატივს არ აძლევს ბინას, იმისათვის, რომ მოაწყოს პუნქტი შიგ საბჭოთა მეურნეობაში. ვერ იმეტებს მცირედ ნაკვეთ მიწას ბოსტნეულის მოსაშენებლად მუშების მწვანილით უზრუნველყოფის მიზნით და სხვა.

სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშათა პროფკავშირის ცეკას მესამე პლენუმის დადგენილებაში გარკვევით ნათქვამია: **„რეალური ხელფასისათვის პროფკავშირების ბრძოლაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს სახ.-სამ. პროდუქტების სახელმწიფოებრივი წარმოების ორგანიზაცია და განვითარება (დიდი სარძეო ფერმები, მებოსტნეობის მეურნეობები, სამრეწველო ცენტრებში, ხორბლის საბჭოთა მეურნეობები, ხორცის საბჭოთა მეურნეობები და სხვ.)".**

ჩვენ უნდა მოვსპოთ ყოველივე დაბრკოლება, რაც წინ ეღობება ამ ღონისძიებათა გატარებას.

შ. ჯანბერიძე.

## ენგურის ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობა საფრთხეშია

პირველ მაისს ზუგდიდის მაზრის მშრომელთა მასებმა ზუგდიდიდან 6 კილომეტრის დაშორებით—ენგურზე, ზეიმით ჩაუყარეს საფუძველი ქაღალდის ფაბრიკა—გიგანტს. ჩვენ მაშინ მოვისმინეთ ზუგდიდის მაზრის სხვადასხვა რაიონების გლეხების წარმომადგენელთა სიტყვები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ ენერგიას საქართველოში მრეწველობისა და კულტურის განვითარების და ეკონომიურ-პოლიტიკური სიძლიერის განმტკიცებას მშრომელ მოსახლეობაში.

16 მილიონი მანეთი, რომელიც უნდა დაიხარჯოს ფაბრიკის ასაგებათ, წარმოადგენს სარეკორდო თანხას ზუგდიდის მაზრაში მრეწველობის ასაღორძინებლად და ჩვენ—მუშები, და განსაკუთრებით ტეხნიკური პერსონალი მოვალენი ვართ ეს თანხა დავხარჯოთ მაქსიმალური ეკონომიით, რაციონალურად, ვებრძოლოთ ყოველგვარ ნაკლოვანებებს და დანაკარგებს ქარხნის მშენებლობაზე—განაცხადა ერთ-ერთმა მუშამ ფაბრიკის საძირკვლის საზეიმო ჩაყრაზე.

და მართლაც ფაბრიკის წარმატებით მშენებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მშენებლობაზე მომუშავე მუშები, სპეციალისტები და აგრეთვე ყველა ადგილობრივი ორგანიზაციები მთელი თავიანთი პასუხისმგებლობით მოკიდებენ ხელს მუშაობას, რამდენად ისინი ყოველდღიურ მუშაობაში გაიმსჭვალებიან იმის შეგნებით, თუ როგორი საშუალებებით უფრო უკეთესად, სწრაფად და იაფად აწარმოონ ფაბრიკის მშენებლობა, როგორ ებრძოლონ ცალკე ნაკლოვანებებს და გამრუდებებს მშენებლობაში.

თუ ჩვენ ამგვარად დავსვამთ საკითხს იმის შესახებ, ნორმალურად მიმდინარეობს თუ არა მუშაობა ქაღალდის ფაბრ.-გიგანტის მშენებლობაზე, გადაჭრით და მთელი პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ ფაბრიკის მშენებლობა მიმდინარეობს ანარქიისა და სამეურნეო უთადარიგობის ნიშნით. ამ განცხადებას მთლად და სავსებით ადასტურებს ის მასალები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ ფაბრიკის მშენებლობის გამოკვლევის შედეგად.

აღმშენებლობათა კავშირის ცენტრალურ გამგეობის მიერ ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობის გამოკვლევამ გამოააშკარავა მთელი რიგი დეფექტები და მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მშენებლობაში, რომელიც მშენებლობას ჩაშლის საფრთხის ქვეშ აყენებენ.

ყველა აღმოჩენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მშენებლობას არ ჰყავს ფაქტიური ხელმძღვანელი, არაა ისეთი პირი, რომლისგანაც შეიძლებოდეს პასუხის მოთხოვნა მშენებლობისათვის. ამჟამად ფაბრიკის მშენებლობას აწარმოებს ორი ორგანიზაცია: „ბუმსტროი"-ს კანტორა და საქსახმრეწმშენი, მაგრამ არც ერთი მათგანი სერიოზულ მუშაობას არ ეწევა. ამ ორგანიზაციებს შორის ადგილი აქვს კინკლაობას, სწარმოებს ბრძოლა იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს ფაბრიკის ძირითადი მშენებელი ორგანიზაცია.

პირველად მშენებლობა გადაცემული ჰქონდა „ბუმსტროი"-ს, რომელიც მშენებლობას შეუდგა სამეურნეო წესით. შემდეგ ამას მოჰყვა ამიერ-კავკ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დადგენილება ფაბრიკის მშენებლობის საქსახმრეწმშენზე გადაცემის შესახებ „ბუმსტროი" კატეგორიული წინააღმდეგი იყო საქსახმრეწმშენისათვის მშენებლობის გადაცემის და ეწეოდა ბრძოლას ფაბრიკის მშენებლობის თავის ხელში დატოვებისათვის. ეს ბრძოლა დღემდე გრძელდება, რამაც ძლიერ ცუდი გავლენა მოახდინა და მომავალშიაც მოახდენს მშენებლობაზე. ფაბრიკის მშენებლობა იმდენად ნელი ტემპით სწარმოებს, რომ იმ 3.500 ათასი მანეთიდან, რომელიც მშენებლობისათვის გადადებულია მიმდინარე წელში, ჯერ-ჯერობით დახარჯულია მხოლოდ — 180.000 მანეთი.

ამჟამად, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, არსებობს ორი კანტორა თავიანთი მოსამსახურეთა შტატით, რომლებიც ვერაა რაციონალურად გამოყენებული და ზედმეტ ხარჯებს იწვევს მშენებლობას.

თანამშრომელთა შტატის შენახვა „ბუმსტროი"-ს ყოველთვიურად უჯდება 1.000 მანეთი, ხოლო საქსახმრეწმშენს—2.000 მანეთამდე. ამნაირად ჩვენ გვაქვს ორი კანტორის ერთი-მეორის წინააღმდეგ დაპირისპირება და იმ განხეთქილების შედეგად, რომელიც არსებობს ამ ორგანიზაციებს შორის, მუშაობის შეფერხება და საქმის დაბრკოლება. თვითეულ ამ კანტორას ჰყავს თავიანთი სამუშაო მწარმოებლები, ტეხნიკები, ათისთავები და მუშები, რაც მუშაობაში ჰქმნის შეუთანხმებლობას. არაა კალენდარული გეგმა, არაა განაწილებული ფუნქციები ტეხნიკურ პერსონალს შორის. სამუშაოს მწარმოებლებმა და ტეხნიკოსებმა არ იციან თუ რაში არიან ისინი პასუხისმგებელნი, თუ რა უნდა აკეთონ ხვალ და სხვ. ასეთი მუშაობის მეთოდებით და უთადარიგობით ძალიან ხშირად ათეული და ასეული მუშა უქმად სდგას და ტყუილად იღებს საშუალო ხელფასს. წარმოუდგენელი უთადარიგობით იხარჯება სააღმშენებლო მასალა და არავინ ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს. ერთი სიტყვით ფაბრიკის მშენებლობაზე ანარქია და უთადარიგობაა გამეფებული.

უნდა აღინიშნოს, რომ ამიერ-კავკ. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს 14 ივნისის დადგენილება გაურკვეველია, ის არ იძლევა გარკვეულ პასუხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შენდებოდეს ფაბრიკა, ვინ ითვლება ამ საქმის პასუხისმგებლად. არაა გადაჭრილი საკითხი იმის შესახებ, მშენებლობა უნდა იწარმოოს სამეურნეო წესით, თუ სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამიერ-კავკ. უმაღლეს სამეურნეო საბჭომ სასწრაფო წესით, პრინციპიალურად უნდა გადასჭრას ეს საკითხი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საერთოდ მშენებლობის საკითხებს და კერძოდ ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობას.

მხოლოდ ჩვენი ჩასვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი დაგვესვა საკითხი საუბნო კომიტეტში მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ და გამოგვეაშკარავებინა ზემოდ ჩამოთვლილი ნაკლოვანებები. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ ზომები საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების და საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას მაისის დადგენილების რეალიზაციისათვის ახალ მშენებლობაზე პარტიული და პროფესიონალური მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და ეს დადგენილებები ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქაღალდზეა დარჩენილი.

ენგურის ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობის წარმატებისათვის ჩვენ აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია:

ა) დაუყოვნებლივ გამოყოფილ იქნას სპეციალური, ავტორიტეტული კომისია მშენებლობის შეფერხებაში დამნაშავეთა საბოლოოდ გამოსააშკარავებლად და მათ პასუხისგებაში მისაცემად;

ბ) მთელი მშენებლობა უნდა გადავიდეს საქსახმრეწმშენის ხელში, უნდა იქნას ერთი კანტორა და მშენებლობა მოექცეს სამუშაოების ხელმძღვანელის და მისი მოადგილის ხელში;

გ) დაუყოვნებლივ შეერთებული იქნას „ბუმსტროის" და საქსახმრეწმშენის კომიტეტი, გადათვალიერებულ იქნას მოსამსახურეთა შტატი, რომელიც ძალზე გაბერილია, მისი მაქსიმალური შემცირების მიზნით;

დ) გადასინჯულ იქნას კანტორის თანამშრომელთა ხელფასი, ვინაიდან ის ყოველგვარ ნორმებს გადაჭარბებულია.

ე) ფაბრიკის სააღმშენებლო კანტორა გადატანილი უნდა იქნას მშენებლობის ადგილზე, ვინაიდან კანტორის არსებობა ქალაქში, მშენებლობიდან 6 კილომეტრის მანძილზე, ძალზე აფერხებს მუშაობას;

ვ) დაუყოვნებლივ დამუშავებულ იქნას შინაგანაწესი, ტეხნიკური პერსონალის ფუნქციები და მოვალეობანი და ყოველ მიზეზს გარეშე უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობაზე ერთმმართველობა.

ი) ფართოდ უნდა გაიშალოს ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ და ამ მიზნით ჩამოყალიბდეს სპეციალური შტაბი;

კ) ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საწარმოო თათბირის მითითებებს, რომელსაც გამოჰქონდა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი და საქმიანი წინადადებები, მაგრამ ადმინისტრაცია მას ცხოვრებაში არ ატარებდა;

ლ) ფართოთ უნდა გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა და შეჯიბრებაში ჩაბმული იქნას ტეხნიკური პერსონალი;

მ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშების მომარაგებას პირველ საჭიროების პროდუქტებით. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყველა იმას, ვინც ბიუროკრატიული და ფორმალური მიდგომით შლის მომარაგების საქმეს. ამასთანავე ყურადღება უნდა მიექცეს მუშებისათვის კულტურული სამსახურის გაწევის გაძლიერებას;

ნ) პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მშენებლობისათვის ნორმალური პირობები.

კრედიტებით და სააღმშენებლო მასალებით უზრუნველყოფის მხრივ ქაღალდის ფაბრიკის მშენებლობა, სხვა დარგის საწარმოთა მშენებლობასთან შედარებით განსაკუთრებით კარგ პირობებში იმყოფება. ამ მხრივ მშენებლობის შეფერხებას იწვევს მხოლოდ ხელმძღვანელობის მოუწესრიგებლობა, მშენებლობის ხელმძღვანელთა და ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივის უქონლობა.

ყოველგვარი ნაკლოვანებანი, შეფერხება და არანორმალური მდგომარეობა მშენებლობაზე უნდა აიხსნას მხოლოდ იმ პირთა უმოქმედობით და უთადარიგობით, რომლებიც დღეს ხელმძღვანელობენ მუშაობას და ადგილობრივი პარტიულ, პროფესიონალური ორგანიზაციების არა საკმაო ყურადღებით. ამიტომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო დაუდევრობას და უგულო მოპყრობას მშენებლობის მიმართ ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ და მუშაობა უნდა იწარმოოს უმაღლეს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დირექტივების საფუძველზე.

ნ. ღლონტი.

## როგორ ცხოვრობენ გერმანელი მუშები

### გერმანიის კ. პ. ცეკას ქალთა განყოფილების გამგის ამხ. ოვერლახის მოხსენება მუშა-ქალთა გაერთიანებულ კრებაზე

გუშინ ნაშუადღევის სამ საათზე როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა დაათვალიერა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. ოვერლახმა, და გერმანიის რევოლუციონურ პროფკავშირების წარმომადგენელმა ამხ. **შერლინგმა.**

მუშაობის დამთავრების შემდეგ ფაბრიკის სასადილო დარბაზში შესდგა თამბაქოს პირველ და მეორე ფაბრიკების, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის, სატრიკოტაჟო ფაბრიკის, მაუდის ფაბრიკის, „მკერავი"-ს და სახკინმრეწვის მუშა - ქალების საერთო კრება, რომელზედაც გერმანიის მუშათა კლასის და მუშა - ქალთა მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ოვერლახმა.

მომხსენებელი მუშა - ქალებს მისალმა გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და ბერლინის კომიტეტის და ქალთა წითელი კავშირის სახელით.

— მე დავათვალიერე მთელი რიგი საწარმოები, ამბობს ამხ. ოვერლახი, როგორც აქ, თბილისში, ისე საბჭოთა კავშირის დანარჩენ კუთხეებში და ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორი ენტუზიაზმით იბრძვიან შრომის ფრონტზე აქაური მუშები და გლეხები, მუშა - ქალები და გლეხი - ქალები და როგორის ერთსულოვნობით აშენებენ ისინი სოციალისტურ მეურნეობას.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს გერმანია. იქ უმუშევრობა უკანასკნელ თვეების განმავლობაში თითქმის ერთი - ორად გაიზარდა. მუშათა ხელფასი არაჩვეულებრივად დაბალია.

მუშათა მდგომარეობას ართულებს აგრეთვე ის გარემოება, რომ მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას შეწერილი აქვს დიდი კონტრიბუცია, რომელსაც გერმანიის ბურჟუაზია მშრომელთა ხარჯზე იხდის.

უკანასკნელ დღეებში მანსფელდის და რურის ოლქის მუშათა ხელფასი შეამცირეს 30 პროც.-ით, საქსონიის მუშათა ხელფასი — 15 პროც.-ით და სხვ.

უკანასკნელმა გაჭირებამ, რომელშიაც გერმანიის მუშები არიან ჩაყენებული, ხელი შეუწყო მათ გამემარცხენებას და კომპარტიასთან დაახლოებას. უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში მთელ გერმანიას მოედო გაფიცვების ტალღა, რომელიც თანდათან ძლიერდება.

ოფიციალურად გერმანიაში 8 საათის სამუშაო დღე არსებობს, მაგრამ ფაქტიურად სამუშაო დღე 10 საათზე მეტს გრძელდება. ავადმყოფობა გერმანელ მუშისთვის საშინელებას წარმოადგენს, ვინაიდან იგი კარგავს თავის მცირე ხელფასსაც, ხოლო სოციალური დახმარება სრულიად უმნიშვნელო ეძლევა და მუშის მინიმალურ მოთხოვნილებების მეასედსაც ვერ აკმაყოფილებს.

გერმანიის სოციალ - დემოკრატია დიდი ხანია გადაბარგდა ბურჟუაზიის ბანაკში და განსაკუთრებული ენერგიით იცავს ბურჟუაზიის ბატონობას. კაპიტალისტებთან ერთად, იგი სისხლში ახრჩობს მუშათა კლასობრივ ბრძოლას. ერთად - ერთი პარტია, რომელიც იცავს გერმანიის მუშათა ინტერესებს, ეს არის კომუნისტური პარტია.

ამხ. ოვერლახი ასე ათავებს თავის სიტყვას: სოციალისტური მშენებლობის წარმატებები საბჭ. კავშირში მოსვენებას არ აძლევს მსოფლიო ბურჟუაზიას და იგი ომისათვის ემზადება, რომ ხელი შეუშალოს სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას თქვენს ქვეყანაში. ეს გარემოება ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა; გაათკეცებული ენერგიით უნდა განაგრძონ ეს დიდი სამეურნეო მშენებლობა და ამავე დროს მუდამ მზად უნდა იყონ თავდაცვისათვის. თქვენი მოძმე გერმანიის მუშათა კლასი კი ყოველ ღონეს იხმარს, რომ ხელი შეუშალოს იმპერიალისტების ანტი - საბჭოთა გეგმების განხორციელებას.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები. აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის სახელით სტუმრებს მისალმა მუშა - ქალი ამხ. **წიკლაური** და თამბაქოს ფაბრიკების მუშათა სახელით ამხ. **ჟუკოვა.**

რეზოლიუციის მიღების შემდეგ ამხ. ოვერლახმა წითელ ფრონტელ ქალთა კავშირის ნიშანი გადასცა 1-ლ თამბაქოს ფაბრიკის საუკეთესო დამკვრელ მუშა-ქალს ამხ. **აბელიანს.**

---

უფრო ფართო ხდება და შეიცავს სხვა უმნიშვნელოვანეს სოციალურ - პოლიტიკურ ამოცანებსაც სოფლად, ვინაიდან სოფლად პურის დამზადებასთან დაკავშირებით თქვენ საქმე გაქვთ კოლმეურნეებთან, გლეხთან და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკასთან. **ამ პოლიტიკასთან თამაში არ შეიძლება; მისი დამახინჯებაც არ შეიძლება. უნდა გავატაროთ იგი მტკიცედ, გადაჭრით, მკაფიოდ და გარკვევით.**

ამ ამოცანების შესახებ მე ზემოთ ვილაპარაკე, მაგრამ არის კიდევ სხვა ამოცანები, რომლებიც არ შეგვიძლია არ დავისახოთ პურის დამზადების კამპანიის დროს.

ეს ამოცანები შემდეგია:

**ა) მოსავლის აკრეფის კამპანია.** მოსავლის აკრეფის ორგანიზაციაზე რამდენადმე დამოკიდებულია მოსავლის სიდიდე. მოსავლის სიდიდეზე დამოკიდებულია გლეხის კეთილდღეობა და პურის დამზადების სიდიდე. ამიტომ ჩვენი პარტია და ხელისუფლება ყოველნაირ დახმარებას უწევენ კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს მოსავლის მწყობრად აკრეფაში.

მოსავლის აკრეფის კამპანიას ჩვენ ჩავატარებთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული განსაზღვრული გეგმით. სამწუხაროდ ხშირად სხვადასხვა დარგებში გეგმის შესრულება ფერხდება ბევრი ჩვენი მიმწოდებელი ორგანოების ბიუროკრატიზმის გამო. ამხ. წითლიძემ მაცნობა, რომ გორის ოლქში ტრაქტორები უქმად დგანან ნავთის უქონლობის გამო. მათ არ შეუძლიათ ორ-სამ წყებად იმუშაონ იმიტომ, რომ ფანრები არა აქვთ. **ასეთ დამოკიდებულებას უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ კამპანიისადმი გადაჭრით და მტკიცედ უნდა მოეღოს ბოლო. თქვენ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ მოსავლის აკრეფის კამპანიის ჩატარების მიმართ ხელმძღვანელობაში. ადგილებზე მტკიცედ და გადაჭრით აღმოფხვრილ უნდა იქნას კამპანიის ყველა შემაფერხებელი გარემოებები. სწრაფად უნდა გვაცნობოთ იმ შემაფერხებელ გარემოებათა შესახებ, რომლების აღმოფხვრისთვისაც საჭიროა ჩვენი დახმარება.**

**ბ) შემოდგომის თესვის კამპანია.** მოსავლის აკრეფას მოჰყვება შემოდგომის თესვა. შემოდგომის თესვას აღმოსავლეთ საქართველოში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მის წარმატებაზე თვალსაჩინოდ დამოკიდებულია ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების კეთილდღეობა და მომავალი პურის დამზადების წარმატება. შემოდგომის თესვის გეგმა უახლოეს დღეებში მიეცემა ადგილებს.

თქვენი მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღოთ შემოდგომის თესვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების მიმართ ხელმძღვანელობაში. **შემოდგომის თესვა უნდა გადავაქციოთ ნამდვილ ბოლშევიკურ თესვად. ამას მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოს, ამას მოითხოვს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ინტერესები.**

**გ) არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება და სოფლის მეურნეობის შემდგომი კოლექტივიზაცია. კოლმეურნეობების გარეშე არ არის გამოსავალი სიღატაკიდან, მის გარეშე არ არის გამოსავალი სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარდაქმნისათვის.** ეს ანბანური ჭეშმარიტება თქვენ მტკიცედ უნდა გახსოვდეთ. საჭიროა, რომ ეს ჭეშმარიტება ესმოდეს თვითეულ ღარიბ გლეხს, თვითეულ საშუალო გლეხს. ღარიბ და საშუალო გლეხთა ნაწილმა უკვე შეიგნო ეს ჭეშმარიტება და შევიდა კოლმეურნეობაში. საჭიროა, რომ კოლმეურნეობამ გაამართლოს მასში შესული გლეხების იმედი. სახელმწიფოს მხრით მაქსიმალური დახმარების პირობებში, ეს მთლიანად დამოკიდებულია კოლმეურნეობების მიმართ ხელმძღვანელობაზე, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციაზე, კოლმეურნეთა შრომის დისციპლინაზე და მათ მხრივ შრომისადმი შეგნებულად დამოკიდებულებაზე, კოლმეურნეთა შეგნების ხარისხზე და კულტურულ დონეზე. თავგამოდებით უნდა ვიმუშაოთ იმისათვის, რომ ყველა ეს პირობა უზრუნველყოფილ იქნას. ასეთ საფუძველზე აგებული და მომუშავე კოლმეურნეობანი საბოლოოდ და სამუდამოდ დაარწმუნებენ კოლექტიური წარმოებისა და საზოგადოებრივი შრომის უპირატესობაში წვრილ წარმოებასთან და ინდივიდუალურ შრომასთან შედარებით არა მარტო კოლმეურნეებს, არამედ იმ ღარიბ და საშუალო გლეხ ინდივიდუალურ მეურნეებსაც, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შეიგნეს ეს და ამიტომ არ შევიდნენ კოლმეურნეობაში. ასეთი კოლმეურნეობანი და კოლმეურნენი თავიანთი მაგალითით იქნებიან ახალ კოლმეურნეობათა ორგანიზატორები, ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეთა საუკეთესო ორგანიზატორები კოლმეურნეობისათვის.

არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს **მოსავლის განაწილების წესს.** ეს წესი უკვე მიღებულია ჩვენ მიერ, გამოქვეყნებულია პრესაში და დაეგზავნა ადგილებს. მაგრამ ეს ცოტაა. უნდა გვეხერხებოდეს ისე შევუფარდოთ ეს წესი ყოველ კოლმეურნეობას, რომ კოლმეურნეობა კი არ დასუსტდეს, არამედ კიდევ უფრო განმტკიცდეს. კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების წესის პრაქტიკულად გამოყენებაში თქვენ არსებითი დახმარება უნდა გაუწიოთ ჩვენს ქვედა საფეხურის ორგანიზაციებს. ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ ამით, არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებით, განვსაზღვროთ ჩვენი ამოცანები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში და არც უნდა განვსაზღვროთ. უნდა ვაწარმოოთ მედგარი მუშაობა ინდივიდუალურ მეურნეთა შორის მათი გაერთიანებისათვის. ჩვენი მუშაობის მეთოდი უნდა იყოს დარწმუნების მეთოდი, შეღავათების მინიჭებისა და ფართო საწარმოო დახმარების გაწევის მეთოდი. უნდა გვახსოვდეს, რომ კოლმეურნეობები უნდა შევქმნათ ნებაყოფლობის საფუძველზე, ვინაიდან მხოლოდ ასეთი კოლმეურნეობანი შეიძლება იყვნენ ნამდვილი და მტკიცე კოლმეურნეობანი. **მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ ძალადობის, იძულებისა და ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომები ღარიბი და საშუალო გლეხების მიმართ, მათი კოლმეურნეობებში და ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ირგვლივ გაერთიანების მეთოდს კი არ წარმოადგენენ, არამედ მეთოდს, რომელიც ხელს უწყობს ჩვენს კლასობრივ მტერს—გააერთიანოს ისინი კოლმეურნეობებისა და ჩვენს წინააღმდეგ.**

**მოსავლის აკრეფის კამპანია, პურის დამზადება და შემოდგომის თესვის კამპანია მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ შემდგომი საკოლმეურნეო მშენებლობისათვის.** უნდა გვახსოვდეს, რომ კულაკი გააფთრებულ წინააღმდეგობას გაგვიწევს და შეეცდება მისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალებით ჩაშალოს მოსავლის აკრეფის კამპანიაც, პურის დამზადებაც, შემოდგომის თესვის კამპანიაც და კოლექტივიზაციაც. ჩვენ მუდამ მზად უნდა ვიყოთ, რათა საკადრისი პასუხი გავსცეთ მათ.

### ქალთა შორის მუშაობა

ზემოთ მე ვთქვი, რომ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში კულაკი შეეცდება იპოვოს დასაყრდენი ღარიბ და საშუალო გლეხთა შეუგნებელ ნაწილში და განსაკუთრებით ქალებში. ამ მხრივ გაკვეთილები უკვე გვაქვს. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ და გავაუმჯობესოთ ქალთა შორის მუშაობა. სამწუხაროდ, ეს საჭიროება ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შეგნებული მთელ რიგ ადგილებში და მთელ რიგ ჩვენს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ჩვენს პარტიაში მოიპოვებიან ელემენტები, რომელნიც ვერ ხედავენ ქალის როლს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელნიც ქალის ხვედრითი წონას კლასობრივად არარაობად სთვლიან. **გადამჭრელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ასეთ მავნე შეხედულებებთან, გახურებული შანთით უნდა ამოვსწვათ ასეთი შეხედულებანი იმათი შეგნებიდან, ვისაც ისინი დღემდე შერჩენია.** ქალთა შორის მუშაობის გაძლიერების თვალსაზრისით უნდა მივესალმოთ ქალთა მობილიზაციას ჩვენი ქალთა ორგანიზაციების მიერ სოფლად მუშაობისათვის პურის დამზადების დროისათვის. შემცდარი და მავნე იქნება, თუ თქვენ ქალთა შორის მუშაობას მხოლოდ მობილიზაციით გაწვეულ ქალებს დააკისრებთ. ეს მუშაობა უნდა აწარმოოთ თქვენ ყველამ, ყველა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მტკიცედ უნდა გახსოვდეთ, რომ ქალთა შორის მუშაობა მთელი ჩვენი პარტიული და მასიური მუშაობის უმნიშვნელოვანესი და განუყრელი, ორგანიული ნაწილია.

### მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგთა პასუხისმგებლობა

ამხანაგებისათვის რამდენადმე გაურკვეველია მობილიზაციით გაწვეულთა პასუხისმგებლობის საკითხი. ზოგი ფიქრობს, რომ მობილიზაციით გაწვეულნი წარმოადგენენ ცენტრის რაღაც განსაკუთრებულ რწმუნებულებს, კომისრებს და მხოლოდ ისინი არიან პასუხისმგებელნი პურის დამზადების წარმატებისათვის. სხვები ფიქრობენ, რომ მობილიზაციით გაწვეულნი არიან პარტიის და ხელისუფლების რაიონულ ორგანოების უბრალო დამხმარენი და ისინი სრულებით არ არიან პასუხისმგებელნი პურის დამზადების მიმდინარეობისა და შედეგისათვის. არც ერთნი არიან მართალი, არც მეორენი. პურის დამზადების მიმდინარეობისა და შედეგისათვის ჩვენს წინაშე, ცენტრის წინაშე, პასუხს აგებენ უწინარეს ყოვლისა, პარტიის და ხელისუფლების საოლქო და რაიონული ორგანოები და ჩვენი ქვედა საფეხურის ორგანიზაციები—უჯრედები, საბჭოები და სხვა.

მობილიზაციით გაწვეული ამხანაგები უერთდებიან რაიონულ აქტივს, პარტიისა და ხელისუფლების რაიონულ ორგანოებს. ისინი მათთან თანაბრად და მათთან ერთად პასუხს აგებენ ჩვენს წინაშე პურის დამზადების მიმდინარეობისა და შედეგისათვის.

ეს დიდი პასუხისმგებლობაა და იგი თანაბრად ეკისრება როგორც პარტიისა და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, ისე მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგებს, რომელნიც უნდა წარმოადგენდნენ ადგილობრივი ორგანიზაციების ცოცხალ ნაკვეთს, ორგანიულ და უაღრესად აქტიურ ნაწილს. **ვიმეორებ, რომ ამ პასუხისმგებლობის ძალა არა მარტო პურის დამზადების აუცილებლობაშია, არამედ იმის საჭიროებაშიაც, რომ პურის დამზადება ისე ჩატარდეს, რომ ამით მოიგოს ჩვენმა პოლიტიკამ სოფლად. თქვენ და თქვენთან ერთად ადგილობრივმა ორგანიზაციებმა კარგად უნდა შეითვისოთ ჩვენი პოლიტიკა სოფლად და იმუშაოთ მხოლოდ და მხოლოდ ამ პოლიტიკის საფუძველზე.** ამის შეგნება და პრაქტიკულად განხორციელება ემჯობინება ყოველგვარ ლაპარაკს პასუხისმგებლობის ოდენობის შესახებ, ლაპარაკს იმის შესახებ, თუ ვინ მეტად პასუხისმგებელია და ვინ ნაკლებად. კიდევ ვიმეორებ, რომ თქვენ თანაბრად და ძალიან სერიოზულად აგებთ პასუხს და ისე უნდა იმუშაოთ, რომ არც ერთს თქვენთაგანს არ დასჭირდეს პასუხი აგოს ჩვენს წინაშე, თორემ პასუხისმგებლობის არავითარი გარჩევა არავის არ იხსნის.

### დამოკიდებულება განკულაკებულ კულაკებთან

ზოგიერთი ამხანაგი მეკითხებოდა განკულაკებული კულაკების შესახებ—როგორ მოვეპყრათ მათ. უნდა გამოვიყენოთ თუ არა მათ მიმართ პურის იძულებით ჩაბარების ზომები. ამ კითხვაზე შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი—განკულაკებული კულაკი, რომელსაც აქვს პურის სასაქონლო მარაგი, მოვალეა ჩააბაროს იგი სახელმწიფოს თანაბარ პირობებში იმ კულაკებთან, რომლებსაც განკულაკება არ შეხებია.

ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ ხელი არ უნდა ვახლოთ განკულაკებულ კულაკებს. ასეთი თვალსაზრისი აშკარად არასწორი და ოპორტუნისტულია. გადაჭრით უნდა დავარტყათ ასეთ განწყობილებებზე. მხედველობიდან არ უნდა იქნეს გაშვებული ორი მომენტი: პირველი—ყველა კულაკების განკულაკება არ მომხდარა ბოლომდე და მეორე—ბოლომდე განკულაკებული კულაკიც თავისი იდეოლოგიით ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება კულაკად და საბჭოთა ხელისუფლების მტრად.

### დასკვნა

პურის დამზადების კამპანია უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და პოლიტიკური კამპანიაა. იგი წარმატებით უნდა ჩავატაროთ. კამპანიის წარმატება შეიძლება უზრუნველჰყოს მაქსიმალურმა ყურადღებამ სოფლის მიმართ, სოფელში მომზადებული პოლიტიკური და პრაქტიკული მუშაკების საკმაო რაოდენობამ, პარტიის ხაზის გადაჭრით, მკაფიოდ და სწორად გატარებამ, ბრძოლამ მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც ამჟამად მთავარ საფრთხეს წარმოადგენს და „მემარცხენე" გადახვევებთან, რომელნიც ჰკვებავენ მემარჯვენე გადახრას და წყალს უშვებენ ჩვენი კლასობრივი მტრების წისქვილზე, აგრეთვე ბრძოლამ ყოველგვარ ჭაობთან, ამ გადახრებისადმი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან. ამ კამპანიამ უნდა დაუმტკიცოს ყველა სკეპტიკოსებს და ურწმუნოებს მარჯვნიდან და „მარცხნიდან", რომ გლეხობის ძირითადმა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი სოციალიზმისაკენ, სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ ჩვენი პარტიისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

**ბრძოლაში პარტიის ხაზიდან ამა თუ იმ მხრისაკენ გადახვევების წინააღმდეგ, ბრძოლაში ორ ფრონტზე ყოველთვის იმარჯვებდა ჩვენი პარტია.**

**ამ საფუძველზე გავიმარჯვებთ პურის დამზადების საქმეშიაც.**

ს. მამულია.

## სიტყვა და საქმე

### (ზოგიერთ ორგანიზაციების „პრაქტიკა" კადრების მომზადების საქმეში)

ახალი კადრების მომზადების შესახებ საკმაოდ ბევრი თქმულა და დაწერილა, ყველა ერთხმად სცნობს ამ ამოცანის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, თვითეული სამეურნეო მუშაკი ყოველ ფეხის გადადგმაზე აწყდება დაბრკოლებებს, რომლებიც გამოწვეულია კადრების სიმცირით. ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად პარტია და ხელისუფლება ღებულობს ენერგიულ ზომებს. უდიდესი ყურადღება ექცევა ჩვენი სკოლების პოლიტეხნიზაციას, საშუალო და უმაღლეს სპეციალურ სკოლების ყოველმხრივ გამაგრებას, მათ კეთილმოწყობას. დიდძალი თანხა იხარჯება მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შესაფერი პირობების შესაქმნელად და სხვ. ყოველივე ეს ასეა. მაგრამ ბიუროკრატიზმი, საქმისადმი დაუდევრობა, ზოგჯერ დანაშაულებრივი უმოქმედობა, რაც ახასიათებს ზოგიერთ ჩვენს დაწესებულება-ორგანიზაციებს, კადრების მომზადების საქმეშიაც მთელი თავის სიმწვავით იჩენს თავს.

მაგალითებისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება, საკმაოა დავასახელოთ რამოდენიმე ფაქტი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ საზაფხულო პრაქტიკაზე თბილისში გამოითხოვა ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის რამდენიმე მოწაფე. ეს აცნობეს შრომის სახალხო კომისარიატს, ამ უკანასკნელმა თავის მხრივ საკითხი გადაიტანა განათლების სახალხო კომისარიატში. გაიგზავნა შესაფერი მიწერილობა ფოთის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში. და აი, თბილისში ჩამოვიდა ფოთის ინდუსტრიალური ტეხნიკუმის რვა მოწაფე: ქათამაძე, ფაჩულია, გრიგოლავა, გერსამია, გაბილაია, ორჯავა, ჭავჭანიძე და ჭითინავა. ახალგაზრდა პრაქტიკანტები მივიდნენ განათლების სახალხო კომისარიატში, აქედან ისინი გაგზავნეს შრომის სახალხო კომისარიატში, შრომის სახალხო კომისარიატმა გაგზავნა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში. აქ გაოცებული დარჩნენ პრაქტიკანტ-მოწაფეების მისვლით. სმუს-ის მუშაკებს ალბად დავიწყდათ თავიანთი მიწერილობა ინდუსტრიალური ტეხნიკუმის მოწაფეთა პრაქტიკანტებათ გამოგზავნის შესახებ. ახალგაზრდები უარით გამოისტუმრეს. აქედან ისინი კვლავ შრომის სახალხო კომისარიატში წავიდნენ, შრომის კომისარიატმა პრაქტიკანტი მოწაფეები განათლების სახალხო კომისარიატში გაგზავნა. აქედან კვლავ დაიწყო პრაქტიკანტ-მოწაფეების სიარული ერთხელ უკვე გავლილ ინსტანციების გზით. ამ უსარგებლო სიარულში დაწესებულებიდან დაწესებულებაში ოთხ დღეზე მეტმა გასტანა. ბავშებს შემოეხარჯათ თუ რამე გროშები ჰქონდათ ჯიბეში, ბინა მათ არა აქვთ, უკან დაბრუნება არ შეუძლიათ უფულობის გამო. იმ ორგანიზაციებს კი, ვინც ისინი გამოიწვია, სჩანს, ასეთი წვრილმანი საქმეებისათვის არ სცალიათ. ამრიგად საზაფხულო პრაქტიკა ფოთიდან ჩამოსულ მოწაფეებისათვის იშლება. რას ჰგავს ეს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის მუშაკები, ვისი დანაშაულებრივი უყურადღებობითაც ეს უმსგავსობა ხდება, სიტყვით ყველას ყურებს უყრუებენ კადრების მომზადების აუცილებლობის შესახებ, საქმით კი... საქმით ისევე ბიუროკრატიულად და უგულოდ ეკიდებიან ამ ამოცანის გადაჭრას,

ჩვენი წერილის მიზანია არა მარტო ის, რომ ფოთიდან უცხო ქალაქში გამოწვევით ჩამოსული და ქუჩაში დარჩენილი რვა პრაქტიკანტი—მოწაფე დაუყოვნებლივ დამაგრებულ იქნას პრაქტიკაზე, არამედ ის, რომ მოიძებნოს ამ უმსგავსობის კონკრეტული დამნაშავე და ღირსეულად დაისაჯოს, რომ ამ მაგალითით ჭკუა ისწავლონ სხვებმაც.

არანაკლებ საგულისხმოა ზოგიერთი ტრესტების დამოკიდებულება კადრების მომზადების საკითხისადმი. მაგალითად, ლითონტრესტს უნდა დაეშვა საზაფხულო პრაქტიკაზე 30 კაცი. ნამდვილად კი ის არც ერთ პრაქტიკანტს არ ღებულობს. აბრეშუმის ტრესტმა კი 10 პრაქტიკანტი მოსწავლისაგან, რომელნიც მას უნდა გაეგზავნა სამუშაოდ თავის საწარმოებში, მხოლოდ ორი კაცი მიიღო.

ჩვენ კი ვლაპარაკობთ, ვწერთ, გამოგვაქვს რეზოლიუციები იმის შესახებ, რომ სკოლა ორგანიულად უნდა დავუკავშიროთ წარმოებას, რომ თეორია და პრაქტიკა ერთმანეთს უნდა შევუსისხლხორცოთ. ცხადია, ყოველივე ეს უბრალო წყლის ნაყვა იქნება, თუ ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები ჩინური კედლებით გაემიჯნებიან სკოლებს. ამას კი, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათად აქვს ადგილი.

თავისი გასამართლებელი მოტივი, რომელიც ამ შემთხვევაში შეუძლიათ მოიყვანონ ზემოხსენებულ სამეურნეო ორგანოებს, წინდაწინვე ნათელია, ამისათვის დიდი წინასწარმეტყველება საჭირო არაა. ეს არის უსახსრობის მომიზეზება. მაგრამ განა ეს მისაღები საბუთია? ეს ნიშნავს პარტიის დირექტივისათვის გვერდის ავლას, ეს ნიშნავს უპერსპექტივობას მუშაობაში, რასაც ჩვენ ბრმა საქმიანობას („დელიაჩესტვოს") ვეძახით. ნუ თუ საჭიროა იმ ანბანური ჭეშმარიტების მტკიცება, რომ კადრები თავისთავად არ იბადებიან, რომ მათ შესაქმნელად საჭიროა ფულისა და ენერგიის დახარჯვა?

ყველასათვის ცნობილია, რომ ხშირად ჩვენი სამეურნეო ორგანოები ფინანსიურ ხელმოკლეობას განიცდიან, მაგრამ, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ეს ხელმოკლეობა, კადრების მომზადების საქმეში თვითეულ ორგანიზაციამ და დაწესებულებამ უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. პარტიის ეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა განვახორციელოთ, ფოთის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის პრაქტიკანტ მოწაფეთა მაგალითით, ლითონტრესტის და აბრეშუმის ტრესტის დამოკიდებულებით კადრების მომზადების საკითხისადმი, აშკარაა, ეს ამოცანა ვერ გადაიჭრება. ასეთი მდგომარეობა ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი.

ძ. ბ—ი.

## დაუდევრობა თუ ობიექტიური პირობები

საწარმოო-საფინანსო გეგმის შეუსრულებლობის მხრივ ივნისის მესამე დეკადის განმავლობაში განსაკუთრებული ჩამორჩენილობა დაეტყო თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას. საწარმოო გეგმით ივნისის განმავლობაში ფაბრიკას უნდა დაემზადებია 36,246 მეტრი ქსოვილები—აქედან მესამე დეკადის განმავლობაში გათვალისწინებული იყო 12.082 მეტრის დამზადება, მაგრამ აღნიშნული რაოდენობის მაგიერ დამზადებულ იქნა მხოლოდ 2.181 მეტრი ქსოვილი.

საწარმოო პროგრამა ვერ შესრულდა მხოლოდ იმის გამო, რომ ფაბრიკის მუშები მორიგ შვებულებაში ივლისის ნაცვლად გაუშვეს ივნისში. აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: ზაფხულის პერიოდში, სიცხეების გამო მუშის შრომის ნაყოფიერება უფრო ნაკლებია, ვიდრე გრილი ამინდების დროს. თბილისის პირობებში, ივლისი და აგვისტო ითვლება ყველაზე უფრო ცხელ თვეებათ და ამით აიხსნება ის, რომ საწარმოო გეგმის შედგენის დროს, ფაბრიკის მუშების შვებულებაში გაშვება გათვალისწინებული იყო ივლისში და არა ივნისში, როგორც ეს მოხდა ფაქტიურად. ფაბრიკის ადმინისტრაციის განმარტებით, მუშებისათვის შვებულებების მიცემა აუცილებელი გახდა ფაბრიკის ადმინისტრაციიდან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ჩვენ არ ვიცით რა იყო ასეთი „სერიოზული დამოუკიდებელი მიზეზი", მაგრამ მიუხედავათ ამისა შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ იმან, ვინც ვერ სძლია ეს „მიზეზი" დააბრკოლა საწარმოო გეგმის შესრულებაც.

მეტად საეჭვო და პრობლემატიურია ის გარემოება, რომ ფაბრიკა ივლისის განმავლობაში შესძლებს დაფაროს ივნისის და წინა თვეების ჩამორჩენილობა. თუ ივნისის განმავლობაში დაბრკოლებული იყო ნედლი მასალის მიწოდების საქმე, ივლისში პარკის ახალი მოსავლის მიწოდება ფაბრიკისათვის ვერ მოესწრება და, მაშასადამე, ივლისის საწარმოო გეგმაც შესაძლებელია, გადაჭარბებით არ იქნეს შესრულებული.

საერთოდ აბრეშუმის მრეწველობაში საწარმოო გეგმების შესრულების მხრივ უკანასკნელი თვეების განმავლობაში მდგომარეობის გაუმჯობესება არ ეტყობა. 25 ივნისამდე სრულებით არ მუშაობდნენ—სამტრედიის, ხონის, თელავის, ოზურგეთის და ქუთაისის აბრეშუმის ძაფსალები ქარხნები. მუშაობდა მხოლოდ ოზურგეთის ჩამომრთავი ქარხანა, რომელსაც ივნისის განმავლობაში გეგმით უნდა დაემზადებია 1700 კილოგრამი შეგრეხილი ძაფი, ფაქტიურად კი აღნიშნულმა ფაბრიკამ დაამზადა გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის მხოლოდ 82,6 პროცენტი ე. ი. 1700 კილოგრამის მაგიერ 1404 კილოგრამი შეგრეხილი ძაფი.

თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკას კი, ივნისის საწარმოო გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 78,3 პროცენტით.

## თათბირი სახალხო განათლების საკითხებზე

გუშინ, საღამოს 6 საათზე, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში გაიხსნა საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული თათბირი სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ საქართველოს კ.პ. (ბ) საოლქო, სამაზრო და თბილისის ორგანიზაციის რაიონული კომიტეტების კულტ-პროპგანყოფილებათა გამგეები, საოლქო აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეები ავტონომიურ რესპუბლიკების განსახკომების, ა.ლ.კ.კ. ცეკას თბილისის, კახეთის და ოზურგეთის საოლქო და სამაზრო კომიტეტების განათლებისა და ყოფა-ცხოვრების განყოფილებათა გამგეები და პროფესიონალურ კავშირების, „სოფლის კავშირის", მიწსახკომის, ამიერ-კავკ. და საქართველოს ს.მ.უ. საბჭოს, „საქართველოს ჩაი"-ს და ცეკავშირის კადრების სექტორთა გამგეები.

თათბირის დღის წესრიგში დასმულია ორი საკითხი: 1) სახალხო განათლების ორგანოების და სასწავლებლების რეორგანიზაცია და 2) პარტგანათლების შედეგები და ამოცანები.

პირველი საკითხის შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა განათლების სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. **მარიამ ორახელაშვილმა.** ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

თათბირის ანგარიშს მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

### თბილისის ოლქში

### დეფექტები დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვაში

თბილისის ოლქში ახალ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პოპულიარიზაცია დაიწყო 10 აპრილს.

ახსნა-განმარტებითი კამპანიის განმავლობაში სწარმოებდა მუშაობა დასაბეგრ ობიექტების აღმრიცხველთა მოსამზადებლად. სულ გადამზადებული იქნა 89 კაცი.

10 მაისს ყველა აღმრიცხველები უკვე რაიონში იყვნენ და დაიწყეს ობიექტების აღრიცხვა. აღრიცხვაში მონაწილეობენ ცენტრიდან გაგზავნილი ინსტრუქტორებიც.

ზოგიერთმა რაიონულმა აღმასკომებმა შესძლო აღრიცხვის კამპანიის თავის შესაფერი ხელმძღვანელობის გაწევა და მისი დამთავრება ვადაზე.

ზოგიერთმა აღმასკომმა და სასოფლო საბჭომ კი სრული უმოქმედობა გამოიჩინა ამ მხრივ, რის გამო ობიექტების აღრიცხვაში დაშვებულ იქნა შეცდომები.

სააღრიცხვო კომისიების სუსტი მუშაობის გამო ბევრ სოფლებში დასაბეგრი ობიექტები არ ყოფილა სწორად აღრიცხული.

დასაბეგრი ობიექტების აღრიცხვა განსაკუთრებით სუსტად ჩატარდა ბორჩალოს რაიონში. სოფ. აშაგა-სერალში კულაკებმა გადამალეს ობიექტები, მაგრამ ადგილობრივ საბჭოს მიერ არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული მათ აღმოსაჩენად. მოჯამაგირეები, ღარიბთა ჯგუფები და საბჭოს წევრები არ ყოფილან ჩაბმული კამპანიაში, რის გამო მრავალმა კულაკებმა შესძლო აღმრიცხველებისათვის თვალის ახვევა და დასაბეგრ ობიექტების გადამალვა.

იმავე აშაგა-სერილაში ინდივიდუალური წესით არ დაუბეგრიათ ყოფილი ვაჭარი, რომლის თვიური შემოსავალი 400 მანეთს აღემატება. სადახლოში ინდივიდუალური წესით დაბეგვრას თავი დააღწიეს აშკარა ექსპლოატატორებმა და კულაკებმა სოფ. ოოფეთში დაბეგვრისაგან სრულებით გაანთავისუფლეს შეძლებული მოიჯარადრე.

რაიონული აღმასკომი არ უწევდა შესაფერ ხელმძღვანელობას სასოფლო საბჭოებს, პასუხისმგებელი ამხანაგები საბჭოებზე დაგვიანებით იქნენ მიმაგრებულნი, მაგრამ მათ მიმაგრების შემდეგაც არ უწარმოებიათ შესაფერი მუშაობა. რაიონულ საგადასახადო კომისიას ერთხელაც არ მოუწვევია სხდომა და არ მიუღია ზომები შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

საერთოდ საგადასახადო კამპანიის მოსამზადებელი პერიოდი სუსტად იქნა ჩატარებული ბორჩალოს რაიონში. ახსნა-განმარტებითი კამპანია ნაწილობრივ არა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა ლიუქსემბურგის, ბაშკიჩეთის, თბილისის, მანგლისის და მცხეთის რაიონებშიც.

აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა განმეორებით იქნეს ჩატარებული ახსნა-განმარტებითი კამპანია იმ სოფლებში, სადაც ის სუსტად ჩატარდა. რაიონულ აღმასკომებს წინადადება მიეცა დაამუშაონ სააღრიცხვო კამპანიის შედეგები და დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები ობიექტების აღრიცხვაში და კულაკების დაბეგვრის საქმეში დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად. ამასთანავე სავსებით გამოყენებული უნდა იქნეს ახალი კანონით გათვალისწინებული შეღავათები საშუალო გლეხების დაბეგვრის დროს.

საოლქო საფინანსო განყოფილებას დაევალა 1 აგვისტომდე დაამუშაოს საგადასახადო მასალები, რათა გადამხდელებს თავის დროზე ჩაბარდეს საგადასახადო ფურცლები.

## ტეხნიკუმებში მიღების ახალი წესები

განათლების სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა ტეხნიკუმებში მიღების ახალი წესები, რომელსაც საფუძვლად უდევს კლასიური პრინციპი. ახალი წესების თანახმად, ტეხნიკუმებში მოსწავლეების მიღება იწარმოებს გამოცდების გარეშე, მიღებული იქნებიან შრომის სკოლებში კურსდამთავრებულები 20 წლის ჰასაკამდე: საფეიქრო და ქიმიურ ტეხნიკუმებში მისაღებთა ჰასაკი განსაზღვრულია 16-დან 32 წლამდე.

მოსწავლეთა მიღების კლასიური პრინციპი დაცულ უნდა იქნეს შემდეგნაირათ: **ინდუსტრიალურ ტეხნიკუმებში** მიიღებიან—მუშები არა ნაკლებ 75 პროცენტისა; **სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმებში**—მუშები, მოჯამაგირეები, კოლმეურნეობათა წევრები, ღარიბი გლეხები და მათი შვილები, არა ნაკლებ 65 პროცენტისა, ხოლო საშუალო გლეხები და მათი ოჯახის წევრები არა ნაკლებ 25 პროცენტისა. **პედაგოგიურ-სამრეწველო-ეკონომიურ და სხვა ტეხნიკუმებში**—მუშები, მოჯამაგირეები, კოლმეურნეობათა წევრები, ღარიბი გლეხები და მათი შვილები—არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

ტეხნიკუმებში მიღება სწარმოებს 15 ივლისიდან ისეთი ვარაუდით, რომ მიმღებმა კომისიებმა მუშაობა დაამთავრონ 15 აგვისტომდე.

# ქრონიკა

### 14 ივლისი—დასასვენებელი დღეა

საქ. შრომის სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ 14 ივლისი (ორშაბათი) გამოცხადებულია დასასვენებელ დღეთ ყველა იმ წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთათვის, რომლებიც არ არიან გადასული განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

### უზენაეს სასამართლოს ახალი წევრი

უზენაეს სასამართლოს წევრი ამხ. **მ. ლაშხი** განთავისუფლებულია თანამდებობიდან თანახმად მისი თხოვნისა. მის მაგიერ უზენაეს სასამართლოს წევრად ცაკმა დაამტკიცა ამხ. იესე კალანდაძე.

### ქალაქისათვის წყალის მიწოდება უმჯობესდება

თბილისის წყალსადენის სამმართველოს ცნობით, უკანასკნელი დღეების განმავლობაში ქალაქისათვის წყალის მიწოდების საქმე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. წყალის მიწოდება შეფერხებულია მხოლოდ ქალაქის მაღლობ უბნებისათვის და ისიც მხოლოდ დღისით შუადღის დროს.

მომავალში, თუ წყალის მიწოდების საქმე კიდევ არ იქნა გაუმჯობესებული, ქალაქის მაღლა რაიონებს წყალი მიეწოდებათ რიგრიგობით, დილით წყალი ეძლევა ქალაქის მარჯვენა მხარეზე მდებარე მაღლობ ადგილებს, შემდეგ მარცხენა მხარეს და ასე განმეორებით.

ქალაქს ყოველდღიურათ ეძლევა 1.600.000 ვედრო წყალი.

### ბრძოლა ბამბის მავნებლებთან

პროფკავშირების წევრები, რომლებიც გაიგზავნენ ბამბის მავნებლებთან საბრძოლველად ყარაიაში, შულავერში, სანდარაში და სხვ.—მუშაობას უკვე შეუდგნენ. გლეხები დიდი სიხარულით შეხვდნენ მათ. მუშკოოპმა კარგად მოაგვარა გაგზავნილთათვის სურსათის მიწოდება. მათ ეძლევათ ცხელი საჭმელი, პაპიროსი, შაქარი და სხვ. დღეს, საღამოს 6 საათზე, მავნებლებთან საბრძოლველად თბილისიდან მიემგზავრება მეორე პარტია 800 კაცის შემადგენლობით (პირველ პარტიაში 1.200 კაცია).

### ცელების ნაკლებობა

მრავალ რაიონიდან, სადაც მიმდინარეობს მოსავლის აკრეფა, იტყობინებიან ცელების ნაკლებობის შესახებ. ამასთან დაკავშირებით „ზაკთიუზმა" მიიღო ზომები ურალიდან ცელების დიდი პარტიის სასწრაფოდ ჩამოსატანად.

### თბილისის მექანიკური ქარხნის მშენებლობა

საქ. „სახმრეწმშენის" ცნობებით თბილისის დიდი მექანიკური ქარხნის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. მომავალი წლის სამუშაოთა დიდი ნაწილიც წელსვე იქნება შესრულებული.

მანქანა-მოწყობილობებზე საბჭოთა კავშირის ქარხნებს უკვე მიცემული აქვთ 831.000 შეკვეთები.

### თბილისის ალმასკომში

◆ **პანთეონ-მუზეუმის მოწყობა.** თბილისის ალმასკომმა მიიღო დადგენილება მთაწმინდაში პანთეონ-მუზეუმის მოწყობის შესახებ. შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დაევალა თბილისის განათლების განყოფილებას.

◆ **ელსადგური შაუმიანში.** ქალ. შაუმიანში (ბორჩ. რაიონი) ახალი ელექტრო-სადგურის მოსაწყობათ თბილისის ალმასკომმა გადასდო ერთი დიზელის მანქანა და 17.653 მანეთი თანხა.

◆ **ტელეფონის ქსელის გაფართოება.** თბილისის ოლქში ტელეფონის ქსელის გასაფართოებლათ ალმასკომმა გადასდო 15.120 მანეთი.

### სხვადასხვა

◆ **სროლაში შეჯიბრების კვირეული.** 20-დან 27 ივლისამდე თბილისში ტარდება სროლაში შეჯიბრების კვირეული. ცალკე გაიმართება ქალების შეჯიბრება სროლაში.

◆ **6.000 ექსკურსანტი.** 1-ლი ივნისიდან 10 ივლისამდე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა პუნქტებიდან თბილისში ჩამოსულა 6.000 ექსკურსანტი.

◆ **სახურავი ფიქალის გამოყენება.** თბილისში კახეთიდან ჩამოიტანეს გამზადებული სახურავი ფიქალის 1-ლი პარტია, რომლითაც უკვე გადახურეს გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის შენობა.

◆ **საქ. სახკინმრეწვის მიერ გამოცხადებული** კონკურსი ანტირელიგიურ და ფიზკულტურულ თემებზე გაგრძელებულია 1-ლ აგვისტომდე, შემდეგ ლიბრეტოები აღარ მიიღება.

### სახელგამის ახალი გამოცემანი

რედაქციამ მიიღო სახელგამის მიერ გამოცემული ახალი წიგნები: **ნ. პოპოვი**—სტალინი და ლენინის პარტიის ეროვნული პოლიტიკა, გვ. 16, ფ. 19 კ.; **მ. გორგაძე** პიონერთა გამაჯანსაღებელი მუშაობა გვ. 136, ფ. 70 კ.; **ვ. სოსელია**—რელიგიის წარმოშობა (ნარკვევი), გვ. 80, ფ. 35 კ.; **ა. ბიცენკო**—შრომის ორგანიზაციის საკითხები კოლმეურნეობაში, 84 გვ. ფ. 25 კ.; **ი. ოსიპოვი**—რა არის აგრომინიმუმი, გვ. 44, ფ. 20 კ.; **მ. ი. კალინინი** და **ა. ე. ენუქიძე**—მთლიანი კოლექტივიზაცია და გვერდი 28, ფასი 20 კაპ.; **აგრ. ი. ქურდიანი**—ბამბის პლანტაციის მოვლა, გვ. 28, ფ. 20 კ., **აგრ. გ. ჯაში**—ჩაის კოლექტივის დაარსება, გვ. 52, ფ. 25 კაპ.; **პ. ქანიშვილი**—ანბანის ისტორია გვ. 32, ფ. 25 კ.; **დ. ლორთქიფანიძე** და **ლ. ციხისთავი**—მეთოდიკისათვის, გვერდი 78, ციხისთავი — საზოგადოებათმეცნიერების მეთოდიკისათვის, გვერდი 78, ფასი 1 მან., **ი. გაჩეჩილაძე**—სიტყვა და მასთან ბრძოლა, გვ. 92, ფ. 70 კ.; **დ. მესხი**—პატარა ფიზიკოსი, გვ. 44, ფ. 50 კ.; **ვ. მოლოტოვი**—ბრძოლა ორ ფრონტზე, გვ. 48, ფ. 20 კ.

# რკინის გზაზე

## დამატებითი მატარებლები

უკანასკნელ ხანებში ა.-კ. რკინის გზაზე მგზავრების მოძრაობა ძალზე გაძლიერდა. არსებული მატარებლები ვეღარ აკმაყოფილებენ მგზავრების მოთხოვნილებას. ამის გამო სხვადასხვა მიმართულებით დანიშნულია დამატებითი სახალხო მატარებლები.

დამატებითი მატარებელი (№ 129—130) დანიშნულია ბათომ—სამტრედიის უბანზე. მატარებელი ბათომიდან გადის დილის 7 საათზე, სამტრედიაში მიდის 11 საათზე და 5 წუთზე. სამტრედიიდან ბრუნდება დღის 4 საათზე და 30 წ. და ბათომში მიდის საღ. 8 საათსა და 15 წუთზე. ამ უბანზე მატარებელი დანიშნულია 1 ივლისიდან.

დამატებითი მატარებელი დანიშნულია აგრეთვე თბილის—ბორჯომის უბანზე. თბილისიდან მატარებელი გადის დილის 7 საათზე და 27 წუთზე; ბორჯომ-ბალში მიდის 2 საათზე. ბორჯომ-ბალიდან გამოდის დღის 3 საათზე და 45 წუთზე და თბილისში მოდის ღამის 9 საათზე და 37 წუთზე.

ამისდა მიხედვით დანიშნულია ერთი წყვილი დამატებითი მატარებელი ბაკურიანის შტოზე.

თუ კიდევ უფრო გაძლიერდა მგზავრების მოძრაობა თბილის — ბორჯომის უბანზე, დაინიშნება მეორე დამატებითი მატარებელი, რომელიც თბილისიდან გავა საღამოობით.

10 ივლისიდან დანიშნულია ცალკე მატარებელი თბილის — ქუთაისს შორის № (49—50). თბილისიდან ეს მატარებელი გავა ღამის 10 საათზე და 10 წუთზე, ქუთაისში მივა დილის 7 საათზე და 15 წუთზე. ქუთაისიდან დაბრუნდება საღამოს 8 საათზე და 27 წუთზე და თბილისში მოვა დილის 5 საათზე და 35 წუთზე. თბილის — ქუთაისის უბანზე ცალკე მატარებლის დანიშვნით თავისუფლდება ქუთაისის ვაგონებისაგან თბილის—ფოთის მატარებლის შემადგენლობა.

ამასთან ერთად შეტანილია ცვლილება თბილის — ლენინაკანის მატარებლის (№ 55—56) მოძრაობაში. ეს მატარებელი როგორც თბილისიდან, ისე ლენინაკანიდან გადიოდა დილაობით და იგი მგზავრებისათვის ხელმისაწვდომი ვერ იყო, რადგან მატარებელი უკანასკნელ სადგურებზე მიდიოდა საღამოობით. მგზავრები ამის გამო ხსენებულ მატარებელს არ ეტანებოდნენ და იგი ცარიელი დადიოდა.

9 ივლისიდან ამ მატარებლის მოძრაობის ცხრილი შეცვლილია. ლენინაკანიდან იგი გამოდის ღამის 8 საათზე და 25 წუთზე და თბილისში ჩამოდის დილის 7 საათზე და 20 წუთზე.

ჩამოთვლილ მატარებლების მოძრაობის საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.

# დიდი ხანძარი

## დაიწვა „მკერავი"-ს ფაბრიკა № 1-ის 500.000 მანეთის ქონება

9 ივლისს ნაშუაღამევის 1-ლ საათზე ცეცხლი გაჩნდა „მკერავი"-ს პირველი ფაბრიკის მახლობლად (კომუნალური ქ. № 58). ფაბრიკა დაკეტილი იყო, რადგან მუშაობა დამთავრებული ჰქონდა მეორე ცვლასაც. ცეცხლი პირველად შეამჩნია მეხანძრეთა ცენტრალური რაზმის მორიგემ. ხანძრის ადგილზე გაიგზავნა მეხანძრეთა რაზმი სამი ავტომობილით.

რამდენიმე წუთის შემდეგ რაზმს შეატყობინეს, რომ იწვოდა „მკერავის" № 1 ფაბრიკა. ამ ცნობის მიღებისთანავე დამატებით გაგზავნეს დანარჩენი მეხანძრეები ავტომობილებით და გაიწვიეს ქალაქის ყველა სარაიონო რაზმები. მეხანძრეთა რაზმების მისვლისას ცეცხლი უკვე გაძლიერებული იყო და იწვოდა „მკერავის" შეკერილი ტანისამოსების საწყობი. საწყობი მდებარეობს ფაბრიკის შენობიდან რამოდენიმე მეტრის დაშორებით და ორივე შენობას აერთებდა ორი ხის ხიდი. ამიტომ მეხანძრეების მთავარ მიზანს შეადგენდა ფაბრიკის გადარჩენა, რადგან საწყობის გადარჩენა შეუძლებელი იყო. ენერგიული ზომების მიუხედავად ცეცხლის ჩაქრობა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ გათენებისას.

ხანძრის ჩაქრობაზე მუშაობდნენ აგრეთვე სამხედრო ნაწილები, რომლებმაც დიდი სამსახური გაუწიეს მეხანძრეებს წესიერების დაცვაში.

### ვინ არის დამნაშავე

ხანძრის გაჩენისთანავე გამოყოფილ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ხანძრის გაჩენის მიზეზების გამოკვლევა.

კომისიის წევრმა და რესპუბლიკის სახანძრო საქმეთა ინსპექტორმა ა. ბერიძემ ხანძრის გაჩენის მიზეზების შესახებ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

— ეს ხანძარი ერთი უდიდესთაგანია თბილისში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. დაილუპა დიდძალი შეკერილი ტანისამოსი, რომლის ღირებულება 500.000 მანეთამდე აღწევს. დაზარალდა აგრეთვე ფაბრიკა „მკერავი", საიდანაც ხანძრის დროს გამოტანილი იქნა მანქანები, დაიმტვრა ფანჯრები და სხვ. ფაბრიკაში ნორმალური მუშაობის განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ.

ყველაზე უფრო აღმაშფოთებელი ამ შემთხვევაში ის არის, რომ „მკერავს" და არტელ „ძაფ-მაუდს" ხელშეკრულების თანახმად უნდა მიეღოთ ხანძრის საწინააღმდეგო ზომები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება უკვე ერთი წელიწადია რაც დადებულია, მათ ამ მხრივ არაფერი გაუკეთებიათ და როდესაც 5 ივნისს მოვახდინეთ ხელახალი გამოკვლევა, აღვნიშნეთ, რომ ხანძრის საშიშროება ამ წარმოებებში დიდი იყო. ჩვენს გაფრთხილებებს წარმოებების ადმინისტრაცია არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

საწყობში ხშირად დადიოდა ხალხი, სწევდნენ პაპიროსს და ამ ნიადაგზე ხანძრის გაჩენა ყოველთვის მოსალოდნელი იყო. შესაძლებელია ვინმემ ბოროტი განზრახვითაც გააჩინა ცეცხლი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამის გადაწყვეტით თქმა შეუძლებელია.

„მკერავთან" დადებული ხელშეკრულებით, ადმინისტრაციას ფაბრიკის ეზოსთან მტკვრის მხარეზე უნდა გაეკეთებია ავტომობილის მისაყენებელი ბაქანი. ეს ბაქანი არ არის გაკეთებული და ამიტომ შეუძლებელი გახდა მტკვრიდან წყლის ამოქაჩვა, რამაც შეაფერხა ცეცხლის ჩაქრობა.

# „საწარმოო გეგმა შესრულებული იქნება"

გუშინ შესდგა „მკერავის" მეორე ფაბრიკის მუშათა მიტინგი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა ხანძრით გამოწვეული ზარალის შესახებ. მუშებმა ერთხმად დაადგინეს:

„მკერავის" ფაბრიკა № 2 გამოცხადდეს დამკვრელ წარმოებათ. ერთი დღე ვიმუშაოთ ზედმეტად და ხელფასი გადაიდოს ფაბრიკა № 1-ლის ზარალის დასაფარავად. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს საწარმოო გეგმა ისეთი გადაჭარბებით შევასრულოთ, რომ გადაჭარბებით დაიფაროს ფაბრიკა № 1-ლის ჩამორჩენა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებაში, რაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს მომხდარ ხანძარს".

# ახალი ძალები თავდაცვისათვის

## (ავიაქიმრაზმების მეთაურთა გამოშვება)

1928 წელს საქ. თავდაცვა-ავიაქიმმა პირველად მოაწყო კურსები ავიაქიმრაზმების მეთაურთა მოსამზადებლად. კურსების მიზანი იყო ისეთი მეთაურების მომზადება თავდაცვა-ავიაქიმის წევრებიდან, რომლებიც შესძლებდნენ ხელმძღვანელობა გაეწიათ ავიაქიმრაზმების ქიმიური ჯგუფებისათვის. ლექტორებათ მოწვეული იყვნენ სამხედრო და ქიმიურ საქმის საუკეთესო მცოდნე სპეციალისტები. ორი წლის განმავლობაში მეცადინეობა კურსებზე მიმდინარეობდა სისტემატიურად. კურსების საშუალებით მსმენელები ეცნობოდნენ სამხედრო-ქიმიურ საქმეს, ზურგის დაცვის ტაქტიკას, საინჟინრო და სამხედრო-სანიტარო საქმეს. თეორიის გარდა დიდი ყურადღება ექცეოდა საგნების პრაქტიკულად შეთვისებას. დრო გამოშვებით ეწყობოდა გასვლა ველად, სადაც სწარმოებდა პრაქტიკული ხასიათის ვარჯიშობა.

დღემდე კურსებმა მოამზადეს 181 მეთაური, რომლებიც ხელმძღვანელობენ ავიაქიმრაზმების ქიმიურ ჯგუფებს.

გუშინ, 10 ივლისს, შესდგა ხსენებული კურსების მორიგი მეხუთე გამოშვება. გამოშვებულ იქნა 24 მეთაური (აქედან 13 ქალი და 11 კაცი). მეცადინეობა კურსებზე გრძელდებოდა 3 ნახ. თვეს. ყველა მსმენელებმა წარმატებით დაამთავრეს კურსები და მიიღეს სათანადო მოწმობები. კურსდამთავრებულები დანიშნულნი არიან თბილისის ავიაქიმრაზმების სხვადასხვა ჯგუფების მეთაურებათ.

# ა.-კ. ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება

## მირაბილიტის წარმოების დაწყება

9 ივლისს ამიერ - კავკასიის ს. მ. უ. საბჭოსთან შესდგა თათბირი ამიერ - კავკასიაში მირაბილიტის წარმოების დაწყების შესახებ. მირაბილიტი ეწოდება სხვადასხვა სახის გლაუბერის მარილის მადანს. მირაბილიტები ბუნებრივათ მოიპოვება კასპიის ზღვის სანაპიროებზე, ყარაბუღაზის ყურეში. კასპიის ზღვის ტალღებს ყოველ ზამთრობით ნაპირას გამოაქვს დიდძალი მირაბილიტი, რომლის მარაგი დაახლოებით 7 მილიარდ ფუთს უდრის. მირაბილიტის ასეთი მდიდარი წყაროები, როგორიც ცნობილია კასპიის ზღვის ყარაბუღაზის ყურეში არ მოიპოვება მთელ ევროპაში.

მირაბილიტიდან ამზადებენ — გოგირდის სიმჟავეს და ე. წ. კაუსტიურ სოდას.

მიწის წიაღში მირაბილიტის მადნები არ მოიპოვება დიდი რაოდენობით. საქართველოში ცნობილია რამოდენიმე ბუდობი — მუხროვანში, სადაც უკვე სწარმოებს გლაუბერის დამზადება, აბაშუმში და სოფ. გლდანის მახლობლათ.

ა.-კ. ს. მ. უ. საბჭოსთან შემდგარმა თათბირმა გადასწყვიტა პირველ რიგში შეუდგეს მირაბილიტის წარმოებას კასპის სანაპიროებზე და ამასთანავე დავალება მისცა ა. - კ. გეოლოგიურ სამმართველოს გააძლიეროს საქართველოში ცნობილი გლაუბერის მარილის ბუდობების გამოკვლევა.

მირაბილიტის მრეწველობის დაწყებასთან დაკავშირებით გამოყოფილია სპეციალური კომისია — ამხ. აგამიროვის ხელმძღვანელობით. კომისიაში შედიან ინჟ. გ. ქართველიშვილი (კომისიის სწავლული მდივანი), აკადემიკოსი პისარჟევსკი, პროფ. ა. თვალჭრელიძე, პროფ. დემენტიევი, პროფ. ბუტტი და პროფ. შალამბერიძე.

# ბიბლიოგრაფია

## ოპორტუნიზმი სახელმძღვანელოებში

## (ანუ როგორ „გადაამუშავა" თ. ჟუმბურიძემ თავისი სახელმძღვანელო „საზოგადოებათმეცნიერება")

სახელმძღვანელოთა გამოცემის საკითხი ჩვენში დღემდე მოუწესრიგებელია. უხეში პოლიტიკური შეცდომები, მასალის არა მარქსისტული დამუშავება და მისი ჯერ კიდევ ნედლი სახით მიწოდება მოსწავლე ახალგაზრდობისათვის, მოცემულ მასალის სოციალისტური მშენებლობის ამოცანებთან შეუსაბამობა და სხვ.,—აი, რით ხასიათდებოდა 1928-29 წ. (ხოლო მანამდე კიდევ უფრო მეტად) გამოცემულ სახელმძღვანელოთა ძირითადი მასა. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ასეთი „სახელმძღვანელოები" ნებადართული იყო სკოლებისათვის სოციალური აღზრდის მთავარსამმართველობის მიერ.

მიმდინარე წელს მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. სახელმძღვანელოთა გამოცემის საქმეს მიეცა უფრო გეგმიური ხასიათი და იგი ერთგვარ სისტემას დაუქვემდებარდა, მაგრამ სერიოზულ დეფექტებს ჯერ კიდევ მაინც აქვს ადგილი. ავიღოთ თ. ჟუმბურიძის „საზოგადოებათმეცნიერება".

ჯერ წიგნი ბაზარზე არ გამოსულა. ამას ხელი შეუშალა კორექტორმა, რომელმაც შეამჩნია ფრიად უხეში და ოპორტუნისტული ხასიათის შეცდომები. დაუშვებელია, რომ გაუსწორებელი წიგნი განათლების კომისარიატის მიერ იგზავნება სტამბაში და რომ კორექტორი ხდება იძულებული მოკიდოს ხელი მის გასწორებას იდეოლოგიურის მხრივ.

ამხ. თ. ჟუმბურიძის წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „წიგნში უმთავრესად მოცემულია საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის, სოციალისტური მშენებლობის სურათი და ამოცანები". ქვემოთ დავინახავთ რამდენად თ. ჟუმბურიძემ „შეასწორა და შეავსო" თავისი სახელმძღვანელო და რამდენად მასში მოცემულია „სოციალისტური მშენებლობის სურათი".

წიგნში მოთავსებული მასალები არსებითად შეეხება საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის აღდგენით პერიოდს. **უკანასკნელი სამი წლის მუშაობის შედეგები** და მიღწევები, ე. ი. რეკონსტრუქციის პერიოდის სურათი, ამ წიგნში **სრულიად არ არის მოცემული,** თუ არ ვიგულისხმებთ ახლად ჩამატებულ თავს (მეტად მოკლეს) სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ.

საილუსტრაციოთ აღვნიშნოთ წიგნში მოთავსებული სხვადასხვა ცხრილები: 1) მრეწველობის სრული პროდუქციის შესახებ (გვ. 10) ცნობები შეეხება 1923-24—1926-27 წ.წ.; 2) მუშების რიცხვის შესახებ მსხვილ მრეწველობაში (გვ. 10) ცნობები შეეხება 1923-24—1926-27 წ.წ.; 3) ლითონის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ (გვ. 16), ცნობები შეეხება 1913-1925-26 წ.წ; 4) მებამბეობის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ (გვ. 23-25), ცნობები შეეხება 1913-26 წ.წ.; 5) ცნობები ნავთის მრეწველობის შესახებ (გვ. 38) შეეხება 1921-26 წ.; 6) ცხრილი საქონლის ბრუნვის შესახებ სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო ვაჭრობაში (გვ. 67), 1923-24—1926-27 წ.წ.; ცხრილები ექსპორტის შესახებ (73,74), 1923-24—1924-25 წ.წ.; 7) ცხრილი იმპორტის შესახებ (გვ. 74), შეეხება 1924-25—1925-26 წ.წ. და სხვ.

წიგნის მთელ მანძილზე არის ასეთი გამოთქმები: „1926-27 წ. განზრახული იყო საზღვარგარეთიდან ოცი ათასი ტრაქტორის შემოტანა (!?) (გვ. 19); „შემოტანილი ბამბა გადამუშავებულ იქნა... მიმდინარე (ალბად ლაპარაკია 1927 წელზე) წელს კი იგი 31 პროცენტს შეადგენს" (გვ. 21). თურქესტან-ციმბირის რკინის გზის გაყვანა, რომელიც 1927 წ. დაიწყო და ოთხი წლის შემდეგ დამთავრდება (ე. ი. 1931 წ. (!! უკვე დამთავრებულია! კ.).

ზოგჯერ ძველი ცნობები ამ სახით არის „გადამუშავებული". თუ წიგნში ეწერა „1926-27 წ. განზრახული იყო ექსპორტისათვის — 116,5 მილ. ფუთი" (ნავთი), ავტორს წაუშლია სიტყვები: „განზრახული იყო ექსპორტისათვის" და სავარაუდო ციფრი საბოლოო ციფრად ჩაუგდია" (გვ. 39), ან კიდევ: თუ წიგნში მოყვანილი იყო ხუთწლიანი გეგმის ძველი ვარაუდი სასოფლო-სამეურნეო მანქანათ-მოხმარების შესახებ, დაძველებული ციფრების შეცვლის მაგიერ, ეს ციფრები სულ ამოუღია (გვ. 19). წიგნი ასეთი ვარაუდებითაა სავსე.

წიგნში არაფერი არ არის ნათქვამი სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის შესახებ.

უეჭველად სცდება ავტორი, როდესაც ამბობს: „**რევოლუციამ გლეხს მთელი მიწა მისცა. მხოლოდ მიწის მცირედი ნაწილი სახელმწიფომ საბჭოთა მეურნეობისა და კომუნებისათვის დასტოვა**" და სხვ.). (გვერდი 8) ან კიდევ: „საჭიროა გლეხები არტელებში კოოპერატივებსა და კომუნებში გაერთიანდნენ... კოოპერაციაში გაერთიანებული გლეხობა შესძლებს გააძლიეროს და განაყოფიეროს სასოფლო მეურნეობა... ჩვენ ვცდილობთ ს.-სამ. კოოპერაციის განვითარებას, კოოპერატივებს... დახმარებას ვაძლევთ, ვაწვდით მანქანებს, თესლეულს და ჯანსაღ საქონელს. **კოოპერაციის საშუალებით** ჩვენ წვრილ გლეხურ მეურნეობას მსხვილ მეურნეობათ გარდავქმნით" (გვ. 89) და სხვ. არტელებისა, კოოპერატივებისა და კომუნების ერთმანეთში არევა და მსხვილი სოციალისტური მეურნეობის შექმნისათვის კოოპერაციის მნიშვნელობის ზოგადათ მოხსენება მოსწავლეს საგანში ვერ გაარკვევს. ავტორის მსჯელობიდან მოწაფეს ის დასკვნა შეუძლია გაურნეობანი (არტელები, კომუნები და სხვ;), მოიტანოს, თითქოს კოოპერაცია და კოლმესხვაა, რაიც არსებითად შემცდარი იქნებოდა.

მთელი პარაგრაფი „სასოფლო მეურნეობის განვითარება მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველზე" (გვ. 75) ეხება ქალაქისა და სოფლის მხოლოდ **სავაჭრო კავშირს** და არ იხსენებს **საწარმოო კავშირის** მნიშვნელობას, რაიც ოპორტუნისტულ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ოპორტუნისტული შეცდომაა აგრეთვე 1930 წ. გამოცემისათვის დატოვება ბუხარინის შემდეგი შეხედულება მუშების და გლეხების სამეურნეო კავშირის შესახებ: „თუ გლეხთა კოოპერატივები საერთოდ და მთლიანად პროლეტარული სახელმწიფოს სამეურნეო ორგანოთა სისტემას შეუსისხლხორცდებიან,—ეს უეჭველად მოასწავებს მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის გაძლიერებას. მოასწავებს იმას, რომ ჩვენ სოციალიზმისაკენ ჩქარი ნაბიჯით მივდივართ". (გვ. 80).

საზოგადოებათმეცნიერების ავტორს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამხ. ბუხარინის ეს შემცდარი (ანტილენინური) დებულება დაგმობილია, მკაცრად არის გაკრიტიკებული პარტიის მიერ.

„სკ.პ. (ბ) პოლიტიკა და, მაშასადამე, მის ხელმძღვანელობაში მყოფი საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკაც გლეხობასთან საერთოდ და კერძოთ, გლეხურ მეურნეობასთან დამოკიდებულებაში ორი მთავარი ამოცანის განხორციელებაზე ემყარება: 1) მუშათა კლასსა და გლეხობას შორის პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის შენარჩუნება და განმტკიცება და 2) სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალთა უაღრესად განვითარება" (133). ეს ადგილი უთუოდ გადმოწერილია ა. ხ. **მიტროფანოვის** ბროშურიდან".

„Колхозное движение, его прошлое, современные задачи и значение". მიტროფანოვის ბროშურაში ვკითხულობთ: „Политика ВКП (б), а следовательно, и политика руководимого ею Советского государства в отношении крестьянства, вообще, и, в частности, в отношении к крестьянскому сельскому хозяйству основывается на двух задачах: 1) сохранения и упрочнения политического союза и экономической смычки рабочего класса и крестьянства и 2) ее наибольшего развития" (стр. 61).

მოყავს რა ეს ციტატა „Правда"-ს ბიბლიოგრაფ ი. ბრონინს, დასკვნის (იხ. „პრავდა" ა.-წ. 23 ივნისის): „ასეთი ფორმულირება წარმოადგენს პარტიის პოლიტიკის ოპორტუნისტულ დამახინჯებას, რადგან ის არაფერ საუბრობს მთავარზე, პარტიის პოლიტიკის განმსაზღვრელ **სოფლის სოციალისტური გარდაქმნის და კლასთა მოსპობის ამოცანაზე**".

რეცენზენტს მხედველობაში აქვს აქ წვრილი გლეხური მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ის დასაბუთება, რომელიც სტალინს ეკუთვნის.

ამხ. ჟუმბურიძის წიგნში **სრულიად არაა აღნიშნული საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების როლი საკოლმეურნეო მოძრაობაში. კოლმეურნეობათა სხვადასხვა სახის განსაზღვრა არაა საკმაოდ ზუსტი და სწორი.** (გვ. 150).

სას.-სამ. არტელის ცნების განსაზღვრის დროს არ არის მოხსენებული, თუ რის განსაზოგადოება არ ხდება არტელში, ეს კი შეცდომაა. საჭირო იყო სათანადო მუხლის პირდაპირ გადმოწერა არტელის სანიმუშო წესდებიდან.

არსად აღნიშნული არ არის, რომ **ძირითად რგოლს** საკოლმეურნეო მოძრაობისა მარცვლეული რაიონებისათვის **არტელი შეადგენს.** არ არის აღნიშნული მარცვლეულის პრობლემის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის სისტემაში და არ არის განმარტებული ლოზუნგი: **კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ.** „მიმდინარე პერიოდში ის (პარტია) საკითხს სვამს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ სოფლად" (გვ. 186). „კულაკობას, როგორც კლასს, ლიკვიდაცია უნდა ეყოს" (გვ. 302), აქ რედაქტორის მიერ ფანქრით ჩამატებულია სიტყვები: მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში. მოსწავლისთვის არ არის განმარტებული თუ რას ნიშნავს „კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაცია" და ის, რომ კულაკურ მეურნეობათა ლიკვიდაცია ხდება მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

დავიწყებულია ტროცკიზმის კრიტიკა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხში, არაა ნათქვამი იმის შესახებ, თუ რატომ არ შეგვეძლო ხუთი, ან სამი წლის წინათ დაგვეწყო ასეთი შეტევა კულაკების წინააღმდეგ. არ არის აღნიშნული, რომ „ახლა ჩვენ გვაქვს მატერიალური ბაზისი იმისათვის, რომ კულაკური წარმოება შევცვალოთ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა წარმოებით" (სტალინი). არაფერია ნათქვამი კოლმეურნეობათა ურთიერთობის შესახებ ღარიბთა და საშუალო ინდივიდ. მეურნეობებთან.

„1928 წ. 387 კოლმეურნეობა იყო, ხოლო 1929 წ. ეს რიცხვი 900-მდე ავიდა. ასე, რომ 1925 წ. კოლექტივების რიცხვი თითქმის ორი მესამედით გაიზარდა". მაგალითების მოყვანას მეტს აღარ გავაგრძელებთ.

სარეცენზიო წიგნი ასეთ მოძველებულ, დახავსებულ მასალას აწვდის დღეს ჩვენ სკოლებს. თ. ჟუმბურიძეს ჯერ კიდევ ვერ გაუგია, რომ არ შეიძლება მოსწავლე ახალგაზრდობის ამხ. ბუხარინის ოპორტუნისტული აზრებით კვება.

საჭიროა ასეთ ოპორტუნიზმს გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა. მეთოდიურ ორგანომ კი უფრო მეტი სიფხიზლე უნდა გამოიჩინოს სახელმძღვანელოების გამოცემაში.

კ. მ.

# წერილი რედ. მიმართ

სახელმწიფო ოპერის ქალაქის და სოფლის კავშირების საზ-ბის უჯრედი უღრმეს მადლობას უცხადებს ყველა იმათ, ვინც 7 ივლისს მონაწილეობა მიიღო სოფელ გლდანის გლეხობის კოლმეურნეობის სასარგებლოდ კონცერტის ჩატარებაში. კომისიის წევრებს კოტე მარჯანიშვილს, დოდო ანთაძეს, ალ. წუწუნავას, ლადო კავსაძეს, სახ. შოთა ხიმშს ნიკო გოცირიძეს, პატარაიას, ტიგრან მარტიროსოვს, თედორე მაკარენკოს, ალექსანდრე ისკანდერს, ს. ღარიბოვს, ვ. ბასილოშვილს, ამიაშვილს და აგრეთვე კონცერტის მონაწილეთ: ყორყოლიანს, ც. წუწუნავას, ლ. ღოღობერიძეს, მ. მდივანს, ტ. ჩარკვიანს, მერაბიძეს, ა. აბესაძეს, ა. ჩხარტიშვილს, მ. მეძმარიაშვილს, ნ. ქუმსიაშვილს, ა. დანელიანს, მ. პლანკმანს, სორია-ხანუმ კაჯარს, სერგეევს, სტეპანიანს, შახბაზოვს, მსახ. არმენიანს, კრასილნიკოვს, ა. კაპელნიცკის, ლისიციანს, ფოცხვერაშვილს (გუნდი), ე. საბან-გუსს, ლ. გოლდმანს, მ. ანდრონიკაშვილს, დუნენკოს, რაზოდოლსკის, ჩახავას და ოპერის დირექციას, რომელმაც თეატრი უფასოდ დაგვითმო საღამოს ჩასატარებლად და ყველას, ვინც შეგვიწყო ხელი საღამოს ჩატარებაში.

სოფლისა და ქალაქის კავშირის უჯრედის ბიურო

# შემთხვევები

### დაჯახება

ლენინის და მოსკოვის ქუჩის კუთხეში ტრამვაის ვაგონი № 257 (მარშრუტი № 5), რომელსაც მართავდა ვატმანი ვარდავაზ თუმანოვი, დაეჯახა „ტაქსს". ტრამვაის ვაგონი მსუბუქად დაზიანდა.

### დაპატიმრება

ქურდობისათვის დააპატიმრეს: ნიკოლოზ ბოლოტაევი (კომუნალური ჩიხი № 7), სერგო შველიოვი (კალინინის ქუჩა, № 6) და მოსე მაკგონოვი (ნარიმანის ქუჩა, № 9).

### ქურდობა

გატეხეს შემნახველი სალარო № 215, საიდანაც მოიპარეს 625 მან. ფული და 2.700 მან. ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები;—ასია ტინაკოვას (ენგელსის ქუჩა, № 39) მოპარეს 800 მან. საოჯახო ნივთები.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

**საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება,** რომ დღეს, 11 ივლისს, საღამოს სრულ 7 საათზე, ოთახი № 14-ში შესდგება თათბირი, 26 კომუნართა სახელობის რაიონში პარტიის ზრდისა და მოწესრიგების საკითხის განსახილველად. თათბირზე ქვემოდ დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუყოვნებლივ. გვანცელაძე, კილაძე (ცაკა), გიურქიძე, ბელაძე (თბ. საოლქო კომიტეტი), გორდელაძე (26 კომუნართა რაიკომი), საყაანი (ლენინის რაიკომი), ნეფედევი (ცაკა), ევიკოვი (ფეხსაცმელის ფაბრიკა), კაკაურიძე (სად. ნავთლუღი), ასლამაზოვი („მკერავი" № 1), ზაპოლსკი (არსენალის კომუჯრედის მდივანი).

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომუნართა სახ. რაიკომი იუწყება,** რომ ხვალ, 12 ივლისს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის შენობაში (კახეთის მოედანი № 1) მოწვეულია კომუჯრედების და კომკავშირის უჯრედების მდივნების თათბირი მასიური მუშაობის სექტორების ხელმძღვანელების, საშეფო უჯრედების ბიუროების და ფაბქარხადგილკომების წევრებთან ერთად. თათბირის დღის წესრიგში სდგას საკითხი პურის დამზადების კამპანიის შესახებ. საკითხის უდიდესი მნიშვნელობის გამო ზემოთ დასახელებული ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

**დღეს, 11 ივლისს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია ამიერ-კავკასიის უმაღლესი ქიმიური ტექნოლოგიური ინსტიტუტის კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული კრება უპარტიოებთან ერთად.**

—:—

**ს. ს. პ. ი. დიდ სამხაზველოში** დღეს საღამოს 8 ს. მოწვეულია მექანიკურ-ენერგეტიკულ ინსტიტუტის კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული კრება უპარტიო სტუდენტობასთან ერთად, დღის წესრიგში სდგას: ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ახალი ინსტიტუტის სტრუქტურა. მომხსენებელი ამხ. გვარჯალაძე და პროფ. პეტკევიჩი.

**ხვალ, 12 ივლისს, დღის 12 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, ამხ. იმედაძის კაბინეტში მოწვეულია თათბირი** ტყავეულობის ნედლეულის დამზადების საკითხის განსახილველად, თათბირი აუცილებლად უნდა დაესწრონ ამხ. გორდელაძე (26 კომუნართა რაიკომი), სახურია, მირზოიანი (მეტყავეთა კავშირი), ჯაფარიძე (ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო), კვიცარიძე (ტყავეულების კავშირი), ასათიანი, ტერტერიანი (ტყავტრესტი), მერკუროვა (ა.-კ. სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო), დედიდარიანი, ხუციშვილი (მესაქონლეობის კავშირი), და ა.-კ. კოოპერატიული კავშირის („ზაკსოიუზი"), „სოფლის კავშირის" და საქ. ტყავტრესტის წარმომადგენლები.

—:—

**საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს** ამხ. ავთანდილ ჯიქიას და აღლაძეს (გზატკეცილების სამმართველო), გამოცხადდნენ ხვალ, 12 ივლისს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ., 24, მესამე სართულზე, ოთახი 6) ამხ. კვიციანიძესთან.

—:—

**ვ. ი. ლენინის სახელობის საქ. სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-ქიმიური ფაკ-ტის 1-ლი კურსის სტუდენტები** გარდა იმ პირებისა, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან საბანაკო გასვლისაგან, ვალდებულნი არიან თავი მოიყარონ 14 ივლისს, დილის 9 საათზე, ინსტიტუტის სამხედრო კაბინეტში საბანაკოდ გასამგზავრებლად.

ვინც არ გამოცხადდება, ან დაიგვიანებს, ჩაითვლებიან როგორც სამსახურიდან თავის დაღწევის მიზნით გამოუცხადებელნი.

—:—

**დღეს, 11 ივლისს, დღის 12 საათზე, შესდგება სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სხდომა,** რომელზედაც უნდა დამტკიცდეს ბიურო-კოლექტივის წევრ-კანდიდატების გარდა, ცალკე უჯრედების ბიუროს წევრ-კანდიდატები.

—:—

**დღეს, 11 ივლისს, საღამოს 6 საათზე, შესდგება სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედთა საერთო კრება.**

---

სახელმწიფო ოპერის თეატრი. ორშაბათს, 14 ივლისს
მხატვრული საღამო
კოტე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით.
სამანიშვილის დედინაცვალი, ქამუშაძის გაჭირვება დ. კლდიაშვილის
შეასრულებენ: ალ. ყორყოლიანი და შ. ღამბაშიძე. „ჰ ა მ ლ ე ტ ი"-დან ოფელიას სცენა შესრ. ვ. ანჯაფარიძე, აქტიორის მონოლოგი შესრ. ს. ზაქარიაძე, ხალხური ბალადა მუს. თ. ვახვახიშვილისა, შესრ. უშ. ჩხეიძე, ცეკვა—მ. ქორელი და ს. ზაქარიაძე. რომანსები და სიმღერები—ლადო კავსაძე. ფანდური—მ. ჭიაურელი. დეკლამაცია: თ. ჭავჭავაძე, ვ. ანჯაფარიძე, უშ. ჩხეიძე, ს. ზაქარიაძე. ლექსები—კ. კალაძე. მუსიკალური ნომრები შესრულებული იქნება კვარტეტის მიერ. დირიჟორი ა. გველესიანი. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის სალაროში.
დასაწყისი 9 საათზე. ნ. 1036 3—1

საზაფხულო აპოლო (დარბაზის ბაღში) 1-ლი სეანსის დასაწყისი 9 ს.
უცხოეთის ახალი სურათი
ყვირილი ღამეში
პროგრამის გარეშე ფელეტონისტ მაქსიმოვიჩის გასტროლები

საზაფხულო ეთერი 1-ლი სეანსის დასაწყისი 9 საათზე.
პატი და პატაშონი კომედიაში
კარიერის დასაწყისი
პროგრამის გარეშე ფელეტონისტ მაქსიმოვიჩის გასტროლები

სპარტაკი (ყ. არფასტო) 1-ლი სეანსის დასაწყ. 7 ს.
მხატვრული ფილმი
ელისო
რეჟ. ნ. შენგელაია

სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყ. 7 ს.
მხატვრული სურათი
ნილაბი მოხსნილია
(ბელვედერის ჩრდილები)

საზამთრო აპოლო
გლორია სვენსონი
საუკეთესო სურათში
„მისი" ქმარი

საზაფხულო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 7 საათ.
პრემიერა
ვინაა დამნაშავე?
რეჟ. დოქ. პ. გალკინი

რუსთაველის სახ. (ყოფ. მინიონი)
დამსახურებული სახალხო არტისტები მოსკვინი და მალინოვსკაია სურათში
კოლეჟსკი რეგისტრატორ

კინო „სპარტაკი"
(ყოფ. არფასტო)
დღეიდან 11 ივლ.
მხატვრული სურათი
ელისო
რეჟის. ნ. შენგელაია
ოპერატორი ვ. კერესელიძე
მთავარ როლებში
კირა ანდრონიკაშვილი,
კოხტა ყარალაშვილი,
ა. იმედაშვილი,

საზაფხულო—ეთერი
(სახ. ოპერის ბაღში)
მალე!
განსაკუთრებული
ფილმი
მკვდრების
შეთქმულება
მალე!
ნ. 1039

სასტუმრო „აბარაკი"
ქობულეთის და მისი რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი მოქალაქეთა
საყურადღებოდ აცხადებს,
რომ ქ. ქობულეთში, ზღვის პირას, ორ-სართულიან შენობაში ა/წ. 1-ლ ივლისიდან
გაიხსნა სასტუმრო „აბარაკი"
სასტუმრო უზრუნველყოფილია სათანადო მორთულობით. ფასები ხელ-მისაწვდომია.
ნ. 1035 აღმასკომის პრეზიდიუმი.

მასწავლებლები
უმაღლესი ცოდნით
ამზადებენ მოწაფეებს:
სპეც-ტეხნიკუმებისათვის, მუშფაკებისათვის და საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად.
პირობების გაგება 4—7 საათამდე. კარგარეთელის ქ. № 3-A, ბინა № 2. (ყოფ. პირაგოვის ქ. კინო აპოლლოს მახლობლად). 25—20

თანახმად სრულიად საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის და საქ. სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს 1925 წლ. 15 მარტის № 12 ცირკულიარისა, ადმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ.
ნიკოლოზ გიორგის-ძე
ჩუგუნიძემ თავისი გვარი გამოიცვალა ახალ გვარზე
ჩუგინიძე-ზე.
მმაჩის ბიუროს გამგე სიამაშვილი.

დაიწყო ავადმყოფების მიღება
ახალ ბინაზე
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტრო-სინათლის კაბინეთი
პეტრიაშვილის ქუჩა (უდელის) № 11, მიღება საღ. 7—8 ს. ტელეფ. 21—45

ექიმი
ი. მჭედლიშვილი
წასულია
ავადმყოფების მიღებას განაახლებს სექტემბრის პირველ რიცხვებში.
25—1

გარდაბნის ადგილკომის
ბინიდან
დაიკარგა
ადგილკომის ბეჭედი. ამიტომ ყველა ცნობები გაცემული ადგილკომის მიერ ა. წ. 4 ივლისიდან უშტამპოთ ჩ. გ.
3653 რკ. გზ. ადგილკომი.

ოლქფინგანის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ ა.წ. 13 და 14 ივლისს, ხაზინის ქ. № 3 (ყოფ. ხაზინის შენობაში)
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ოლქფინგანისადმი დავალიანების ასანაზღაურებლად გაიყიდება: შიფონერკები, ბუფეტები, მაგიდები და სხვა საოჯახო ნივთები. საჯარო ვაჭრობა იწარმოებს დილის 11 საათიდან. ნ. 1032

ყველას, ვინც თავისი ქვეყნის მცენარეულობას იცნობს

ტრესტ „კაუჩუკონოს"-ის ლაბორატორიას მოსდის მრავალი ამანათი ისეთი მცენარეებით, რომლებიც კაუჩუკიანი ჰგონიათ.

მივაქცევთ იმათ ყურადღებას, ვინც ჰგზავნის ამ მცენარეებს და სურს ეძიოს კაუჩუკიან მცენარეები, შემდეგ გარემოებებზე:

1. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი მცენარეები, რომლებიდანაც ადგილობრივი მცხოვრებნი კევს ამზადებენ და ისეთები, რომლებშიაც გადატეხის და ფრთხილად გაჭრის დროს ჩნდება გაბმული ძაფები ან წვენი, რომელიც გაშრობის შემდეგ თითებს ეკვრის.
2, თუ კევი მზადდება არა თვით მცენარიდან, არამედ მისი კორძებიდან ან მასზე გამოსული მილებიდან, უნდა გამოგვიგზავნოთ ეს უკანასკნელნი.
3. მცენარეები არ უნდა გაახმოთ მზეზე და უნდა გამოგზავნოთ ფესვებით, ღეროთი, ფოთლებით და, გარდა ამისა, საჭიროა რამდენიმე მცენარე ყვავილით ან თესლით. ანალიზისათვის გამოგზავნილი მასალა 500 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს (გამხმარი). უნდა აღინიშნოს ის ადგილი სადაც მცენარე მოდის და მცენარის ადგილობრივი სახელწოდება.
4. გამხმარი მცენარე უნდა გახვიოთ გაზეთის ქაღალდში და გამოკეროთ ტომრის ტილოში.
5. ის პირები, რომლებიც საინტერესო კაუჩუკიან მცენარეებს გამოგზავნიან, მიიღებენ ჯილდოს. განსაკუთრებული სამრეწველო მნიშვნელობის მქონე მცენარეებისათვის ჯილდო გადიდებული იქნება.
6. მისამართი ცნობებისა და ამანათებისათვის: Москва, Маросейка, 12. Лаборатория „Каучуконос". ნ. 1034

### ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— მუშკ. წიგნ. № 4817—ნინა მაწკეპლაძის სახელზე. ნ. 1033
— ატესტატი გაცემ. ქ. ქუთაისის 1-ელ 10 წლ. მიერ—ვარლამ ალექსის-ძე ნემსვერიძის სახელზე. ნ. 1033
— მიწა ტყ. კავშ. წიგნ., სამხ. მოწმ., ახალც. ეპოს მიერ გაცემ. მანდ. და სტაჟის მოწმ.—ვასო ამბარცუმოვის სახელზე. ნ. 1033
— პირად. მოწმ. და სავაჭ. პატენტი—ფილნაზ გაბრიელის-ძე მოშიაშვილის სახელზე. ნ. 1033
— პ.|კ. საწ. წიგნ.—სევერიანე გოგოძის სახელზე. ნ. 1033
— დამხლ. სალ. წიგნ. № 2454-სილიბისტრო ქასრაშვილის სახ. ნ. 1033
— პურ. წიგნ.—ზინა და გერცერი მანაშეროვების სახელზე. 3639
— ზაკტპ. წიგნ. № 9031—ალექსი გოგიჩაშვილის სახელზე. 3640
— ხმის უფლების მოწმ.—ეფრემი ალელიშვილის სახელზე. 3641
— მუშკ. წიგნ. № 36372—იოსებ ივანეს-ძე შავერდაშვილის სახ. 3643
— პურ. წიგნ.—სოფიო ხაჩატუროვას სახელზე. 3644
— კავშ. წიგნ., მუშკ. წიგნ. № 7309 და პურ. წიგნაკები „ა"—ისაკ ბებურ-ჭკორის სახელზე. 3645
— პურ. წიგნ. № 1370 და მუშკ. წიგნ. № 14994—არტაშა სტეფანოვის სახელზე. 3646
— უმუშევრ. წიგნ. № 15752—სტეფანე წამალაშვილის სახელზე. 3654
— ქ. გორის 9-წლ. დამთავრ. მოწმ.—მირიან ვარძელაშვილის სახ. 3651
— პურის წიგნ.—იულია თვალავაძის სახელზე. 3652
— მეტრიკ. ამონაწ. № 190—გალუსტოვის სახელზე. 3650
— კავშ. წიგნ. № 58020 გაცემ. ახალც. სას. მეურნ. და ტყის კავშ. მიერ—კონსტანტინე ბეჟანის-ძე თელიას სახელზე. 3648
— პურის წიგნ.—იოსებ ლებანიძის სახელზე. 3658
— პურის წიგნ.—ფეოდოსია გოშაძეს სახელზე. 3657
— პურის წიგნ.—ისაი გოცირიძის სახელზე. 3659
— ატესტ. № 1527978, გაცემ. განათლ. კომისარიატთან არსებულ საგამოცდო კომისიის მიერ და მეტრიკული ამონაწერ № 13402 ირაკლი ბაწელაშვილის სახელზე. 3660
— პირად. მოწმ. | იაკობ ფრელსონის სახელზე. 3664
— პურის წიგნ.—ანდრო ნოზაძის სახელზე. 3663
— ზაკტპ. ფურნის წიგნ. № 85729—ერასტი ყურაშვილის სახ. 3665
— 4-წლ. მოწმ., მეტრ. ამონაწ. და ხმის უფლების აღდგენის მოწმ. № 810, ალექსანდრე ისიდორის ძე გიორგაძის სახელზე. 3665
— სამხ. სააღრიც. წიგნ. № 1153—გიორგი იოსების-ძე რურუას სახ. 3665
— სამხ. სააღრიც. წიგნ.—ლევარსი ჯ.—ძე კვარაცხელიას სახ. 3665

გულმოკლული და უნუგეშოთ დარჩენილი მშობლები: ლიდა პაპავა და შალიკო ტორონჯაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი, ერთად-ერთი შვილი დაუვიწყარი
ლილი (მაცანცა) ნ. 1037

გულდათუთქული მშობლები: კალისტრატე და დარიკო ცქიტიშვილები, ბიძები: ლევან და ივანე ფულარიანები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაიცვალა მათი ძვირფასი
პატარა ბადრიკო
გამოსვენება შაბათს, 12 ივლისს, 4 საათ. საზონოვის ქუჩა, მე-3 ჩიხი № 11. (ე)

### ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

**პ. ს. ფონ-ირტელი** პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვ. მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

**გ. ნ. ონანოვი** სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე ქ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

**ა. ვ. მიქაბერიძე** პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

**პ. ი. ჯალალოვი** ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 3—1

**დ. ს. რიჟინაშვილი** კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 25—68. 25—2

**ი. ი. ბერიშვილი** ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს პირდაპირ. ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

**ნ. კონტოროვიჩი** თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

საქ. ცაკთან არსებული ბავშთა კომისია აუწყებს ყველა ორგანიზაციებს, ადგილკომებს და აგენტებს, რომელთაც ხელთა აქვთ რეალიზაციისათვის ბავშთა კომისიის ნივთების დიდი ლატარიის ბილეთები, რომ ბილეთების ჩაბარების
უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 20 ივლისი.
ბილეთები, რომლებიც ამ ვადისათვის არ იქნება დაბრუნებული, დაერიცხება იმ პირთ, ვისაც ბილეთები აქვთ, როგორც თანხა ბილეთის ღირებულების რაოდენობით.
3656 საქ. ცაკთან არსებული ბავშთა კომისია.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ვარია, შვილი ლუიზა, მშობლები: ბაბილინე და იერემია (ერმინე), ძმები: ივანე და ნიკოლოზი, დები: თინა და ეთერი, აღმზრდელი ბებია ელისაბედი თაბაგრები იუწყებიან, რომ მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ
ვლადიმერ (ვალოდია) ერმილეს ძე
თაბაგარის
ხსოვნის აღსანიშნავად შაბათს, 12 ივლისს, 4 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ქ. ზესტაფონში, სასაფლაოზე. 3655

ღრმათ დამწუხრებულნი სიმამრი ვასილი, სიდედრი სოფიო და ცოლისდა ნინა ჯანაშვილები იუწყებიან, რომ დაუვიწყარ
ვალოდია ერმილეს ძე თაბაგარის
ხსოვნის აღსანიშნავათ დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, 12 ივნისს, 4 საათზე, ქალაქ ზესტაფონში. 3655

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ლიდა ნიკურაძე—ქურციკიძისა, დედა აკვილინა, მამა ვლადიმერი, და თამარი, ძმები: შალვა, კოლია და შოთა ქურციკიძეები იუწყებიან, რომ შაბათს, 12 ივლისს, 1 საათზე, ზესტაფონში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტ
სავლე ვლადიმერის ძე ქურციკიძის
ხსოვნის აღსანიშნავათ. 3661

თბილისის ოლქის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება ღრმა მწუხარებით აღნიშნავს, რომ ა/წ. 10 ივლისს, ტრაღიკულად დაიღუპა ლიუქსემბურგის სამილიციო რაიონის უფროსი
ამხ. მამედ შარიფოვი
გამოსვენება დღეს, 3 საათზე, ყოფილ მიხეილის საავადმყოფოდან. 3663

საქ. კ. პ. (ბ) თბ. მილიციის კოლექტივი—ბიურო და მილიციის მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული ადგილკომი აცხადებს, რომ ბანდიტებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობით 9 ივლისს გარდაიცვალა ლიუქსემბურგის რაიონის მილიციის უფროსი
ამხ. მამედ შარიფოვი
გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, 11 ივლისს, 2 საათზე. 3662

თავზარდაცემულნი მშობლები: ბესარიონი და ბაბილინე, დები: ლეილა და ეთერი, ბაბუა ვასილი, ბიძა ვაშანგი და ბიცოლა კესო გეგეშიძეები, აგრეთვე გულდათუთქული: ბაბუა ნიკო, ბებია მართა, ბიძები: ვარლამი, ლადო და დეიდა დარიკო ლეჟავეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ მათთვის საყვარელ
პატარა შოთა ბესარიონის ძე გეგეშიძის
უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება სოფ. მელაურში პარასკევს, 11 ივლისს. (ე)

გულმოკლულნი ბიძა ვანო და დეიდა ლუბა ლეჟავეები გამოთქვამენ მწუხარებას
პატარა შოთას
უდროოდ დაკარგვის გამო. გამოსვენება სოფ. მელაურში (სამტრედია), 11 ივლისს. (ე)

ა/კ. რკ. გზის 1-ლი საექსპლოატაციო რაიონის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ა. წ. 9 ივლისს, სადგურ რიონში ტრაღიკულად დაიღუპა ერთად-ერთი დაუვიწყარი და ენერგიული მუშაკი
ვლადიმერ მიხეილის ძე ხუნდაძე
რომლის გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან ქალ. ქუთაისში, ძერჟინსკის ქუჩა, მე-6 შესახვევი № 13. ნ. 1037

გურიის აგროტეხნიკუმთან არსებულ ადკომისგან მუშაკნი: სიმონ ქარცივაძე, სოლომონ ჭანიშვილი, ვალერიან მგალობლიშვილი, დიომიდე იმნაძე, ვალერიან ცინცაძე, გიორგი შევარდნაძე, ალექსანდრე სანიკიძე, ნოე ცინცაძე, ალექსანდრე გვასალია, სერაფიონ წიტაიშვილი, ერევონ ტყებლიაძე, ნესტორ კოტრიკაძე, ზაქრო უნგიაძე, ელიზბარ ბერიძე და გიორგი ქავთარაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ენერგიული მუშაკის, დოსტაქარ
ივანე ჩიგოგიძის
ტრაღიკულად გარდაცვალების გამო. ნ. 1038

ტირაჟი—57,705
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68,
მთავლიტი № 904